ამ ასპექტში რამდენიმე „ნაცადი იარაღი“ არსებობს და რომელიმე მათგანის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტურია იგი კონკრეტულ ვითარებაში. მაგ., საერთაშორისო საინვესტიციო ბანკის *Morgan Starly* ექსპერტები ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში აფრთხილებდნენ პოლიტიკოსებს, რომ რუსულ ნავთობზე ემბარგოს დაწესება ყველაზე მეტად ისევ დასავლეთ ევროპას დააზარალებს, რომელიც ვერაფრით ჩაანაცვლებს ყოველდღიურ 2,7 მლნ ბარელ რუსულ ნავთობს; რუსეთს კი თავისი ნავთობის გაყიდვა ჩინეთსა და ინდოეთშიც შეუძლია [8]. ეს წინასწარმეტყველება მალე ახდა: გასული წლის შედეგების მიხედვით, ევროპისათვის რუსული ნავთობის მიწოდება 10%-ით შემცირდა, ჩინეთისათვის კი 45%-ით გაიზარდა (სხვათა შორის, ამაზე ვ. პუტინმაც მიანიშნა: სოჭის ოლიმპიადის გახსნაზე ვირტუალური მზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობდა(!). საერთოდ, ქვეტექსტი რუსეთის პრეზიდენტის სტილია).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეკონომიკური ომის ქმედით იარაღად ისევ ნავთობის ფასზე თამაში რჩება; მით უმეტეს, რომ სსრკ-სთან მიმართებით ასეთი გამოცდილება თითქოს უკვე არსებობს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსების მხრივ ფასების რეგულირება საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენ-ტალური პრინციპების დარღვევად ითვლება, ფაქტები ღალატებენ: უკანასკნელ ხანებში ნავთობის ფასი არამც თუ რეგულირების ობიექტად, არამედ ერთგვარ პოლიტიკურ იარაღად იქცა და ამაში თვით ყველაზე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებმაც კი სცოდავენ.

ზემოთქმულს ადასტურებს ბარელი ნავთობის ფასის დინამიკა ლონდონისა (*Brent*) და ნიუ-იორკის (*WTI*) ბირჟებზე [3]. საგულისხმოა: XIX საუკუნის 70-ანი წლების „პენსილვანიის ნავთობის ბუმის“ შემდეგ, როდესაც ბარელი ნავთობის ფასი 120 \$-ს აღემატებოდა, მთელი საუკუნის მანძილზე და მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი, ეს ფასი „სტაბილურად მერყეობდა“ 10-30 \$-ის გარგლებში. ფასების ძლიერი ტურბულენცია მე-20 საუკ. 70-იანი წლებიდან დაიწყო; თანაც, მისი ყოველი მკვეთრი ცვლილება „საეჭვოდ ემთხვეოდა“ რომელიმე პოლიტიკურ მოვლენას. მაგ., ნახ.-ზე 1 პიკი (1) შეესაბამება ირანის ისლამურ რევოლუციას; 1990-1999წ.წ.-ის ვარდნა - ჯერ სსრკ-ს დაშლას, შემდეგ კი რუსეთის 1998წ. დეფოლტს; 2003-2008 წლების მკვეთრი ზრდა (4 და 5 წეტილებს შორის) - ერაყის მოვლენებს, ხოლო პიკი (5) - „არაბულ გაზაფხულს“. და თუმცა ზოგადად ასეთი კორელაცია სრულიად ბუნებრივი ჩანს, ამ შემთხვევაში ყურადღებას ფასების ცვლილებათა ინტენსიურობა და მასშტაბები იქცევენ.



ნახ. 1. ნედლი ნავთობის ფასების დინამიკა 1970-2013 წწ.

ფასების მორიგი ვარდნა 2014 წლის ბოლოს მოხდა და დღემდე გრძელდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პროცესი ამჯერადაც რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. მით უმეტეს, რომ ნავთობის ფასების დაცემა ბუნებრივი აირის ფასის დაცემასაც იწვევს, ეს კი ყველა იმპორტიორს აწყობს, მათ შორის, როგორც ჩანს, აშშ-საც: ეკონომიკური გათვლები აჩვენებენ, რომ აშშ-ში გალონი ბებზინის 1-2\$-ით გაიაფება სამომხმარებლო დანახარჯებს 100-200 მლრდ. \$-ით ზრდის, რაც ამ ქვეყნის მ.შ.პ.-ს 1-2%-ა. განსაკუთრებით ძლიერი სტიმულია ეს ავტომრეწველო-ბისათვის. თუმცა, საკითხავი ისაა, ნავთობის დაბალი ფასი აშშ-ს ეკონომიკას სხვა მხრივ ხომ არ დააზიანებს: უკანასკნელ წლებში ამ ქვეყნის ადმინისტრაციის სტრატეგია მიმართულია დასაქმების ზრდისაკენ წარმოების აღორძინების გზით., რაც, ყველაფერთან ერთად, მინერალური ენერგორესურსების მოპოვებისა და გადამუშავების ზრდასაც მოითხოვს. არსებობს მონაცემები, რომ ნავთობის მოპოვების მოცულობით აშშ-მ უკვე გაუსწრო რუსეთსაც, საუდის არაბეთსაც და ახლო მომავალში მის ექსპორტსაც დაიწყებს, რითაც სრულიად შეცვლის მსოფ-ლიო ენერგეტიკულ ბალანსს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ამბიციები დამყარებულია ე.წ. „ფიქალის ნავთობზე“, რომლის ზუსტი მარაგი ჯერ კიდევ არაა დადგენილი; თანაც, მისი მოპოვება ეკოლოგიურ რისკებსაც ზრდის და, ჯერ-ჯერობით, შედარებით ძვირიც ჯდება. ასე მაგ., საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (*IEA*) მონაცემებით, ფიქალის ნავთობის თვითღირებულება არის 65-70\$/ბარ. ეს მაშინ, როდესაც „ბუნებრივი ნავთობის“ მოპოვება საუდის არაბეთში 5\$/ბარ. ჯდება, რუსეთში კი (დასავლეთ ციმბირში) - 20\$/ბარ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მექსიკის ყურეში ნავთობის თვითღირებულება 100\$/ბარ. -ია ცხადი ხდება: „ფასებზე თამაშს“ აშშ-სათვის უკუეფექტის გამოწვევაც შეუძლია. სწორედ ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ ნავთობზე ფასების დაწევა *OPEC*-ის ინტერესებშიც შედის და იგი არა მარტო რუსეთის, არამედ ფარულად „ფიქალის რევოლუციის“ საწინააღმდეგოდაც უნდა იყოს მიმართული

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ *OPEC*-ის ქვეყნების უმეტესობას (მათ შორის, საუდის არაბეთსაც) 2015წ. ბიუჯეტი გათვლილი აქვს ნავთობის ფასზე 70-105 \$/ბარ. ფარგლებში. ამრიგად, მიმდინარეობს „ნერვების ომი“, რომელშიც ნავთობ-მომპოვებელი ქვეყნების

„გაძლების უნარი“ დამოკიდებული იქნება მათ მიერ წინა წლებში დაგროვებულ რეზერვებზე და იმაზე, თუ კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ფასების დაცემა. მეორეს მხრივ, ცხადია, რომ რუსეთის საზიანოდ აშშ-ც მზადაა „საზღაურის გასაღებად“ და იმ პირობებში, როდესაც საუდის არაბეთი მის სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლება, აშშ-მ შეიძლება „მეორე კურდღელიც მოკლას“: რაც უფრო დიდ ხანს შენარჩუნდება დაბალი ფასი, მით უფრო გაიზრდება განხეთქილების საფრთხე *OPEC*-ში, რაც აშშ-ს ნავთობის ფასებზე ერთპიროვნული კონტროლის დაწესების შანსს აძლევს. ამრიგად, სახეზეა „მესამე მსოფლიო ომი, რომელსაც ნავთობის სუნი ასდის“.

ამ ომში დასავლეთი რუსეთზე ფსიქოლოგიური ზეწოლის კიდევ ერთ ბერკეტს - „ენერგორესურსების მიწოდებათა დივერსიფიკაციის“, კერძოდ კი, ნავთობის ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების, თემას იყენებს. საქმე ისაა, რომ ნავთობის სერიოზულ ევროპულ მომხმარებლებლებთან (გერმანია, იტალია, საფრანგეთი) რუსეთს საერთო საზღვარი არ გააჩნია, ხოლო რუსული სატანკერო ფლოტი ძლიერ სუსტადაა განვითარებული. ამრიგად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ნავთობსადენებისა და სატრანზიტო ქვეყნების პრობლემები, რომლებიც, ძალაუვნებურად, „ნავთობის დიპლომატიის“ მონაწილენი ხდებიან.

აღნიშნული დიპლომატიის დამახასიათებელი თვისებაც ფარულობაა: ოფიციალურად ვერც რუსეთი და ვერც აშშ ტრანზიტის საკითხებში „ვერ ერევან“. *NATO*-ს მოხსენებაში: „მდგრადი ენერგეტიკული სტრატეგია ალიანსისათვის“ - პირდაპირ წერია: „ალიანსი და მისი წევრი ქვეყნები დაბეჯითებით უნდა გაურბოდნენ ენერგეტიკულ დიპლომატიაში ჩართულობას, განსაკუთრებით, ისეთ მგრძნობიარე რეგიონებში, როგორებიცაა კავკასია და ცენტრალური აზია, სადაც *NATO*-ზე აპელირება კონტრპროდუქტიული შეიძლება აღმოჩნდეს. რაც შეეხება ევროპას, ენერგოდიპლომატია ევროკავშირის პრეროგატივა უნდა იყოს“ [10]. ეს იმ დროს, როდესაც თითქმის მთელი ევროკავშირი ალიანსის წევრია! ამის გამო „სატრანზიტო დაპირისპირება“ სულ უფრო მძაფრდება, ხოლო ჩვენს რეგიონში, ირანის ფაქტორის გამო, იგი განსაკუთრებით მძაფრია. აქ რუსეთის წილი ნავთობის ტრანზიტში განუხრელად მცირდება. ასე მაგ., ბაქო-

თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ნავთობის ტრანზიტის ნოვოროსიისკზე (საერთოდ, ყაზახეთი თავისი ნავთობის მხოლოდ მესამედს ატარებს რუსეთის „ტრანსნეფტის“ გავლით, ტრანზიტის ნახევარზე მეტს კი „კასპის ნავთობსადენის კონსორციუმის“ მილსადენით უზრუნველყოფს, რომელიც, მართალია, რუსეთის ტერიტორიაზე გადის, მაგრამ რუსულ-ყაზახურ-ამერიკულ კერძო კაპიტალს ეკუთვნის) [11]. გარდა ამისა, დასავლეთის ფირმები ყაზახეთთან ერთად ამუშავებენ „ყაზახეთ-კასპის სატრანსპორტო სისტემის“ პროექტს, რომლის მიზანია ჩრდილოეთ ყაზახეთის ნავთობის გატარება თბილისსა და ჯეიჰანზე, რისთვისაც იგეგმება უკვე არსებული ნავთობსადენის სიმძლავრის გაზრდა. ნავთობის კიდევ ერთი ალტერნატიული მარშრუტია ბაქო-სუფსა, რომელიც *BP*-ს ეკუთვნის. გარდა ამისა, პოლონეთმა, უკრაინამ, ლიტვამ, აზერბაიჯანმა და საქართველომ მოილაპარაკეს ნავთობსადენის მშენებლობაზე ოდესიდან განსაკმდე, რომელშიც ნავთობი ტანკერებიდან ჩაიტვირთება. ასე ფუნდდება ალტერნატიული მარშრუტი ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპისაკენ. საერთოდ კი კასპის ნავთობის ტრანსპორტირების პოლიტიკაში აქტიურად არიან ჩართულნი საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ავღანეთი. საკვანძო როლი კი ისევ თურქეთს მიეკუთვნება, რაც მის ხელმძღვანელობას ქვეყნის „ენერგეტიკულ გიგანტად“ გადაქცევის ამბიციებს უჩენს. სხვა სიტყვებით, დასავლეთი თავგამოდებით ცდილობს, გადატვირთოს კასპის ნავთობი რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით, რუსეთი კი ამას ეწინააღმდეგება.

ცხადია, ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. გარკვეულ წრეებში რატომღაც გაბატონებულია თვალსაზრისი, თითქოს კასპის ნავთობსადენების დასავლეთისაკენ გატარება ხელს უწყობს ქვეყნის უშიშროებასა და სტაბილურობას. არადა, ფაქტია, რომ 2008 წელს ნავთობსადენმა ქვეყანა ვერ დაიცვა. პირიქით, საყოველთაოდაა აღიარებული, რომ კავკასია, ენერგეტიკული ტერორიზმის გამლიერებული საფრთხის გამო, ნავთობსადენებისათვის სახიფათო რეგიონია; და თუ ნავთობსადენი აქ მაინც აუცილებელია, ლოგიკური იქნება გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთი-დასავლეთის გარდა, არსებობს ჩრდილოეთი-სამხრეთის მიმართულებაც.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ როგორც ჩანს, ნავთობის ტრანზიტის საკითხი კიდევ დიდ ხანს დარჩება გეოპოლიტიკის ფაქტორად: **BP**-ს პროგნოზით, 2035 წლამდე პერიოდში ნავთობის მოხმარებისა და მასზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია უეჭველად შენარჩუნდება [12], რაც „ტრანზიტის ომს“ ალბათ კიდევ უფრო გაამწვავებს.

ამ ვითარებაში იმის პროგნოზირებაც მნიშვნელოვანია, თუ ვინ გაიმარჯვებს „ნავთობის ამჟამინდელ ომში“. ერთი შეხედვით, ამ კითხვაზე პასუხი ნათელია: პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნული ვალუტების ბოლოდროინდელმა „ციებ-ცხელებამ“ ნათლად აჩვენა, რომ სტალინის შემდგომ ეპოქაში არჩეულმა ეკონომიკური განვითარების მოდელმა, რომელიც „ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუციით“ დაგვირგვინდა, სრული კრახი განიცადა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი ეკონომიკური სივრცე „სანედლეულო და ფინანსური კოლონია“ გახდა. კერძოდ, რუსეთის სამთამადნო მრეწველობაში უცხოური საწესდებო კაპიტალის წილი 43%-ზე მეტია, ვაჭრობაში - თითქმის 90%; სრული დამოკიდებულებაა საბანკო და საგადამხდელო სისტემებში. ამრიგად, ახლანდელი ომი რუსეთისათვის ფაქტიურად „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა“.

ამ ბრძოლაში რუსეთის მთავარი არგუმენტი ვ. პუტინია, თუმცა, საკითხავი ისაა, ბოლომდე შეძლებს თუ არა იგი გადამჭრელ მოქმედებას: ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ვ. კისინჯერმა კითხვაზე: „არის თუ არა პუტინი მეორე სტალინი“, უარყოფითი პასუხი გასცა, რადგან, მისი აზრით, „პუტინი არ არის მმართველობის დასავლური სტილის მოწინააღმდეგე“. თუ ასეა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უფსკრული რუსეთის პროდასავლურ ეკონომიკურ და ანტიდასავლურ პოლიტიკის კურსებს შორის სულ უფრო გაღრმავდება. მაგრამ კატეგორიული დასკვნების გაკეთება მაინც ნაადრევია: ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიაში ფინანსურად ასეთივე ვითარება იყო პირველი მსოფლიო ომის წინაც და სრული კოლონიალური სტატუსისაგან ქვეყანა მაშინ რევოლუციამ იხსნა. მეორეც, ისტორია ასევე დადასტოვებს, რომ რუსეთი დასავლეთთან ყოველ ომს დამარცხებებით იწყებს, საბოლოოდ კი გამარჯვებული და კიდევ უფრო გაძლიერებული რჩება, ანუ ამ ქვეყნისათვის დასავლეთთან ომი განვითარების სტიმულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საყურადღებოა რამდენიმე მომენტი.: ჯერ ერთი, როგორც ცხრ. 1-დან ჩანს, ნავთობის მსოფლიო მოხმარება ჯერ კიდევ აღემატება მის მოპოვებას. აქედან ცხადია, რომ ფასების ძლიერ და ხანგრძლივად დაწევა ამჯერადაც ძნელი იქნება; მეორეც, რუსული ნავთობის ექსპორტიდან საბაჟო შემოსავლების 98% ფედერალურ ბიუჯეტში წარიმართება, ხოლო ქვეყნის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტებს და არასაბიუჯეტო ფონდებსაც ითვალისწინებს, ნავთობისა და გაზის წილი 30%-ს არ აღემატება, მ.შ.პ.-ში კი საერთოდ 10,5%-ს შეადგენს და მუდმივად მცირდება, ანუ რუსეთი თანდათან თავისუფლდება „ნავთობდამოკიდებულებისაგან“ [9]; ახლახან ისიც ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ენერგეტიკული კომპანიების გაუფასურებული ქაღალდებს, მათი საზღვარგარეთელი მფლობელებისაგან, ისევ რუსეთი იძენს., რასაც შეიძლება საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეული ზრდაც კი მოჰყვეს. მესამეც, ელოდა რა დასავლეთის სანქციებს, რუსეთის ხელმძღვანელობამ სხვა კონტრზომებიც განახორციელა. უპირველეს ყოვლისა, ესაა რუბლის გაშვება „თავისუფალ ცურვაში“: დადგენილია, რომ 1 ბარელი ნავთობის ფასის 1\$-ით დაწევა ბიუჯეტში 80 მილიარდი რუბლის დანაკლისს იწვევს, ეროვნული ვალუტის ერთი პუნქტით დევალვაცია კი ბიუჯეტს დამატებით 170-200 მლრდ რუბლს აძლევს. სხვა საქმეა, რომ ჰიპერინფლაციის საფრთხის გამო დევალვაციაზე დაუსრულებელი თამაში შეუძლებელია და დღის წესრიგში აუცილებლად დადგება რეზერვების ეფექტურად გამოყენების საკითხი. ამ მხრივ კი საყურადღებოა, რომ სააგენტო *bloomberg*-ის ინფორმაციით, რუსეთი თავისი რეზერვის დივერსიფიკაციას ახდენს, ანუ ამცირებს მასში დოლარისა და აშშ-ს ფასიანი ქაღალდების წილს. მარტო შარშან მან 155ტ. ოქრო შეიძინა, რაც მსოფლიოში მეორე მაჩვენებელია (ჩინეთის შემდეგ); გარდა ამისა, 2014წ. მარტში აშშ-ს ფედერალური რეზერვიდან ერთბაშად 104 მლრდ \$-ის ღირებულების ფასიანი ქაღალდები ამოიღეს, რაც უპრეცედენტო მოვლენაა. ცხადია, ამ ოპერაციის დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია, მაგრამ ექსპერტები თვლიან, რომ თავისი ქაღალდები რეზერვიდან სწორედ რუსეთმა ამოიღო და ისეთ ზონაში გადაადგილა, სადაც აშშ-ს გავლენა ნაკლებია. გაუგებარი ისაა, რატომ დაუშვა ასეთი რამ

აშშ-მ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაპირისპირებისათვის რუსეთი გეგმაზომიერად ემზადებოდა, დასავლეთის რეაქცია კი ზოგჯერ *Post Factum* დგება.

ასეთ ვითარებაში ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ისტორია გვასწავლის: ქართული სახელმწიფო სწორედ მაშინ ძლერდებოდა, როდესაც საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების თანხმობის, და არა ქიშპობის ფაქტორი ხდებოდა. „ნავთობის დიპლომატიაში“ ასეთი თანხმობის მიღწევის მთავარი საშუალება ეკოლოგიური პოლიტიკაა, რომლის წინააღმდეგ ღიად ვერც ერთი იმპერია ვერ გაილაშქრებს.

დასკვნა

ნავთობი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსიდან მსოფლიო და რეგიონალური პოლიტიკის მძლავრ ფაქტორად იქცა. სულ უფრო მწვავეება წინააღმდეგობები ნავთობის მომპოვებელ, იმპორტიორ და ტრანზიტის ქვეყნებს შორის, რაშიც ბუნებრივად ჩართულია საქართველოც. ეს ამწვავეებს არა მარტო ეკონომიკურ-პოლიტიკურ, არამედ ეკოლოგიურ პრობლემებსაც. ასეთ ვითარებაში იზრდება დაბალანსებული პოლიტიკის მნიშვნელობა, რომელიც ეკოლოგიური პრიმატით უნდა ხასიათდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Peter J. Stoett.** Global Ecipolitics: Crisis, Governance and Justice. 2012;
2. Russia Under Attack. Paulcraigroberts.org. 2014;
3. BP statistical review of world enetgy. 2014;
4. www. Earth.chronicles.ru. Э.Кейси о будущем России и мира. 2012;
5. **MARK N. KATZ.** Policy Watch: Putin’s Munich speech. UPI, 2007;
6. Федеральное Казначейство РФ. Структура доходов федерального бюджета в 2014г.;
7. www. Businessforecast.by/particls/raitings/1029. 2014;
8. **В. Матвеев.** Энергетический союз с антироссийским векторомю 2014;
9. www. Energy-experts.ru...2014;
10. nato-pa.int./Default.as. A Sustenable Energy Strategy For The Alliance;

11. **Ибрагимов И.** Нефть и геополитика в современном мире. 2012;

12. BP Energy Outlook 2035.

THE OIL PIPELINE AND THE GLOBAL ECOLOGICAL POLICY

T.Gelashvili, G. Arcvadze, E. Gegeshidze, R. Cxvaradze, I. Chkhetia,

V. Jajanidze

Summary

In Article aspects of one of the most acute environmental problems of the present are considered: distributions of oil and oil products between the countries, that is the most important direction of global ecopolicy. It is especially allocated a place of the Caspian region and Georgia in these processes, Which relevance in many respects is defined by need of transportation of the Caspian oil to Western Europe. The geopolitical risks for Georgia are estimated.

НЕФТЕПРОВОД И ГЛОБАЛЬНАЯ ЭКОПОЛИТИКА


Т. Гелашвили, Г. Арчвадзе, Э. Гегешидзе, Р. Цхварвдзе, И. Чхетия,

В. Джаджанидзе

Резюме

В статье рассмотрены аспекты одной из острейших экологических проблем современности: дробыча и распределение нефти и нефтепродуктов между странами, что является важнейшим направлением глобальной экополитики. Особое внимание уделяется роли и месту каспийского региона и Грузии в этих процессах, важность которых во многом определяется необходимостью транспортировки каспийской нефти в Западную Европу. На основе имеющихся данных, оценены геополитические риски для Грузии.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ. 625.1

მიწის ვაკისის გაანგარიშებები მდგრადობაზე

ნ. რურუა, ე. მოისწრაფიშვილი, ა. სამხარაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ერთგვაროვან შეკავშირებულ გრუნტებში მიწის მასების ზედაპირის ჩამოცურების წრიულცილინდრული და სიბრტყული ფორმები. გაანალიზებულია მიწის ვაკისის მდგრადობაზე გაანგარიშების გრაფო-ანალიზური და ანალიზური მეთოდები. შემოთავაზებულია, რომ მიწის ვაკისის (ყრილების და ჭრილების ფერდობების) ზოგადი მდგრადობის შეფასება CTH II-01-95 ნორმებით განხორციელდეს პირველი ზღვრული მდგომარეობით – მზიდუნარიანობით (ზღვრული წონასწორობის პირობით). პრაქტიკული თვალსაზრისით ასევე შემოთავაზებულია ფერდობების მდგრადობაზე გაანგარიშების ვარიაციული მეთოდი. ამ მეთოდის დროს ჩამოცურების ხაზის ფორმას წინასწარ არ ნიშნავენ, ანუ ჩამოცურების საშიშ ხაზს ეძებენ ყველა შესაძლო მრუდებში და არ არის კრიტიკული ცენტრის პოვნის საჭიროება. დადგენილია, რომ მიწის ვაკისის ფერდობების მდგრადობის დასადგენი ყველა ცნობილი მეთოდი ძალიან პირობითია და არასაიმედო. მიღებული შედეგები შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად მხოლოდ მაღალპლასტიური ერთგვაროვანი გრუნტებისათვის, როცა $\varphi = const$ და $c = const$, ანუ მხოლოდ ზომიერი კლიმატური ზონისათვის.

საკვანძო სიტყვები: მიწის ვაკისი, ჭრილი, ყრილი, ფერდო, ჩამოცურების სიბრტყე, გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხე, გრუნტის ხვედრითი შეჭიდულობა, გრუნტის სიმკვრივე და ტენიანობა, მდგრადობის კოეფიციენტი, გრუნტების საიმედოობის კოეფიციენტი, მდგრადობაზე გაანგარიშების ვარიაციული მეთოდი.

შესავალი

მიწის ვაკისის გაანგარიშებები მდგრადობაზე განსაზღვრავს გადაადგილების დეფორმაციებისადმი გრუნტის წინააღმდეგობის პირობებს, ხოლო სიმტკიცეზე გაანგარიშება - დატკეპნის დეფორმაციებისადმი გრუნტის წინააღმდეგობას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშების ზემოთ აღნიშნული ორივე სახე მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მიწის ვაკისის სტაბილურობა დამოკიდებულია მის ასაგებად გამოყენებული გრუნტების სახეობაზე და მდგომარეობაზე. გრუნტების ხარისხის ძირითად მაჩვენებლებად ითვლება შემდეგი მახასიათებლები: გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხე φ და ხვედრითი შეჭიდულობა c , ასევე სიმკვრივე და ტენიანობა. ВНИИЖТ-ში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა თანაბარ პირობებში ყრილის ფერდობის მდგრადობის ამაღლებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს გრუნტის ხვედრითი შეჭიდულობის c ზრდა. მაგალითად, თუ შინაგანი ხახუნის კუთხის ცვალებადობა $\varphi = 14 \div 20^{\circ}$ -ის ფარგლებში იწვევს მდგრადობის კოეფიციენტის $K_{\text{მდგ.}}$ ზრდას 0,5 სიდიდით, გრუნტის ხვედრითი შეჭიდულობის c ზრდას $c = 49 \div 98$ კპა-ით, მდგრადობის კოეფიციენტი $K_{\text{მდგ.}}$ იზრდება 1,6 სიდიდით.

მიწის ვაკისის სტაბილურობის მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლებელია სპეციალური ნაგებობების მოწყობით, როგორებიცაა: ზედაპირული და მიწისქვეშა წყალსარინები, ჰიდროსაიზოლაციო და თერმოსაიზოლაციო სამოსი და ა. შ., რომელთა უმეტესობა არსებით გავლენას ახდენს გრუნტის ტენიანობაზე და რა თქმა უნდა მის ძირითად საანგარიშო მახასიათებლებზე.


მიწის ვაკისის მდგრადობაზე გაანგარიშებებს მიუძღვნეს თავიანთი გამოკვლევები მეცნიერებმა: ვ. სოკოლოვსკიმ, გ. შახუნინცმა, მ. გოლდშტეინმა, კ. ტერცაგიმ, ვ. ტიტოვმა, ვ. ვინოგრადოვმა, ტ. იაკოვლევაძემ და სხვა. გამოქვეყნდა შრომები, სადაც გამოყენებული იყო მდგრადობაზე გაანგარიშების ვარიაციული მეთოდები, რომელიც პირველად შემუშავებულ იქნა ნ.გარსევანიშვილის მიერ.

ძირითადი ნაწილი

გარე ძალების ზემოქმედებით და საკუთარი წონის გავლენით მიწის ვაკისის ტანი იმყოფება დაძაბულ მდგომარეობაში. როდესაც გრუნტში ძაბვების მნიშვნელობები აჭარბებს ზღვრულ მნიშვნელობას, მაშინ ადგილი აქვს ნარჩენი დეფორმაციების წარმოშობას გრუნტის მთლიანი მოცულობის გადაადგილების სახით. მიწის ვაკისის მდგრადობაზე გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდები იყოფა

ორ ჯგუფად: გრაფო-ანალიზური და ანალიზური მეთოდები. პრაქტიკაში უფრო ფართოდ გამოიყენება გაანგარიშების გრაფო-ანალიზური მეთოდები.

მიწის ვაკისის ფერდობის მრავალრიცხოვანი ჩამომეწყვრების და ჩამოცოცების გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ერთგვაროვან შეკავშირებულ გრუნტებში მიწის მასების ზედაპირის ჩამოცურებას აქვს დაახლოებით წრიულცილინდრულ ფორმა. ფხვიერ გრუნტებში ჩამოცურების ზედაპირი მიახლოებულია სიბრტყულთან. ამიტომ ყველა სახის გრაფო-ანალიზურ გაანგარიშებებში ერთგვაროვანი შეკავშირებული გრუნტების შემთხვევაში თვლიან, რომ მდგრადობის დაკარგვისას გრუნტების ჩამოცურება ხდება წრიულცილინდრულ ზედაპირზე (ნახ.1).



ნახ. 1. ყრილის ფერდოს გაანგარიშება მდგრადობაზე წრიულცილინდრულ ზედაპირზე ჩამოცურების შემთხვევაში

კვლევების შედეგად შემუშავებულ იქნა: ყრილების მდგრადობის $K_{მდგ.}$ კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია; გრუნტის ორი ფენისაგან აგებული ყრილის მდგრადობაზე გაანგარიშება;

მდგრადობის კოეფიციენტის გამოთვლის მეთოდიკა; ტეხილი მოხაზულობის მქონე ყრილის ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშება; მეწყრებისა და მიწის ვაკისის ფერდოების მდგრადობის გაანგარიშება წინასწარ განსაზღვრული ჩამოცურების ზედაპირის არსებობისას; მიწის ვაკისის ფერდოების და მეწყრული კალთების მდგრადობაზე გაანგარიშება ეგმ-ის გამოყენებით; ყრილებისა და მეწყრული ფერდობის მდგრადობაზე გაანგარიშების თავისებურებები წყლის ძალური ზემოქმედების გათვალისწინებით; ნოლაზე აგებული ყრილის ფერდოების მდგრადობაზე გაანგარიშება; მიწის ვაკისის ფერდოების მდგრადობაზე გაანგარიშებების თავისებურებები სეისმურ რაიონებში.

მიწის ვაკისის (ყრილების და ჭრილების ფერდოების) ზოგადი მდგრადობის შეფასება СТН II-01-95 [1] ნორმებით რეკომენდებულია განხორციელდეს პირველი ზღვრული მდგომარეობით - მზიდუნარიანობით (ზღვრული წონასწორობის პირობით).

ფერდოების მდგრადობა შემოწმებულ უნდა იქნეს ჩამოცურების შესაძლო ზედაპირების მიხედვით (წრიულცილინდრული ან სხვა, მათ შორის ტეხილზედაპირიანი) ყველაზე უფრო საშიში ჩამოქცევის პრიზმის ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც ხასიათდება ჯამური ზღვრული რეაქტიული წინაღობის ძალების მინიმალური ფარდობით აქტიურ დამძვრელ ძალებთან.

მიწის მასივების მდგრადობის კრიტერიუმად (განსაკუთრებით საშიში ჩამოქცევის პრიზმის დროს) ითვლება უტოლობის დაცვა

$$\eta_{\text{წ}} T \leq \eta_{\text{ვ}} R / \eta_{\text{ს}} \quad (1)$$

სადაც $\eta_{\text{წ}}$ დატვირთვების შეხამების კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშო

დატვირთვების ერთდროულად წარმოშობის ალბათობის შემცირებას;

T - აქტიური დამძვრელი ძალების ჯამური საანგარიშო მნიშვნელობა;

$\eta_{\text{ვ}}$ - სამუშაო პირობების გამათვალისწინებელი კოეფიციენტი;

R - დამჭერი ძალების ჯამური საანგარიშო მნიშვნელობა, განსაზღვრული გრუნტების საიმედოების $\eta_{\text{ვ,რ}}$ კოეფიციენტის გათვალისწინებით (გრუნტების უსაფრთხოების კოეფიციენტი);

$\eta_{\text{ს}}$ - საიმედოების კოეფიციენტი, ნაგებობების დანიშნულების მიხედვით (ნაგებობის პასუხისმგებლობის კოეფიციენტი).

T და R -ის საანგარიშო მნიშვნელობები განისაზღვრება დატვირთვაზე საიმედოობის η_f კოეფიციენტის (გადამეტვირთვის კოეფიციენტი) გათვალისწინებით. ამ კოეფიციენტის გათვალისწინება ხორციელდება ყველა მოქმედ ძალაზე მისი გადამრავლების გზით (მათ შორის ჩამოქცევის პრიზმის ან მისი ფერდობის მასის ჩათვლით).

სეისმური დატვირთვები მიიღება დატვირთვაზე საიმედოობის η_f კოეფიციენტის გათვალისწინებით ერთეულის ტოლად. η_f კოეფიციენტის მნიშვნელობა მიიღება ჭრილის ფერდობის გაანგარიშების დროს 1,1-ის, ხოლო ყრილების მდგრადობაზე გაანგარიშებისას კი 1,15. იმ შემთხვევებში, როცა მდგრადობის გაუარესება შეიძლება მოხდეს მასზე მოქმედი ძალების შემცირების ხარჯზე, მაშინ შეიძლება მივიღოთ $\eta_f=0,9$.

გრუნტების საიმედოობის კოეფიციენტის მნიშვნელობა დადგინდება სამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП 2.02.01-83 [2] და ასევე ГОСТ 20522-75-ის [3] შესაბამისად. ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტის გათვალისწინება ხორციელდება გრუნტების სიმტკიცური მახასიათებლების (ხვედრითი შეჭიდულობის ძალა, გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხე) ნორმატიული მნიშვნელობების გაყოფით საიმედოობის კოეფიციენტის სიდიდეზე, რომელიც დადგენილია აღნიშნული მახასიათებლების ცვალებადობაზე (გარკვეული რიცხვისა და სანდობის ალბათობითი α მნიშვნელობის ტოლი 0,95) დამოკიდებულებით.

მდგრადობის კრიტერიუმის გარეთ ჩამოქცევის ყველაზე უფრო საშიში ჩამოქცევის პრიზმის ძეხნისას მდგრადობის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით

$$K_v = R/T \geq \eta_v \eta_{fs} / \eta_c \quad (2)$$

გაანგარიშებით მიღებული მდგრადობის კოეფიციენტის მნიშვნელობა დატვირთვების შესაბამისი შესაბამის პირობებში არ უნდა აღემატებოდეს $\eta_v \eta_{fs} / \eta_c$ მნიშვნელობას 10%-ზე მეტად და უნდა იყოს არანაკლებ 1,05 (წვრილი და მტვროვანი ქვიშებისაგან და თიხნარისაგან აგებული ყრილების გაანგარიშებისას მაღალი ღონის ღინამიკური ზემოქმედების პირობებში (მოძრაობის სიჩქარე 120 კმ/სთ-ზე მეტი, რვაღერძიანი მოძრავი შემადგენლობა) სიდიდე უნდა იყოს არანაკლებ 1,25).

ფერდობის მდგრადობა ითვლება უზრუნველყოფილად, თუ (1) ფორმულით განსაზღვრული პირობა კმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღება ბერმის, კონტრბანკეტების და ა.შ. გადაპროექტირების გადაწყვეტილება ან მისი აღდგენის სტრატეგია მიწისძვრის დროს.

მიწის ვაკისის ფერდობის მდგრადობის გაანგარიშების ანალიზური მეთოდები ცალკეული ამოცანებისათვის შესაძლებელია ძალიან ეფექტური იყოს. ამ მხრივ პროფესორ გ.შახუნიაძის მეთოდი ძალიან მოხერხებული და იოლია, იმ შემთხვევებისათვის, სადაც ჭრილის ფერდოს შემდეგ განლაგებულია უსასრულო მოედანი.

ჩამოქცევის სიბრტყის კრიტიკული მდებარეობა, რომლის დროსაც მდგრადობის კოეფიციენტს გააჩნია მინიმალური მნიშვნელობა $K_{\text{ბო6}}$, განისაზღვრება α კუთხის თანმიმდევრული ცვალებადობით შემდეგი ფორმულით

$$K_{\text{ბო6}} = (2U_0 + f) / \text{tg} \alpha + 2\sqrt{(U_0^2 + U_0 f) / \sin \alpha} \quad (3)$$

სადაც $U_0 = 2c / \gamma H$;

c - გრუნტის ხვედრითი შეჭიდულობა;

γ - გრუნტის მოცულობითი წონა;

H - ფერდოს სიმაღლე;

f - გრუნტის შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი და ტოლია $f = \text{tg} \varphi$;

φ - გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხე;

α - ჭრილის ფერდოს დახრის კუთხე ჰორიზონტის მიმართ.

პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ადორფმანის მიერ დამუშავებული ფერდობის მდგრადობაზე გაანგარიშების ვარიაციული მეთოდი. ამ მეთოდის დროს ჩამოცურების ხაზის ფორმას წინასწარ არ ნიშნავენ, ანუ ჩამოცურების საშიშ ხაზს ეძებენ ყველა შესაძლო მრუდებში, (და არა მხოლოდ სწორ ხაზებში) წრეხაზებში და ა.შ. ამავე დროს აღარ არის საჭირო კრიტიკული ცენტრის პოვნის საჭიროება.

ნებისმიერი ერთგვაროვანი ყრილის შემთხვევაში ადორფმანის მიერ შემოთავაზებული ფერდობის მდგრადობაზე გაანგარიშების ვარიაციული მეთოდით მდგრადობის K კოეფიციენტი განიხილება დამჭერი ძალების მუშაობის ფარდობა დამძვრელი ძალების მუშაობასთან და გამოითვლება ფორმულით

$$K = \int_0^{X_n} F dx / \int_0^{X_n} \Phi dx \quad (4)$$

სადაც $F = (\hat{y} - y) \text{tg} \varphi + c(1 + y'^2) / \gamma$; ხოლო $\Phi = (\hat{y} - y) y'$ (5)

$y = \hat{y}(x)$ ყრილის კონტურის განტოლება (დაყვანილი დატვირთვით);

$y = y(x)$ ჩამოცურების საზის განტოლება, ამასთან $y_n = \tilde{y}$, თუ $a < x_n \leq b$ და

$$y_n = \hat{y}(x_n); \text{ თუ } x_n > b \text{ ან } x_n \leq a;$$

y_n - ჩამოცურების მრუდის ბოლოს კოორდინატებია (კოორდინატების სათავედ მიიღება ფერდოს ძირი);

\tilde{y} - მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის ორდინატა;

a და b - აბცისები, რომლებიც შემოსაზღვრავენ დატვირთვას მიწის ვაკისის ძირითად მოედანზე.

საძიებელი (კრიტიკული) ჩამოცურების $y = y(x)$ საზის განტოლებას გაშლილი სახით აქვს შემდეგი სახე

$$y = 0,5\gamma / c [t \int_0^x y dx - 0,5x^2 tg \varphi + Gx] \quad (6)$$

$$\text{სადაც } t = \{2c / \gamma(x_n y'_n) + 0,5x_n^2 tg \varphi\} / \{x_n \hat{y}_n - \int \hat{y}_n dx\} \quad (7)$$

$$\text{ხოლო } G = 2cy'_n / \gamma + x_n tg \varphi - t\hat{y}_n \quad (8)$$

ამასთანავე

$$y_n = \begin{cases} \sqrt{(1 + (y_n - \tilde{y})v)} & \text{როცა } a < x_n \leq b, v = \gamma tg \varphi / c \\ y'_n + \sqrt{(y_n'^2 + 1)} & \text{როცა } x_n > b \text{ ან } x_n \leq a \end{cases} \quad (9)$$

(7), (8) და (9) განტოლებებში ყველა სიდიდე ცნობილია, გარდა x_n . მისი მნიშვნელობა გამოითვლება განტოლებიდან

$$I(x_n) = \int_0^{x_n} (F - t\Phi) dx = 0 \quad (10)$$

მიღებული მნიშვნელობა შეესაბამება ჩამოცურების კრიტიკულ მრუდს, რომლისთვისაც

$$t = K \quad (11)$$

სადაც K საძიებელი მდგრადობის კრიტიკული კოეფიციენტი.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიწის ვაკისის ფერდობის

მდგრადობის დასადგენი ყველა ცნობილი მეთოდი ძალიან პირობითია და არასაიმედო. მიღებული შედეგები შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად მხოლოდ მაღალპლასტიური ერთგვაროვანი გრუნტებისათვის, როცა $\varphi = const$ და $c = const$, ანუ მხოლოდ ზომიერი კლიმატური ზონისათვის. ამიტომ დღის წესრიგში დგება არსებული დებულებების გადახედვის აუცილებლობა, რაზედაც დაფუძნებულია ზემოთ აღნიშნული მეთოდები. ეს ძირითადად შეეხება უსიტყვოდ მიღებულ, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, გრუნტების ჩამოშლის თეორიას მხოლოდ მხები ძაბვების ზემოქმედებით, რომელიც უშვებს ფერდოს მდგრადობის $K_{მდგ}$ სრულ დამოკიდებულებას ჩამოქცევის ზედაპირების სივრცეში განლაგების მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ მიღებული წრიულცილინდრული ან მასთან ახლოს მყოფი ზედაპირებით.

გაყოფილებული ლიტერატურა:

1. Строительно-технические нормы. Железные дороги колеи 1520 мм.СТН Ц-01-95. М.:Транспорт,1995.62 с;
2. СНиП 2. 02.01.83. Основания зданий и сооружений. Нормы проектирования // Госстрой СССР. – М.: Стройиздат, 1983. – С. 21;
3. ГОСТ 20522-75. Грунты. Метод статической обработки результатов определений характеристик. – М.: Стройиздат, 1975. – С. 21;
4. Справочник по земляному полотну эксплуатируемых железных дорог. Под. Ред. **А.Ф.Подпалого, М.А.Чернышева, В.П.Титова.** – М.: Транспорт, 1978. – С. 766;
5. **Яковлева Т.Г., Шульга В.Я., Амелин С.В.** и др.; Под ред. Амелина С.В. и Яковлевой Т.Г. Основы устройства и расчётов железнодорожного пути. М.: Транспорт, 1990. 367 с;
6. **Шахунянц Г.М.** Железнодорожный путь. М.: Транспорт, 1987. 479 с.

РАСЧЕТЫ УСТОЙЧИВОСТИ ЗЕМЛЯНОГО ПОЛОТНА

Н. Руруа, Э. Моисцрапишвили, А. Самхарაძე

Резюме

В статье рассматриваются цилиндрические и плоские формы сползания земельных масс в однородных связанных почвах. Проанализированы графоаналитические и аналитические методы

расчета земляного полотна на устойчивость. Предложено оценку общей устойчивости земляного полотна (насыпей и склонов разрезов) по нормам СТН Ц-01-95 проводить по первому предельному состоянию – несущей способности (по предельному равновесному состоянию). В практическом плане также предложен вариационный метод расчета склона на устойчивость. В этом методе предварительно не отмечают форму линии сползания, то есть опасную линию сползания ищут во всех возможных кривых, и нет необходимости в поиске критического центра. Установлено, что все известные методы определения устойчивости склонов земляного полотна крайне условны и ненадёжны. Полученные результаты можно считать удовлетворительными только для высоко-пластичных однородных грунтов, когда $\varphi = \text{const}$ и $c = \text{const}$, или только для умеренной климатической зоны.


ANALYSIS OF FORMATION STABILITY

N. Rurua, E. Moistsrapishvili, A. Samkharadze

Summary

In the article are considered cylindrical and flat shapes of the homogeneous bound soils land masses curling. Are analyzed graph-analytical and analytical methods for calculating the stability of formation. Is proposed to evaluate the formation general stability (embankments and slopes of cuts) by СТН Ц-01-95 standards to carry out in the first limiting state – load bearing-capacity (limit equilibrium state). In practical terms, also is offered variational method of slopes stability analysis. In this method preliminary are not indicated the curling line forms, or the dangerous curling line would be found in all possible curves and is not necessary to find critical center. Is defined that all known methods for determining the stability of the formation slopes are rather conditional and non-reliable. The obtained results would be considered as satisfactory only for high-plstic homogeneous soils, when $\varphi = \text{const}$ and $c = \text{const}$ or only in moderate climat zone.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

შპს. 625.1

**მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლება ჩინურ
ლიანდაგებში მოძრაობისას**

ნ. რურუა, გ. სამსიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო)


რეზიუმე: სტატიაში განხილულია მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების საკითხები ჩინურ ლიანდაგებში მოძრაობის და სასადგურო ლიანდაგებში სამანევრო საბუხარების ჩატარების პროცესში. გაანალიზებულია რკინიგზის ჩინური საბაზების არსებული კონსტრუქციების მუშაობის ხარვეზები ჩინურ ლიანდაგებში. შემოთავაზებულია სადგურის ჩინურ ლიანდაგებში და დამჭერ ჩიხებში თანამედროვე ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბაზების გამოყენება, რომელიც შედგება ლიანდაგის რელსებზე დამაგრებული საბუხარუჭე ბლოკებისგან. შედეგად საბაზთან დაჯახების შემთხვევაში უზრუნველყოფილია მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხოება საბაზის ფრიქციული ელემენტების რელსებზე გადაადგილების წინააღმდეგობის ხარვეზზე. დადგენილია მატარებლის ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბაზთან დაჯახების შედეგად მისი რელსებზე წაცურების მანძილის სიდიდის მნიშვნელობები მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის სიჩქარეზე და წონაზე დამოკიდებულებით.

საკვანძო სიტყვები: მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოება, ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბაზი, ჩინური ლიანდაგი, დამჭერი ჩიხი, სალიანდაგო საბუხარები, რელსი, მოძრავი შემადგენლობა, სამანევრო საბუხარები, მომჭერი ჭანჭიკები და ქანჩები, საბუხარუჭო ძალვა.

შესავალი

რკინიგზის ჩიხური საბჯენი მიეკუთვნება მოწყობილობებს, რომლებიც ღობავენ ლიანდაგს, რათა მოძრავი შემადგენლობა არ მოხვდეს იმ უბანზე, სადაც არ არის დაგებული სარელსო ლიანდი. საბჯენი მოწყობილობა ძირითადად განლაგებულია ჩიხური ლიანდაგების ბოლოში. მათი დანიშნულებაა მოძრავი შემადგენლობის დაცვა ლიანდაგში ჩავარდნისაგან, როცა მემანქანე დროულად ვერ აჩერებს მატარებელს. ამ შემთხვევაში საბჯენმა თავის თავზე უნდა აიღოს დაჯახების შედეგად მატარებლიდან გადმოცემული დატვირთვა და მოახდინოს მოძრავი შემადგენლობის გაჩერება. საბჯენის არსებულ კონსტრუქციებში საბჯენის ფარგლებში მოწყობილია საბალასტო პრიზმა, რომელიც ამცირებს მოძრავი შემადგენლობის დაჯახების ძალას.

საბჯენი მზადდება, როგორც ძველვარგისი ასევე ახალი რელსებისაგან (ნახ.1).



ნახ. 1. ჩიხური სალიანდაგო საბჯენის არსებული კონსტრუქცია

დამჭერი ჩიხი არის ჩიხური ლიანდაგი, რომლის დანიშნულებაა გაჭიანურებულ ციცაბო დაღმართზე მოძრავი მართვადაკარგული მატარებლის გაჩერება. დამჭერი ჩიხები ეწყობა ისეთნაირად, რომ გამორიცხულ იქნეს მართვადაკარგული მატარებლის მოხვედრის შესაძლებლობა მოძრავი შემადგენლობით დაკავებული სადგურის ლიანდაგებში. დამჭერი ჩიხი ძირითადად განლაგებულია გაჭიანურებული ციცაბო დაღმართის ბოლოში სადგურის მისასვლელებთან. დამჭერი ჩიხები განლაგებულია ქანობზე. მისი სიგრძე და ქანობის სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია მოძრავი შემადგენლობის წონაზე, სიგრძეზე და სიჩქარეზე.

ძირითადი ნაწილი

არსებული საბჯენები ვერ უზრუნველყოფენ მემანქანის უყურადღებობით ან მუხრუჭების გადახურებით მართვადაკარგული მატარებლების უსაფრთხოებას. ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს რკინიგზაზე დანერგვით იქნეს RAWIE ფირმის მიერ შემუშავებული 16ZEB ტიპის ფრიქციულ


ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენი (ნახ.2).

მისი კონსტრუქციული მახასიათებლებია: შთანთქმული ენერჯის სიდიდე - 640 კჯ/მ, ნომინალური დამძრავი ძალა - 640 კნ, კონსტრუქციის წონა - 2540 კგ, ფრიქციული ელემენტების რაოდენობა - 16, ფრიქციული ელემენტების ტიპი - სამჭანჭიკიანი, ჰიდრავლიკური დგუშის სვლის მანძილი - 400 მმ, დამჭერი ჭანჭიკის მოჭერის ძალა 150 ნმ.



ნახ. 2. 16ZEB ტიპის ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენი


საბჯენის ცენტრალური თავი რეზინით დაფარული თეფშია სხვადასხვა ტიპის ავტოგადასაბმელთან მორგების მიზნით (ნახ.3 და ნახ.4). ლიანდაგი მოწყობილია ფართეფუძიანი რელსებით. რელსების დახრლობაა 1:40, 1:20 ან შეიძლება არ ჰქონდეს დახრლობა. რელსები სპეციალური სამაგრებით მიმაგრებულია, როგორც შპალებთან აგრეთვე მის ქვეშ განლაგებულ ორტესებრ კოჭებთან. კონსტრუქცია დაცულია კოროზიისაგან. მისი ცალკეული ელემენტები გალვანიზებულია (DIN EN ISO 1461).




ნახ. 3. 16ZEB ტიპის ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის გვერდული

კონსტრუქციის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: მოძრავი შემაღენლობის საბჯენთან დაჯახების შემთხვევაში თავდაპირველად საბჯენში ჩამონტაჟებული ჰიდრაულიკური დგუში, რომლის სვლის მანძილია 400 მმ, თავისთავზე იღებს დარტყმის ძალას, ხოლო თუ დაჯახების ძალა დიდია, მაშინ საბჯენი გადაადგილდება რელსებზე.

გადაადგილებას წინაღობას უწევს ფრიქციული ელემენტები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 16 კომპლექტს. თითოეული ფრიქციული ელემენტი შედგება სამი ჭანჭიკისაგან. ამ დროს ფრიქციული ელემენტების გადაადგილების წინაღობის ხარჯზე ნაწილობრივ შთაინთქმება დაჯახების ძალის სიდიდე. რაც მეტია დაჯახების ძალა და მოძრაობის სიჩქარე, მით უფრო მეტად გადაადგილდება საბჯენი რელსებზე.



ნახ. 4. 16ZEB ტიპის ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის წინხედი



ნახ. 5. საბუხრუჭე ბლოკი:

1.საბუხრუჭე ბლოკის მოჭერის სარეგულირებელი ჭანჭიკი; 2. საყრდენი ფირფიტა; 3.საბუხრუჭე ფირფიტა; 4. II-ფორმისებრი ფირფიტა.

ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენი წარმოადგენს დამამუხრუჭებელ მოწყობილობას, რომელიც ძირითადად შედგება ჩიხური ლიანდაგის რელსებზე დამაგრებული ორი სამუხრუჭე ბლოკისაგან (ნახ.5).

სამუხრუჭე ბლოკი შედგება საყრდენი (2) და სამუხრუჭე ფირფიტებისაგან (3), რომლებიც განლაგებულია არანაკლებ 10მმ სისქის ფოლადისაგან დამზადებულ და რელსის თავზე შემოჭერილ ორ Π-ფორმისებრ ფირფიტებს (4) შორის. მომჭერი ჭანჭიკები (1) მოზამბარე საყელურებითა და ქანჩებით (5) ერთმანეთთან აერთებენ და მოჭიმვენ Π-ფორმისებრ ფირფიტებს. ძირითადი დამუხრუჭება ხდება რელსის თავის გვერდით წახნაგებზე, ხოლო სამუხრუჭე ძალვა $F_{\text{ღმ}}$ რეგულირდება მომჭერი ჭანჭიკების რაოდენობით და სამუხრუჭე ბლოკის რელსზე მიჭერის P ძალვით ჩაჭიდების და ხახუნის კოეფიციენტების მარაგის გათვალისწინებით და გამოითვლება ფორმულით

$$F_{\text{ღმ}} = P \times n \times K \times f \quad (1)$$

სადაც P - სამუხრუჭე ბლოკის რელსზე მიჭერის ძალვაა, ტ;

n - მომჭერი ჭანჭიკების რაოდენობა;

K - ჩაჭიდების კოეფიციენტი;

f - ხახუნის კოეფიციენტი.

ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის სიმძლავრის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად. თავდაპირველად გამოითვლება მოძრავი შემადგენლობის სიჩქარე, რომლის ჩაქრობა შეეძლება საბჯენს

$$V = \sqrt{\frac{2g[A_{\text{გ}}(2N_{\text{გ}} - 1) + A_{\text{საბ}}]}{Q}} \quad (2)$$

სადაც g - თავისუფალი ვარდნის აჩქარებაა, $g = 9,8$ მ/წმ²;

$A_{\text{გ}}$ - მოძრავი შემადგენლობის ვაგონის სიმძლავრე ან მის მიერ შთანთქმული ენერგია, ტმ;

$N_{\text{გ}}$ - ვაგონების რაოდენობა მოძრავ შემადგენლობაში;

Q - მოძრავი შემადგენლობის წონა, ტ;

$A_{\text{საბ}}$ - საბჯენის სიმძლავრე ან მის მიერ შთანთქმული ენერგია და გამოითვლება ფორმულით


$$A_{\text{საბ}} = F_{\text{ღმ}} \times L_{\text{ღმ}} \quad (3)$$

სადაც $A_{საბ}$ -საბჯენის ერთი მოწყობილობის წინაღობის ძალების მუშაობის სიდიდეა, ტმ;

$F_{დამ}$ -საბჯენი მოწყობილობის სამუხრუჭო ძალა, ტ;

$L_{დამ}$ -საბჯენი მოწყობილობის სამუხრუჭე მანძილის მუშა სიგრძე, მ.

იმ დროს, როცა არ არის ცნობილი ჩიხში სამანევრო სამუშაოების ჩატარების დროს მოძრავი შემადგენლობის სიჩქარე (ინსტრუქციის შესაბამისად სამანევრო სამუშაოების მიხედვით იცვლება 3კმ/სთ-დან 15კმ/სთ-მდე) დიდი მნიშვნელობა აქვს ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის განლაგების ადგილის შერჩევას.



ნახ. 6. საბჯენის კონსტრუქციის რელსებზე წაცურების მანძილის დიაგრამა მოძრაობის სიჩქარეზე და მოძრავი შემადგენლობის წონაზე დამოკიდებულებით

ნახ.6-ზე მოტანილია 16ZEB ტიპის ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის კონსტრუქციის რელსებზე წაცურების მანძილის დიაგრამა მოძრაობის სიჩქარეზე და მოძრავი შემადგენლობის წონაზე დამოკიდებულებით.

როგორც ნახ.6-დან ჩანს ავარიული სიტუაციის დროს 4500 ტონიანი მატარებელი 5კმ/სთ სიჩქარით სიჩქარით მოძრაობისას საბჯენს გადაადგილებს რელსებზე დაახლოებით 7 მეტრის მანძილზე და გაჩერდება. სამანევრო სამუშაოების ჩატარების დროს ცალკეული მატარებლების წონა ძირითადად იცვლება 500–1000 ტონის ფარგლებში და როგორც გრაფიკიდან ჩანს 10კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას საბჯენის გადაადგილების მანძილი იცვლება 2,5-5,5მ-ის, ხოლო 15 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას 5,5-13,5მ-ის ფარგლებში.

როგორც ცნობილია არსებული დამჭერი ჩიხების სიგრძე იცვლება 500–1500 მეტრის ფარგლებში, ხოლო ქანობის სიდიდე აღწევს 25‰-მდე. ქანობზე დამჭერი ჩიხის მოწყობა საკმაოდ ძვირი ჯდება. ამიტომ განსაკუთრებით ეფექტური იქნება ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის გამოყენება დამჭერ ჩიხებში ნულოვან ქანობზეც.

დასკვნა

საქართველოს რკინიგზაზე RAWIE ფირმის მიერ შემუშავებული 16ZEB ტიპის ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის გამოყენება მიზანშეწონილია მემანქანის უყურადღებობით ან მუხრუჭების გადახურებით მართვადაკარგული მატარებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დამჭერ ჩიხებში ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის კომბინაციების გამოყენება დამჭერი ჩიხების დაპროექტების ნორმების გადახედვის შესაძლებლობას იძლევა. ფრიქციულ ელემენტებიანი რკინიგზის საბჯენის კონსტრუქციის რელსებზე წაცურების მანძილის დიაგრამა საშუალებას გვაძლევს წინასწარ განისაზღვროს მოძრავი შემადგენლობის სიჩქარე და წონა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Friction Element Buffer Stop Type 16 ZEB. www.rawie.de
2. Тупиковые упоры. Общие требования к проектированию, изготовлению и эксплуатации ВМУ 50:48:0075-02-02, www.OpenGost.ru
3. Тупиковые упоры. Рекомендации к проектированию, изготовлению и эксплуатации. РД 50:48:0075.02.05 Москва 2005. www.complexdoc.ru
4. **И.П. СТАРШОВ.** Повышение безопасности движения в тупиковых путях.
5. Распоряжение ОАО «РЖД» от 29 декабря 2012г. №2790р. Инструкция по обеспечению безопасности движения поездов при производстве путевых работ. М. 2012. 197 с.
6. **ბ. რურუა.** რკინიგზის ლიანდაგის კონსტრუქცია და ტექნიკური მომსახურება. “პოლიგრაფი-სტი” - თბილისი, 2012. – 507 გვ.

ПОВЫШЕНИЕ БЕЗОПАСНОСТИ ДВИЖЕНИЕ Поездов ПРИ ДВИЖЕНИИ В ТУПИКОВЫХ РЕЛЬСАХ

Н. Руруа, Г. Самсиани

Резюме

В статье рассмотрены вопросы повышения безопасности движения поездов при движении в тупиковых путях и процессе проведения маневрирования работ в станционных путях. Проанализированы недостатки работы существующих в железнодорожных тупиковых опорах конструкций в тупиковых путях. Предлагается использование в станционных тупиковых путях и блокирующих тупиках современных железнодорожных держателей с фрикционными элементами, который состоит из прикрепленных к рельсам тормозных блоков. В результате столкновения с упором обеспечивается безопасность движения подвижного состава за счет сопротивления перемещению на рельсах фрикционных элементов поезда. Установлены значения расстояний скольжения поезда с фрикционными элементами в результате его столкновения с железнодорожным упором в зависимости от скорости и веса подвижного состава.


IMPROVEMENT OF TRAIN TRAFFIC SAFETY AT MOVEMENT IN DEADLOCKS

N. Rurua, G. Samsiani

Summary

In the article are considered the issues of improvement of trains traffic safety at movement in deadlocks and shunting process in station tracks in. Are analyzed shortcomings of current railway deadlock outriggers structures in deadlock tracks. Is proposed the application in station deadlock tracks and blocking deadlocks of modern railway holders with friction elements that consists of attached on track rails brake blocks. As result of collision with the holder is provided the rolling stock traffic safety due resistance of movement on rails of train friction elements. Are determined the values of sliding length of train with friction elements as result of its collision with railway holder in dependency of rolling stock velocity and weight.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 656.222

**მოცემულ მტაკზე საქართველოს რკინიგზის
გადაზიდვითი პროცესის სრულყოფის
აქტუალური პრობლემები**

პ. ქენჭაძე, ო. ყლატიშვილი, ლ. თელია, გ. ცერცვაძე, გ. კაციტაძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია დღევანდელ პირობებში საქართველოს რკინიგზის სტაბილური ფუნქციონირებისათვის საჭირო საკვანძო საკითხების გადაჭრის აქტუალობა მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაზრდის, სარკინიგზო-საზღვაო კომპლექსის მუშაობის ოპტიმიზაციისა და სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების კუთხით. მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაზრდის აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს რკინიგზაზე საშიში ტვირთების (თხევადი ნავთობტვირთები) გადაზიდვის (მთლიანი ტვირთნაკადის 60%) ფაქტორით. სარკინიგზო-საზღვაო კომპლექსის მუშაობის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებაზე გადაზიდვითი პროცესის სრული ციკლის დამამთავრებელი ფაზის რაციონალურ განხორციელებას. სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება გაზრდის მგზავრნაკადების მოცულობას სარკინიგზო ტრანსპორტზე.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური სისტემა, უახლესი ტექნოლოგიები, სატრანზიტო გადაზიდვები, კონკურენტუნარიანობა.

შესავალი

საქართველოს რკინიგზის ფუნქციონირებაში, მისი დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი:

1. გადაზიდვით პროცესში მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლების აუცილებლობა;
2. გადატვირთვის პუნქტის (სარკინიგზო-საზღვაო კომპლექსის) მუშაობის ოპტიმიზაცია;
3. სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება.

აღნიშნული სამივე საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს რკინიგზის სტაბილურ მუშაობასთან და მის შემდგომ განვითარებასთან.

პირითადი ნაწილი

დღეისათვის საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტით გადაიზიდება ტვირთები შუა აზიის ქვეყნებიდან და უახლოეს მომავალში განხორციელდება ტვირთების გადაზიდვა შორეული აღმოსავლეთის (ინდოჩინეთის) ქვეყნებიდანაც. რამდენადაც პრიორიტეტულია საქართველოს რკინიგზით ტვირთების გადაზიდვა, იმდენად გართულებულია ამ ტვირთების გადაზიდვითი პროცესი საქართველოს რკინიგზის საუღელტეხილო უბანის ურთულესი პროფილის გამო. „უწყინარ“ სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო ტვირთებთან ერთად გადაიზიდება სტრატეგიული ნედლეული და მასთან გათანაბრებული სხვადასხვა სახის საშიში ტვირთები. ყველა ეს ტვირთი საქართველოს რკინიგზის გავლით მიეწოდება ევროპის ქვეყნებს, საპორტო სადგურების – ბათუმისა და ფოთის მეშვეობით [1].

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო მასშტაბით მწვავედ დგას დღის წესრიგში გარემოს დაბინძურების პრობლემები. ბოლო ათწლეულებში გარემომცველი ბუნება განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული, ეკოლოგიური სისტემა და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მასშტაბით სამოქმედო პროგრამის განხორციელება მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხდება ეკოსისტემასთან მჭიდრო კავშირში. ეკოსისტემის მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით ხორციელდება თანამედროვე სატრანსპორტო გადაზიდვები, იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს ჩვენი გარემომცველი ბუნება, ფლორა და ფაუნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის აუცილებელია სხვადასხვა ნომენკლატურის საშიში ტვირთის და მათთან გათანაბრებული ტვირთების გადაზიდვითი პროცესის განვითარების უახლესი ტექნოლოგიების შესწავლა და მთლიანად ამ პროცესის ოპტიმიზაცია უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ეკოლოგიური რისკების შემცირების მიზნით.

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, სარკინიგზო დარგის სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ სათანადოდ და ჯეროვნად არ არის შესწავლილი საკითხთა კომპლექსი, რომელიც თავიდან აცილებდა გაუთვალისწინებელ შედეგებს განსაკუთრებით ისეთ ექსტრემალურ სიტუაციებში, როგორცაა კატასტროფა, ავარია წუნი მუშაობაში და სხვ. აქ მხედველობაში გვაქვს საშიში ტვირთების წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების სფეროებში ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, დახვეწა და გაუმჯობესება, შესაძლო რისკების თავიდან აცილების გზები [2, 3].

ჩატარებული ანალიზის მიხედვით საშიში ტვირთებიდან საქართველის რკინიგზაზე უპირატესად გადაიზიდება ადვილად აალებადი სითხეები (ნავთობი და ნავთობპროდუქტები) და შეკუმშული და გათხევადებული გაზები. უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობისა და ნავთობტვირთების წილი საერთო ტვირთნაკადში დაახლოებით 60%-ია.

დღეისათვის, როდესაც საქართველო ინტეგრირებულია მსოფლიოს სატრანსპორტო სისტემაში და მის ტერიტორიაზე შეუზღუდავად ხორციელდება სატრანზიტო ტვირთების ტრანსპორტირება და მათ შორის საშიში ტვირთებისაც, მათი გადაზიდვითი პროცესის გაუმჯობესება და უსაფრთხოების ღონის ამაღლება, შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს რკინიგზის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს რკინიგზის ტექნიკური აღჭურვილობის საექსპლუატაციო საიმედოობის ამაღლების ღონისძიებები; ეს მდგომარეობა უპყვლისა ეხება რკინიგზის ლიანდაგს, მოძრავ შემადგენლობასა და სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობებს. ამ კუთხით საქართველოს რკინიგზაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მსოფლიოში აპრობირებული უახლესი ტექნოლოგიების შესწავლასა და ცხოვრებაში დანერგვის საქმეში.

დადგენილია, რომ დღეისათვის საქართველოს რკინიგზაზე მთლიანი გადაზიდვების დაახლოებით 90% სატრანზიტოა. აქედან, სუფთა ტრანზიტი შეადგენს დაახლოებით 67-68%, ექსპორტი მერყეობს 7-8%-ის ფარგლებში და იმპორტია დაახლოებით 15%. მხოლოდ მთლიანი ტვირთნაკადის 10% მოდის ადგილობრივ გადაზიდვებზე [4].

როგორც სარკინიგზო გადაზიდვითი პროცესის ანალიზმა გვიჩვენა, სატრანზიტო ტვირთების ათვისებაში ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზებია:

– გადასამუშავებელი შემადგენლობების დაყოვნება (შეფერხება) საპორტო სადგურის მისაღვომებთან;

– სარკინიგზო-საზღვაო კომპლექსში ტვირთების შეუთანხმებელი მიტანა როგორც ტრანსპორტის ერთი, ასევე მეორე სახეობის მხრიდან;

– არარაციონალური ურთიერთქმედება სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტს შორის.

ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან პირველი – უშუალოდ ეხება საპორტო სადგურის წინა უბნებს, ხოლო დანარჩენი ორი – სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედებას, როგორც მშრალი, ასევე თხევადი ტვირთების გადამუშავების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს საპორტო სადგურების მუშაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გადასამუშავებელი ტვირთების ნომენკლატურა. ტვირთების სახეობების, გადაზიდვების წლიური მოცულობის, სეზონური არათანაბრობისა და გარემო პირობების მოქმედების მიხედვით, თანამედროვე სარკინიგზო-საზღვაო კომპლექსის ფუნქციონირების სფეროები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მათ მუშაობაში წარმოადგენს ინტენსიური და გამჭოლი ტექნოლოგიები, რაც პირველ რიგში გულისხმობს ტვირთების მინიმალური მენახვის ვადებს და ზოგ შემთხვევაში ამ ვადების უგულვებელყოფას. ასევე მრავალფეროვანია ამ კომპლექსების კონსტრუქციული გადაწყვეტა გადასამუშავებელი გენერალური ტვირთების სახეობების მიხედვით. მნიშვნელოვანია საწყობების რაციონალური სქემები და მუშაობის პროგრესული ორგანიზაცია.

ამ თვალსაზრისით საქართველოს საპორტო სადგურები ვერ პასუხობენ წაყენებულ მოთხოვნებს. უმთავრესი მიზეზი ასეთი მდგომარეობისა არის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადატვირთვის პუნქტის ტექნიკური საშუალებების ურთიერთმიმართ არაჰარმონიული, არარაციონალური განვითარება სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ტექნოლოგიური პარამეტრების ურთიერთშეუსაბამობა, ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ხარისხი და როგორც შედეგი ასეთი მდგომარეობისა – მთლიანი სატრანსპორტო კომპლექსის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზირების შეუძლებლობა [5].

ამრიგად, საქართველოს სარკინიგზო-საზღვაო კომპლექსების მუშაობის ოპტიმიზაციის აქტუალობა უდავოა. ამ მიზნით გამოსაკვლევეა არსებული რეზერვების გამოვლენისა და მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებდა არსებულ სიტუაციას და აამაღლებდა ამ კომპლექსების მუშაობის ეფექტურობასა და ხარისხს.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოს წამყვან „სარკინიგზო“ ქვეყნებში მწვავედ დადგა საკითხი სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების რაციონალიზაციის შესახებ. სატრანსპორტო ბაზარზე

ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის ყოველწლიური პროგრესი საგრძნობლად „ავიწროვდა“ სარკინიგზო ტრანსპორტს ერთიან სატრანსპორტო სისტემაში,

საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის მხრიდან სარკინიგზოს „შევიწროება“ განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ. ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზი იყო საავტომობილო სამგზავრო პარკის განვითარების მკვეთრი ტემპი, კერძოდ მცირე ტევადობის ავტობუსების შეცვლა უფრო დიდი ტევადობისა და გაბარიტების ავტობუსებით. სრულიად განახლდა შიგა საქალაქო, საგარეუბნო, საქალაქთაშორისო და რეგიონალური მიმოსვლის სისტემა. ახალი საავტომობილო სამგზავრო პარკი თავისი წინამორბედისაგან განსხვავდებოდა გაუმჯობესებული საექსპლუატაციო პირობებით, მგზავრობის სიმარტივითა და კომფორტულობის მაღალი დონით.

სავტომობილო სამგზავრო პარკის ინტენსიური და პროგრესული განვითარება ხდებოდა იმ დროს, როცა გაზრდილი მგზავრნაკადების ასათვისებლად საბჭოთა კავშირის რკინიგზები და მათ შორის საქართველოს რკინიგზაც (მაშინდელი ამიერკავკასიის რკინიგზა), განიცდიდა მოძრავი შემადგენლობის ქრონიკულ დეფიციტს. იმ პერიოდისათვის მთავარი მიზანი იყო მოსახლეობის როგორმე დაკმაყოფილება ტრანსპორტით, ხოლო მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეები და კომფორტულობის დონე, მიუხედავად დიდი მცდელობისა, რომ პრიორიტეტული დარჩენილიყო სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვებში, შექმნილი სიტუაციის გამო, ვერ აკმაყოფილებდნენ წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნული მიზეზის გამო 1975 წლიდან თითქმის საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991 წელი) მგზავრნაკადების მოცულობა საავტომობილო ტრანსპორტზე განუწყვეტლივ იზრდებოდა სარკინიგზოს წინააღმდეგ, ცვალებადობის დიაპაზონი იყო 0-6% [6].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების წინაშე წამოჭრა სხვადასხვა, ტრადიციულისაგან პრინციპულად განსხვავებული მოთხოვნები. მთავარი ამ მოთხოვნებში იყო კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე, რამეთუ სატრანსპორტო ბაზარზე ტრანსპორტის ის სახეობა დაიჭერდა მტკიცედ ადგილს, რომელიც უკეთესად უზრუნველყოფდა სატრანსპორტო კავშირებს, ანუ იქნებოდა კონკურენტუნარიანი [7].

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, ტრანსპორტის ნებისმიერ სახეობაზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი კრიტერიუმებია ტრანსპორტირების ვადები ანუ მოძრაობის სიჩქარეები, სამგზავრო ტარიფები, მგზავრობის სიმარტივე და უსაფრთხოებისა და კომფორტულობის ხარისხი. უმთავრესი ამ კრიტერიუმებიდან არის მოძრაობის სიჩქარეები. როგორც

ანალიზმა გვიჩვენა, 1995 წლის შემდეგ მგზავრნაკადების მოცულობა საავტომობილო ტრანსპორტზე განუხრელად იზრდება, ხოლო სარკინიგზოზე მცირდება. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვითი პროცესი არის არაკონკურენტუნარიანი, რისი შედეგიც სახეზეა: თუ 1960 წელს სარკინიგზო ტრანსპორტის წილი გადაყვანილი მგზავრების მთლიან რაოდენობაში იყო დაახლოებით 40-45%, 1990 წლისათვის ეს სიდიდე 2%-მდე შემცირდა, ხოლო დღეისათვის შეადგენს 0,9% [6].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების თვალსაზრისით საქართველოში ძიძიკაა. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ სამგზავრო გადაზიდვების პროგრესული განვითარების კუთხით მოწინავე პოზიციებზე დგანან ტრადიციული „სარკინიგზო“ ქვეყნები: იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია, ესპანეთი და სხვ. მათ რიცხვს ბოლო ათწლეულებში მიემატა ჩინეთი და თურქეთი, რომლებიც სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების თვალსაზრისით არა თუ მოწინავე, არამედ საშუალოზე უფრო დაბალ დონეზე იდგნენ [8]. უკანასკნელი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება და ცხოვრებაში გატარება.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს რკინიგზის პირობებში მსოფლიოში აპრობირებული ყველა მოწინავე მეთოდისა და ტექნოლოგიის გამოყენება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია არსებული გადაზიდვითი პროცესის სრულყოფა, რაც საქართველოს რკინიგზას უახლოეს მომავალში მოუწევს, რათა მყარად დაიმკვიდროს ადგილი სატრანსპორტო ბაზარზე. ზემოთ მოყვანილი საკვანძო საკითხების გადაჭრა აუცილებელია უახლოეს მომავალში, რათა საქართველოს რკინიგზამ სრულფასოვნად დააკმაყოფილოს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, როგორც სატვირთო, ასევე სამგზავრო გადაზიდვების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **პ. ქენჭაძე.** სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვითი პროცესის ოპტიმიზაციის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007. – 247 გვ.

2. Правила безопасности при перевозке опасных грузов железнодорожным транспортом. Екатеринбург, ИД «Урал Юр Издат», 2010. – 64 с.
3. Аварийные карточки на опасные грузы, перевозимые по железным дорогам СНГ, Латвийской Республики, Литовской Республики, Эстонской Республики. Москва, «Транспорт», 2000. – 845 с.
4. ჰ. ქენქაძე, გ. თელია, კ. შარვაშიძე. მოცემულ ეტაპზე საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებაზე რეალურად რეალიზებული სიმძლავრისა და მისი გაზრდის ღონისძიებათა შესახებ. საერთაშორისო კონფერენციის „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ შრომათა კრებული. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014, გვ. 300-303.
5. **Морчиладзе Д.Д., Кенкадзе П.З.** и др. Рационализация совершенствования условий взаимодействия железнодорожного и морского транспорта. Тбилиси, научно-технический журнал «Транспорт», № 1-2, 2009, стр. 7-9.
6. საქართველოს სტატისტიკის წელიწადეული. სტატისტიკის მთავარი სამმართველო. თბილისი, 2011. – 299 გვ.
7. **Кенкадзе П.З.** Актуальные вопросы развития железнодорожных пассажирских перевозок в современных условиях. Международный научный журнал «Проблемы прикладной механики», № 1, Тбилиси, 2003, стр. 123-127.
8. **Киселев И.П.** Высокоскоростной железнодорожный транспорт: современные вызовы и перспективы развития. Научно-теоретический и технико-экономический журнал «Железнодорожный транспорт» № 2, 2013, стр. 70-77.

**АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ
ПЕРЕВОЗНОГО ПРОЦЕССА ГРУЗИНСКОЙ ЖЕЛЕЗНОЙ
ДОРОГИ НА ДАННОМ ЭТАПЕ**

П.З. Кенкадзе, О.С. Клатеишвили, Л.Г. Телия, Г.Г. Церцвадзе,

Г.Ю. Кацитадзе

Резюме

В статье рассмотрена актуальность решения узловых вопросов в виде увеличения качества безопасности движения оптимизации работы железнодорожного морского комплекса и

повышения уровня конкурентоспособности железнодорожно-пассажирских перевозок для стабильного функционирования Грузинской железной дороги в современных условиях. Необходимость повышения качества безопасности движения, вызвана фактором перевозки опасных грузов на грузинской железной дороге (наливные нефтепродукты, 60% от общего грузопотока). Оптимизация работы железнодорожно-морского транспорта будет способствовать рациональному осуществлению заканчивающей фазы полного цикла перевозочного процесса. Повышение уровня конкурентоспособности железнодорожных пассажирских перевозок увеличит объем пассажиропотоков на железнодорожном транспорте.


CURRENT ISSUES OF IMPROVEMENT OF CARRYING PROCESS OF GEORGIAN RAILWAY ON RECENT STAGE

Kenkadze P.Z., Klateishvili O.S., Telia L.G., Tsertsvadze G.G., Katsitadze G.Iu

Summary

In the article is considered the topicality of solving the key problems in the form of increased quality of traffic safety optimization of railway marine complex operation and improvement of the competitiveness of railway passenger transport for the recent stable functioning of Georgian. The necessity to improvement of traffic safety quality is caused by factor of dangerous loads transportation on the Georgian Railway (bulk petroleum products, up to 60% of the total freight traffic). The optimization of railway and sea transport will contribute to the rational implementation of ending phase of full cycle of transportation process. The improvement of the competitiveness of railway passenger transportation will increase the volume of passenger traffic on the railways.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 339;626.9

მრეწველობის მენეჯმენტის განვითარების მაკროეკონომიკური პრობლემები

გ. ტყეშელაშვილი ზ. კუპატაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საბაზრო ურთიერთობის განვითარებისათვის საბაზრო ინფრასტრუქტურის 4 სახეობა. მითითებულია, რომ ამ სახეობიდან ჩვენთან ყველაზე მოწესრიგებულად მიიჩნევა სავალუტო ბაზარი, ხოლო საბაზრო ინფრასტრუქტურის სეგმენტი-საფინანსო ბაზარი - ანუ ფასიანი ქაღალდების ბირჟა საქართველოში თანდათანობით ვითარდება და მოყვანილია მისი სრულად ამოქმედებისათვის მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. სტატიაში მითითებულია, რომ საბაზრო ინფრასტრუქტურა ვერ იქნება სრულყოფილი თუ ფართო გასაქანი არ მიეცემა საბაზრო ინფრასტრუქტურის ატრიბუტებს, სასაქონლო ბირჟას და შრომით ბირჟებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბირჟები ფუნქციონირებენ, მათი ავტორიტეტი მოსახლეობაში ძალიან დაბალია. სტატიაში გაანალიზებულია მაკროეკონომიკური პრობლემის გამოვლენის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან მრეწველობის განვითარების ეფექტიანობას და მითითებულია, რომ ჩვენს შემთხვევაში ეს არის მაკროეკონომიკის მენეჯმენტის არაეფექტურობა და სავადასახო კანონმდებლობა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მრეწველობა, საბაზრო ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკა.

შესავალი

საქართველოს მრეწველობა, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგები, განვითარებად მდგომარეობაშია. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3600\$-ია და მსოფლიოს 187 ქვეყნიდან 111-ე ადგილს იკავებს.¹

სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელმა სახელმწიფო საკუთრების პრიორიტეტმა, ცენტრალიზებულმა ღირებულებმა დაგეგვამ და ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიზაციამ, წარმოშვა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორცაა: მუშაკის გაუცხოება წარმოების საშუალებისაგან, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, განვითარების სტიმულირების დაქვეითება, კორუფცია და ა.შ. ამ ტენდენციებმა განსაკუთრებული სიმძლავრით იჩინა თავი ეკონომიკური რეფორმების არაორგანიზებულად დაწყების შემდეგ და გამოიწვია სამრეწველო წარმოების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა. ასევე მწვავე აღმოჩნდა სიტუაცია ეკონომიკის ბაზისურ დარგში-მრეწველობაში, რომელიც როგორც ცნობილია, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების დონეს. მიტომ ცხადია, რომ საქართველოს წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის გადასაჭრელად უწინარეს ყოვლისა საჭიროა სამამულო მრეწველობის განვითარება.

ძირითადი ნაწილი

საბაზრო ურთიერთობების განვითარება გულისხმობს დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულების თავისუფალ ურთიერთობებს, რაც საბაზრო ინფრასტრუქტურის დონით მნიშვნელოვნად განისაზღვრება.

დღეისათვის საბაზრო ინფრასტრუქტურა მოიცავს ძირითადად 4 სახის ბაზარს- სავალუტო, საფინანსო, სასაქონლო და შრომითს. ²

საქართველოს საბაზრო ინფრასტრუქტურიდან დღეისათვის ჩვენთან ყველაზე მოწესრიგებულად მიიჩნევა სავალუტო ბაზარი, იგი გულისხმობს სავალუტო ურთიერთობებს,

¹ lists of countries of the world sorted by their gross domestic product per capita at nominal values. საიტი: [https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)_per_capita](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita). ადამოწმებულია 20.04.2015.

² ტყეშელაშვილი გ., ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. №3, 2011წ. გვ. 21-29.

ეროვნულ და კომერციულ ბანკებს, კომერციულ და საკრედიტო დაწესებულებებს, კომერციულ-საკრედიტო ინსტიტუტებსა და კლიენტებს შორის. ეროვნულ ბანკსა და სხვა კომერციულ საკრედიტო ინსტიტუტებში ურთიერთვაჭრობა, რაც განსაზღვრავს ეროვნული ვალუტების კურსის შესაბამისობას სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში ხორციელდება უპირატესად საქართველოს ეროვნული ბანკთან არსებულ “ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე”. ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის სტაბილური გაცვლის კურსების შენარჩუნება სხვა წამყვან სახელმწიფოთა ეროვნული ვალუტებთან მიმართებაში, ასევე ვალუტის ინფლაციის ტემპების ისე შენარჩუნება, რომ იგი არ გამოვიდეს საყოველთაოდ აღიარებული ინფლაციის ტემპების გარეთ.

საქართველოს მოქმედი ეროვნული ვალუტა “ლარი”, მიმოქცევაში შემოვიდა 1995 წლის ოქტომბრიდან. მანამდე 1993 წლიდან მიმოქცევაში იყო ე.წ. გარდამავალი ფულის ერთეული “კუპონი”.

საქართველოს ეროვნული ფულადი ერთეულის ერთეული “ლარის” კურსის ცვლილება მისი გაიაფების თუ გამყარების მიმართულებით, დროის მცირე მონაკვეთებში უარყოფითად მოქმედებს მისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლებაზე და შესაბამისად საწარმოო აქტივობაზე, მათ შორის სამრეწველო საწარმოების კომერციული გეგმების წარმატებით გატარებაზე.

საბაზრო ინფრასტრუქტურის შემდეგი სეგმენტი – საფინანსო ბაზარი, ანუ როგორც მას უწოდებენ, ფასიანი ქაღალდების ბირჟა საქართველოში ეხლა იკიდებს ფეხს და მისი სრულად ამოქმედებისათვის მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებია ხელისშემშლელი. უპირველესი მიზეზი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობისა ჩვენთან შექმნილი სააქციო საზოგადოებების აქციათა ღირებულების არარეალობაში ძვეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია საკმაო რაოდენობის სააქციო საზოგადოებები, აქციებიდან რეალურ შემოსავალს იღებენ მხოლოდ ის მესაკუთრეები, რომლებიც აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან. სხვა “წვრილი” აქციონერების მიერ მიღებული დივიდენდები ან ძალიან მცირეა აქციათა ღირებულებასთან მიმართებაში, ან სრულებითაც ვერ იღებენ დივიდენდებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზებული სტრუქტურა ჩამოყალიბებულია. მისი სრულად ამოქმედებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საწარმოებში სააღრიცხვო საქმის მოწესრიგება, ობიექტების აქციათა ბირჟის მეშვეობით, რეალიზაცია და ბირჟაზე გამოტანილი აქციების რაოდენობის გაზრდა ვაჭრობაში მონაწილე სააქციო საზოგადოებათა რიცხვის ზრდის საშუალებით.

საბაზრო ინფრასტრუქტურა ვერ იქნება სრულყოფილი თუ საქართველოში ფართო გასაქანი არ მიეცა სასაქონლო ბირჟების ქსელს.

სასაქონლო ბირჟების შექმნა, როგორც წესი წინ უსწრებს სავალუტო და საფინანსო ბირჟების ფორმირებას.

დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მაგრამ მათი ფუნქციონირება ვერ ხორციელდება. ამის მიზეზი შესაბამისი საბირჟო კანონმდებლობის უქონლობასთან ერთად მრეწველობის სტაგნაცია, კლანური ეკონომიკა, ეკონომიკაში კორუფციული სფეროს დიდი ნაწილი და პარალელურად სხვა სახის ბირჟათა არასაკმარისი განუვითარებლობაა. საერთოდ, სასწრაფოდაა მისაღები ზომები სასაქონლო ბირჟების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია სამრეწველო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და პროდუქციის გასაღების ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამ მიმართულებით საჭიროა სრულად იქნას გამოყენებული საქართველოს სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალი. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტი ქმნის ხელსაყრელ პირობებს სასაქონლო ბირჟებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარებისათვის, მაგრამ აქ ძირითადი ხელისშემშლელი კლანური ეკონომიკა და მონოპოლისტური წარმოებაა.

საბაზრო ინფრასტრუქტურის აუცილებელ ატრიბუტს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საქმეში, წარმოადგენს შრომითი ბირჟები. შრომითი ბირჟების ქსელი თითქმის ყველა, საშუალოდაც განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი ფართოდაა წარმოდგენილი. ისინი კადრების დასაქმების ძირითადი ამოცანის პროცესებსაც წარმართავენ. ამავე დროს, შრომითი ბირჟების მონაცემები ზუსტად უნდა ასახადეს ნებისმიერი კატეგორიის უმუშევართა რიცხვონობას შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის. საქართველოში კი ასეთი ბირჟები მხოლოდ კერძო ფირმების სახით ფუნქციონირებენ და შესაბამისად მათი ავტორიტეი მოსახლეობაში და სამუშაოს მაძიებლებში ძალზე დაბალია. მიტომაც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო არ მონაწილეობს უმუშევრების მატერიალურ დახმარებაში, არ არის დაინტერესებული უმუშევართა გადამზადებაში და რაც მთავარია დასაქმებაში. ასეთი ვითარება ჩამოყალიბდა 2004 წლიდან, როდესაც მანამდე ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი შრომითი ბირჟები საერთოდ გაუქმდა და მათ ჩაენაცვლა ეკონომიკის სამინისტრო დასაქმების სამსახური, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და საერთოდ თითქმის უფუნქციოდაა.

ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში, კრიზისის აღმოსაფხვრელად უდიდესია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების როლი. ჯერ-ჯერობით საქართველოს მაკროეკონომიკური მმართველობა არ ხასიათდება ეფექტიანობით. მის გარეშე კი შეუძლებელია შეიქმნას წარმატებული სამეწარმეო და ბიზნეს გარემო.

მაკროეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლენა, რაზეც დამოკიდებულია მრეწველობის ეფექტიანობა, მნიშვნელოვნად განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემოთი.

საგადასახადო გარემოს განსაზღვრას საგადასახადო კოდექსი. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში გამოყენებული საგადასახდო სისტემა ეკონომიკურ მეცნიერებაში კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით და მისგან დამოკიდებულებით უმეტესწილად განასხვავებენ: პროპორციულ და არაპროპორციულ, რეგრესიულ და სხვა საგადასახადო სისტემებს. საქართველოს საგადასახადო სისტემა შეიძლება დახასიათდეს, როგორც არაპროპორციული, არადიფერენცირებული, მკაცრი სისტემა, რადგანაც იგი არ ითვალისწინებს გადასახადთა ტარიფების დიფერენცირებას ცალკეული დარგების და ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ამასთან, გადასახადთა სახეობები მრავალრიცხოვანია, განაკვეთი მაღალია.

საგადასახადო კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესმენებისა და მომუშავეებისათვის შემდეგია: დამატებული ღირებულების, მოგების, და საშემოსავლო გადასახადები. მათი განაკვეთები ამ ბოლო დროს უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მცირდება, თუმცა სასურველი ლიბერალური მაკროეკონომიკური გარემოსაგან ჯერ კიდევ ძალიან შორსაა.

საგადასახადო გარემოს ასეთი არაწამახალისებელი საწარმოო მიმართულების გამო, ბიზნესმენები იძულებული არიან დამაღონ გადასახადები, მოახდინონ შემოსავლების ჩვენების მანიპულირება, რაც თავისთავად ზრდის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გაფართოებას.

საშემოსავლო გადასახადი აშშ-ში და ევროკავშირის სახელმწიფოებშიც დიფერენცირებულია. აშშ-ში იგი იცვლება 15-დან 39,6 პროცენტამდე, ამასთან 39 000 დოლარის შემოსავალი, დაუბეგრავი მინიმუმია.

ევროკავშირის სახელმწიფოებში დიფერენცირებულია დღგ-ს გადასახადი. მაგალითად, გერმანიაში იგი მერყეობს 0-დან 15-პროცენტამდე. ჩვენთან კი ასეთი დიფერენცირება არ არის გათვალისწინებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტყემელაშვილი გ. და სხვ. ფირმის მენეჯმენტი. თბ. სტუ. 2014. 323 გვ.;
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბ. 2015. 274 გვ.;
3. რ. მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბ., 2009. გვ. 3-28;
4. ისმაილოვი ე., პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი, 2007. გვ. 167;
5. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 г. Тбилиси, 1988г. стр. 14, 44.

МАКРОЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ РАЗВИТИЯ УПРАВЛЕНИЯ ПРОМЫШЛЕННОСТИ

Г. Ткешелашвили, З. Купатадзе

Резюме

В данной статье рассматриваются 4 основных вида рыночной инфраструктуры для развития рыночных отношений. В частности, изложено, что из вышеприведенных видов, в Грузии упорядоченным считается валютный рынок, тогда как такие сегменты рыночной инфраструктуры как финансовый рынок и биржа ценных бумаг находятся в стадии медленного развития. В статье приведено множество как субъективных так и объективных факторов необходимых для полноценного развития рыночной инфраструктуры. Также указано, что для совершенствования рыночной инфраструктуры необходимо развитие товарной биржи и биржи труда. Не смотря на наличие этих бирж, доверие к ним среди населения находится на низком уровне. Статья также касается анализа выявления причин макроэкономических проблем. Данное обстоятельство

препятствует динамичному развитию индустрии, что в нашем случае выявляется в плане неэффективности макроэкономического управления и налогового законодательства.


MACROECONOMIC PROBLEMS OF INDUSTRY MANAGEMENT DEVELOPMENT

G. Tkeshelashvili, Z. Kupatadze

Summary

The article refers to the four basic species of market infrastructure relation development. It is indicated that the most adjustable from these species is to be considered the currency market, while the market infrastructure segment- finance market -i.e. securities exchange is gradually developing in Georgia. There are some objective and subjective factors for its full actuation. As it is noted in the article market infrastructure cannot be in a perfect state if market infrastructure attributes, commodity exchange and labor exchange are not to be given a wide scope. Although such stock exchanges operate, their reputation among the population is quite poor. The main reasons of macroeconomic problem detection are analyzed in the work. It hinders the effectiveness of industry development and is pointed out that in our case it is due to ineffectiveness of macroeconomic management and tax legislation.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 622.8.8.:614.8

**ატრაქციონების კონსტრუქციების, მონტაჟის და
ემსკლუატაციის საკითხები მათი ტექნიკური უსაფრთხოების
თვალსაზრისით**

ა. ბეჟანიშვილი, მ. შილაკაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ატრაქციონებისა და მათი კვანძების დასამზადებლად საჭირო ლითონკონსტრუქციების შედუღებისათვის გამოყენებული მასალების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. აღწერილია ატრაქციონების მართვის ორგანოების, ელექტრომომწოდებლობის ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე ტექნიკური მომსახურების, რემონტის, დიაგნოსტიკისა და გამოცდის სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის საჭირო ზომები. მოცემულია ნაგებობებისა და კონსტრუქციების სავსაყუაცო გასასვლელების, აივნების, სცენების, გალერეებისა და კიბეების ოპტიმალური პარამეტრები მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით. განხილულია განათების, კარავ-პავილიონების გათბობის და განიავების საკითხები. მოცემულია ატრაქციონების ექსპლუატაციაში მიღებისა და ტექნიკური შემოწმების ზოგადი მოთხოვნები.

საკვანძო სიტყვები: ატრაქციონის ლითონკონსტრუქციები; ცეცხლდამცავი ხსნარი; სავსაყუაცო გასასვლელი; ატრაქციონის სტატიკური და დინამიკური გამოცდა.

შეჯავალი

ატრაქციონი წარმოადგენს მოწყობილობას ან მოწყობილობათა კომპლექსს, რომელიც გადაადგილდება ან მგზავრს გადაადგილებს გართობის მიზნით საზოგადოებრივი თავშეყრის

ადგილებში და მიეკუთვნება გაზრდილი ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს.

საწარმოს ტექნიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ატრაქციონების გამართული მდგომარეობა და უსაფრთხო ექსპლუატაცია სათანადო მომსახურების, ტექნიკური შემოწმებისა და რემონტის ორგანიზების გზით [1,2]. ამისათვის საწარმოს ტექნიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა:

ა) განსაზღვროს ატრაქციონებისა და მისი ცალკეული ელემენტების პერიოდული დათვალიერების, ტექნიკური მომსახურების და რემონტის თანამიმდევრობა;

ბ) შეიმუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია პასუხისმგებელი პირისათვის, აგრეთვე საწარმოო ინსტრუქცია – მომსახურე პერსონალისათვის და უზრუნველყოს მათი შესრულება.

სამუშაოზე დამოუკიდებლად დაშვებამდე მომსახურე პერსონალმა უნდა გაიაროს საწარმოო ინსტრუქციისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების ცოდნის შემოწმება.

სამუშაოზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც ატრაქციონზე მუშაობის დაწყებამდე გავლილი აქვთ ინსტრუქტაჟი ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ. სხვა ტიპის ატრაქციონზე სამუშაოდ დაშვებამდე პერსონალმა უნდა გაიაროს ახალი სამუშაოს შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

მომსახურე პერსონალის მიერ ყოველდღიურად, მუშაობის დაწყებამდე, უნდა შემოწმდეს ატრაქციონის ტექნიკური გამართულობა, ხოლო საკვანძო მაერთებელი ადგილები, მოძრავი და სხვა მნიშვნელოვანი ნაწილები, ბაგირები, ჯაჭვები, მუხრუჭები და სხვა მცველი მოწყობილობა უნდა გაკონტროლდეს მუდმივად მუშაობის პროცესშიც. გამოვლენილი დაზიანებები უნდა აღმოიფხვრას მყისიერად, ხოლო აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ატრაქციონის ექსპლუატაცია უნდა შეჩერდეს.

პირითადი ნაწილი

ატრაქციონების და მათი კვანძების კონსტრუქცია უნდა იყოს უსაფრთხო და საიმედო მათი ვარგისიანობისათვის დადგენილი ვადის პერიოდში, აგრეთვე უნდა იძლეოდეს მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური შემოწმების, რემონტის ჩატარების და საექსპლუატაციო კონტროლის შესაძლებლობას.

ატრაქციონის ლითონკონსტრუქციები და კვანძები დაცული უნდა იყოს კოროზიისაგან და მათში წყლის დაგროვებისაგან. ნაგებობები (კონსტრუქციები), რომლებიც გათვალისწინებულია მოძრავი ატრაქციონის დასამონტაჟებლად, უნდა უძლებდეს დატვირთვებს, რომლებიც წარმოიქმნება ატრაქციონის ექსპლუატაციისა და გამოცდის დროს. კონსტრუქცია და მოწყობილობა, რომელიც

საჭიროებს პერიოდულ მომსახურებასა და ზედამხედველობას, აღჭურვილი უნდა იყოს კიბეებითა და შემოღობილი ბაქნებით.

ჰიდრავლიკური სისტემის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ისეთი კონსტრუქცია, რომ ავარიულ სიტუაციებში (წნევის დაცემა, მილსადენების რღვევა, შეერთებათა ჰერმეტიზაციის დარღვევა, ძრავას გაჩერება და სხვ.) გამორიცხული იყოს ატრაქციონის თვითნებური დაშვების შესაძლებლობა ლითონკონსტრუქციის ელემენტებთან შეხებისას.

ჭანჭიკები, ქანჩები, სოლები და სხვა სამაგრი დეტალები, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს ვიბრაცია, დაცული უნდა იქნეს თვითამოხრახნისა და სოლის თვითნებურად ამოვარდნისაგან. უძრავი ღერძები, რომლებიც გამოიყენება ატრაქციონის ცალკეული ნაწილების საყრდენებად, საიმედოდ უნდა იქნეს დამაგრებული მათი შესაძლო გადაადგილების გამოსარიცხად, ურიკები კი აღჭურვილი უნდა იყოს თვლების რელსებიდან აცდენისა და მოწყვეტისაგან დამცავი მოწყობილობით.

ატრაქციონის დასამზადებლად მასალა უნდა შეირჩეს ელემენტების დატვირთვის ხარისხის, გარემოს ტემპერატურის ზღვრული მნიშვნელობების გათვალისწინებით, მათი მუშა და არამუშა მდგომარეობისათვის, ხოლო მონაცემები გამოყენებული მასალის მარკისა და ტემპერატურის ზღვრული მნიშვნელობების შესახებ მითითებული უნდა იყოს ატრაქციონის ტექნიკურ დოკუმენტაციაში. ატრაქციონის დასამზადებლად გამოყენებული უნდა იქნეს ძნელადააღებადი მასალები.

ატრაქციონებში გამოყენებული დეკორაციები, ფარდები, აგრეთვე მათ ახლოს მდებარე ურნები უნდა დამზადდეს ძნელადიწვებადი მასალისაგან ან უნდა დამუშავდეს ცეცხლდამცავი ხსნარით. ფოთლოვანი ან წიწვოვანი მასალის გამოყენების შემთხვევაში მასალა უნდა დამუშავდეს ცეცხლდამცავი ხსნარით.

ლითონკონსტრუქციების შედუღებისათვის გამოყენებული შესადუღებელი მასალები უნდა უზრუნველყოფდეს ლითონის ნაკერისა და შედუღებული შეერთების ისეთ მექანიკურ თვისებებს (სიმტკიცის ზღვარი, დენადობის ზღვარი, დარტყმითი სიბლანტე, ფარდობითი დაგრძელება), რომლებიც არაა ნაკლები კონსტრუქციის ძირითადი ლითონის ჩამოთვლილი თვისებების ქვედა ზღვრულ მაჩვენებლებზე.

ატრაქციონის მექანიზმების ჩამრთველი და გადამრთველი მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს მექანიზმების თვითნებური ჩართვის ან გამორთვის გამომრიცხავი საშუალებებით. მართვის აპარატებზე მითითებული უნდა იყოს მოძრაობათა მიმართულების პირობითი აღნიშვნები ექსპლუატაციის მთელი

ვადის განმავლობაში. ატრაქციონის ნაწილების შეუთავსებელი მოძრაობებისაგან დასაცავად მართვის ორგანოები აღჭურვილი უნდა იყოს ბლოკირების საშუალებებით, რომლებიც გამორიცხავს რევერსული წრედების ერთდროულად ჩართვას.

ატრაქციონის ყველა მბრუნავი ნაწილი უნდა იყოს შემოღობილი ან გააჩნდეს დამცავი გარსაცმი. ლიანდაგებზე მოძრავი სამგზავრო მოდულების სავალი თვლები უნდა აღიჭურვოს თვლების ქვეშ უცხო საგნების მოხვედრის გამომრიცხავი ფარებით. ღრეჩო ფარსა და რელსს შორის არ უნდა აღემატებოდეს 10 მმ-ს.

ატრაქციონების ელექტრომოწყობილობის არაიზოლირებული დენგამტარი ნაწილები, რომლებიც განლაგებული არიან ისეთ ადგილებში, სადაც არ არის გამორიცხული მათთან შეხების შესაძლებლობა, უნდა იყვნენ შემოღობილნი. ატრაქციონებისათვის განკუთვნილი სადენები და დენმიძღებები მიუწვდომელი უნდა იყოს ატრაქციონის ჩასაჯდომი ადგილებიდან და სხვა ბაქებიდან (სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ ადამიანები) მათთან შემთხვევითი შეხებისათვის. ატრაქციონის ძრავას დაზიანების ან დენის გამორთვის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს სამგზავრო მოდულის (ატრაქციონით გასეირნებისას ადამიანის განსათავსებელი მოწყობილობა) მიყვანა ევაკუაციის განხორციელების ადგილამდე.

ატრაქციონის მოწყობილობა, რომელსაც ესაჭიროება ტექნიკური მომსახურება, მისაწვდომი უნდა იყოს მომსახურე პერსონალისათვის.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს ატრაქციონის ავტომატური გაჩერება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) დენის შეწყვეტისას;
- ბ) ფაზის მიწასთან შერთვის შემთხვევაში;
- გ) ძრავას გადამეტტვირთვისას.

ყველა ცილინდრი, დგუში, მილგაყვანილობა და სხვა არმატურა დეფორმაციის და რღვევის გარეშე უნდა უძლებდეს წნევას, რომელიც 2-ჯერ აღემატება მაქსიმალურ სტატიკურ სამუშაო წნევას ჰიდრაულიკური მოწყობილობისათვის და 1,5-ჯერ – პნევმატიკური მოწყობილობისათვის.

ატრაქციონის მექანიზმები აღჭურვილი უნდა იყოს მოწყობილობით, რომელიც ბაგირის ან ჯაჭვის დაჭიმულობის შესუსტებისას გამორიცხავს მექანიზმის გადაადგილებას, გარდა ნელი აწვევისა. ატრაქციონები, რომლებიც დისტანციურად იმართებიან კაბინიდან (პულტიდან), აღჭურვილი უნდა იყვნენ ხმოვანი სიგნალიზაციით.

ატრაქციონებში გამოყენებული ბაგირები არ უნდა იყოს გადაბმული. ატრაქციონებზე ბაგირები და ჯაჭვები ისე უნდა განლაგდეს და დამაგრდეს, რომ გამოირიცხოს ბაგირების დოლებიდან ან ბლოკებიდან, ხოლო ჯაჭვების – ვარსკვლავიდან ამოვარდნა და ლითონკონსტრუქციის ელემენტებთან შეხების შედეგად გადახეხვის შესაძლებლობა. ატრაქციონში გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ შეღულებულგოლებიანი ჯაჭვები.

ლითონკონსტრუქციის ელემენტების შეღულება უნდა განახორციელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებმა. ლითონის მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ჭრა უნდა წარმოებდეს ბზარების გაჩენის ან ნაწიბურებზე და თერმული გავლენის ზონაში ლითონის ხარისხის გაუარესების შესაძლებლობის გამომრიცხავი ტექნოლოგიით.

საშემდგომლო სამუშაოების ჩატარებისას დაცული უნდა იქნეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

ატრაქციონების დამზადების, რეკონსტრუქციის, რემონტის და მონტაჟის დროს შესრულებული შენადული შეერთების ხარისხის კონტროლი უნდა განხორციელდეს გარე დათვალიერებით, გაზომვებით და არამრღვევი კონტროლის ერთ-ერთი მეთოდით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სამუშაოების შესრულების ტექნიკურ პირობებში. კონტროლის დროს გამოვლენილი შენადული ნაკერის დეფექტური უბნები უნდა მოცილდეს მექანიკური წესით და მოხდეს მათი გადაღება.

ნაგებობებსა და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ორი საევაკუაციო გასასვლელი, რომელთა სიგანე არ უნდა იყოს 1 მ-ზე, ხოლო სიმაღლე – 2 მ-ზე ნაკლები. მანძილი ნებისმიერი ადგილიდან ღია სივრცეში გასასვლელად არ უნდა აღემატებოდეს 35 მ-ს, ხოლო მანძილი ნებისმიერი ადგილიდან საევაკუაციო გასასვლელამდე – 5 მ-ს. საევაკუაციო გასასვლელის სიგანის გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს 1 მ ყოველ 150 ადამიანზე, ხოლო ღია ტრიბუნებისათვის – 1 მ ყოველ 450 ადამიანზე. საევაკუაციო გასასვლელები ატრაქციონის მუშაობისას უნდა იყოს თავისუფალი და მათი გამოყენებისას – განათებული.

აივნები, სცენები, გალერეები და მსგავსი კონსტრუქციები, რომლებიც 20 სმ-ზე მაღალია, მყარად უნდა იყოს შემოღობილი. შემოღობვას უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1 მ-ის სიმაღლე და ისეთი კონსტრუქცია, რომ მათზე არ შეიძლებოდეს რაიმეს დადგმა ან დადგმა. 2 მ-ზე მაღალი კონსტრუქციის შემოღობვა ისე უნდა იყოს შესრულებული, რომ ბავშვებმა ვერ შეძლონ გაძრომა და მათზე გადაცოცება.

სცენებს, გალერეებს, აივნებსა და მსგავს კონსტრუქციებს, რომლებიც ადამიანებისთვისაა გათვალისწინებული, უნდა ჰქონდეს, სულ ცოტა, 2 ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კიბე.

კიბეები, რომლებიც ემსახურება ადამიანთა ნაკადებს, დაყოფილი უნდა იყოს 1-2,5 მ სიგანის მონაკვეთებად. ყოველ მონაკვეთს ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს მყარად დამაგრებული მოაჯირი. საფეხურების სიგანე უნდა იყოს 25-30 სმ, ხოლო სიმაღლე – 14-20 სმ. თუ კიბის ქვეშ გასასვლელები, დასაჯდომი ადგილები ან სავაჭრო ობიექტებია განთავსებული, მაშინ ისინი უკანა მხრიდან დახურული უნდა იყოს.

თუ კარავ-პავილიონი ან გადასატანი მოწყობილობა 200-ზე მეტი ადამიანისთვის არის გათვალისწინებული:

- ა) რიგებში სკამები უნდა იყოს მყარად დამონტაჟებული. სკამის სიგანე უნდა იყოს სულ მცირე 45 სმ. სკამების რიგებს შორის გასასვლელი უნდა იყოს, სულ მცირე, 45 სმ-ის სიგანის;
- ბ) გასასვლელებს შორის რიგში სკამების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16-ს;
- გ) ლოკებში, სადაც 10-ზე მეტი სკამია, ისინი მყარად უნდა იყოს დამონტაჟებული.

ატრაქციონის განათება უნდა იკვებებოდეს ელექტროქსელიდან. ბატარეებით განათება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სანათები მყარად არის დამონტაჟებული. ელექტროენერჯის გამორთვის შემთხვევაში უნდა ჩაირთოს საავარიო განათება.

პროექტორები ისეთი მანძილით უნდა იყოს დაშორებული აალებად მასალებს, რომ მათ ცეცხლი არ წაეკიდოთ. განსაკუთრებით უნდა იყოს დაცული მანძილი (1,5 მ) პროექტორებიდან ფარდებსა და დეკორაციებამდე. გადასატანი პროექტორების დასამაგრებლად გამოყენებული უნდა იყოს უწვავი მასალისაგან დამზადებული სამაგრები.

კარავ-პავილიონებში დაუშვებელია იმ გამათბობელი ხელსაწყოების გამოყენება, რომლებიც მყარ, თხევად ან აირად საწვავზე მუშაობს. ამ საწვავზე მომუშავე ღუმელები, რომლებიც კერძების დასამზადებლადაა გათვალისწინებული, განთავსებული უნდა იყოს თავშეყრის ადგილებიდან განცალკევებულ სამზარეულოებში.

ელექტროგამათბობელი მყარად უნდა იყოს დამონტაჟებული და ჰქონდეს უსაფრთხო გაყვანილობა. გამათბობლის სპირალები და სხვა მსგავსი ნაწილები აუცილებლად დახურული უნდა იყოს. გამათბობლის ზურგი და გვერდები, რომლებიც ძალიან ცხელდება ან ცხელ ჰაერს უშვებს, სულ მცირე 1 მ-ით უნდა იყოს დაშორებული კარვის კედლებიდან და აალებადი საგნებიდან, ხოლო ცხელი ჰაერის ნაკადის მიმართულებით – 3 მ-ით.

კარავ-პავილიონები უშუალოდ ღია სივრციდან უნდა განიავდეს. პავილიონში განთავსებულ სამზარეულოს უნდა ჰქონდეს გამწოვები. გამწოვი, რომელიც ცხიმით გაჯერებულ ჰაერს ატარებს, აღჭურვილი უნდა იყოს საცვლელი ფილტრით. კარავ-პავილიონებს, რომლებიც 1500-ზე მეტ ადამიანზე არის გათვალისწინებული, უნდა ჰქონდეს კვამლის გამწოვი მოწყობილობა. ამ მოწყობილობის გასაღები საშუალებები განთავსებული უნდა იყოს ადვილად მისაღწევ ადგილებში და წარწერიანი აბრებით აღნიშნული.

ცეცხლსაქრობები უნდა ინახებოდეს ადვილად შესამჩნევ და მისადგომ ადგილას და მუდმივად მზად უნდა იყოს მოხმარებისათვის. ცეცხლსაქრობი საშუალებების სახეობა, რაოდენობა და მათი შენახვის ადგილი განისაზღვრება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

ხალხის თავშეყრის ადგილებში თავისუფალი სივრცის სიმაღლე უნდა იყოს სულ მცირე 2,3 მ. ვაგონებსა და კონტეინერებში თავისუფალი სივრცის ყველაზე მაღალი წერტილის სიმაღლე არ შეიძლება იყოს 2,3 მ-ზე ნაკლები, ხოლო სივრცის არცერთ ადგილზე – 2,1 მ-ზე ნაკლები.

პავილიონების სიმაღლე ცენტრში უნდა შეადგენდეს სულ მცირე 3 მ-ს და არც-ერთ სხვა ადგილზე არ უნდა იყოს 2,3 მ-ზე ნაკლები. ტრიბუნებიდან პავილიონებში ყველაზე მაღლა განთავსებული რიგიდან ზევით თავისუფალი სივრცის სიმაღლე უნდა იყოს სულ მცირე 2,3 მ. სცენებისა და გალერეების თავზე და ქვემოთ თავისუფალი სივრცის სიმაღლე უნდა იყოს სულ მცირე 2 მ.

მზიდი კონსტრუქციები იმ ტრიბუნებისათვის, რომლებზეც განთავსებულია 10-ზე მეტი დასაჯდომი რიგი და რომელთა სიმაღლეთა შორის სხვაობა 32 სმ-ზე მეტია, უნდა დამზადდეს უწყავი სამშენებლო მასალისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს გარანდული ხის მასალა, რომელიც უნდა დამუშავდეს ცეცხლდამცავი ხსნარით. იატაკი და სკამები უნდა დამზადდეს ძნელადიწვებადი მასალისაგან.

რიგებში (საფეხურებზე) დასადგომი ადგილები უნდა იყოს სულ მცირე 50 სმ სიგანის, 10 სმ სიმაღლისა და 45 სმ სიღრმის. უსაფრთხოების მიზნით, ბოლო ზედა რიგი გადალობილი უნდა იყოს უკანა სივრციდან. ბოლო რიგის სკამების საზურგეს შეიძლება დაეკისროს გადალობვის ფუნქცია. ^{იმ შემთხვევაში, თუ დასადგომი ადგილები ხუთსაფეხურიან რიგზე მეტს შეადგენს, მაშინ ათი რიგი წინა და უკანა მხრიდან სულ მცირე 1,1 მ სიმაღლის ბარიერებით უნდა იყოს გამოყოფილი. თითოეული ბარიერის სიგანე უნდა იყოს სულ მცირე 3 მ და მათ შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 2 მ-ს.}

ატრაქციონის ექსპლუატაციაში გაშვება უნდა მოხდეს მისი ტექნიკური შემოწმების შემდეგ. ამასთან, მუშაობის დაწყებამდე ატრაქციონი უნდა ღარეგისტრირდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წერილობითი განცხადებისა და ატრაქციონის პასპორტის საფუძველზე, რომელშიც მოცემული უნდა იყოს ატრაქციონის ძირითადი ტექნიკური მონაცემები და მახასიათებლები. ქარხანა–დამამზადებლის ტექნიკური დოკუმენტაციის არმქონე ატრაქციონების რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს სპეციალიზებული ორგანიზაციის მიერ შედგენილი პასპორტის საფუძველზე. სპეციალიზებული ორგანიზაცია წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს ატრაქციონების დაპროექტებას, დამზადებას, მონტაჟს, ტექნიკურ ექსპერტიზას და დიაგნოსტიკას. პასპორტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) ატრაქციონის და მისი ცალკეული ელემენტების სიმტკიცის და მდგრადობის გაანგარიშებაზე დამყარებული დასკვნა;

ბ) ლითონკონსტრუქციის მასალის ქიმიური ანალიზის და მექანიკური თვისებების შესახებ დასკვნა;

გ) ლითონკონსტრუქციის მდგრადობის და შენადულ შეერთებათა ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა.

ატრაქციონებს, ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა ახლდეს დამამზადებლის შესაბამისობის დეკლარაცია, რომელშიც მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) დამამზადებლის დასახელება და მისამართი;
- ბ) ატრაქციონის ტიპი და ნომერი;
- გ) დამონტაჟების წელი;
- დ) დამამზადებლის ხელმოწერილი პირის მონაცემები.

საექსპლუატაციო დოკუმენტები (პასპორტი, საექსპლუატაციო და სამონტაჟო ინსტრუქციები) შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ატრაქციონმა ექსპლუატაციაში გაშვებამდე უნდა გაიაროს სრული ტექნიკური შემოწმება, ხოლო [3]-ის თანახმად – გეგმური ტექნიკური ინსპექტირება ყოველ მეორე წელს.

ატრაქციონის რეგარეშე ტექნიკური შემოწმება უნდა ჩატარდეს:

- ა) ახალ ადგილზე დაყენებით გამოწვეული მონტაჟის შემდეგ;
- ბ) რეკონსტრუქციის შემდეგ;
- გ) მზიდი ლითონკონსტრუქციის შედუღების გამოყენებით რემონტის შემდეგ;

- დ) სატვირთო ჯალამბრის კაპიტალური რემონტის ან შეცვლის შემდეგ;
- ე) ბაგირების შეცვლის შემდეგ.

ატრაქციონის სტატიკური და დინამიკური გამოცდა უნდა მოხდეს საექსპლუატაციო ინსტრუქციით გათვალისწინებული მოცულობით. საექსპლუატაციო ინსტრუქციაში გამოცდის ჩატარების მეთოდის არსებობის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) სტატიკური გამოცდა უნდა განხორციელდეს თითოეული სამგზავრო მოდულის (ჩასაჯდომი ადგილის) თანამიმდევრობით დატვირთვით. ტვირთის წონა 100%-ით უნდა აღემატებოდეს სამგზავრო მოდულის (ჩასაჯდომი ადგილის) ნომინალურ დატვირთვას. გამოცდის ხანგრძლივობა უნდა იყოს არა ნაკლებ 10 წუთისა;

ბ) დინამიკური გამოცდა უნდა ჩატარდეს თითოეული სამგზავრო მოდულის (ჩასაჯდომი ადგილის) დატვირთვით. ტვირთის წონა 10%-ით უნდა აღემატებოდეს სამგზავრო მოდულის (ჩასაჯდომი ადგილის) ნომინალურ დატვირთვას.

ატრაქციონები, რომელთაც ამოეწურათ სამუშაო რესურსი ან მუშაობის ნორმატიული ვადა, ექვემდებარებიან სავალდებულო საექსპერტო შემოწმებას მათი ტექნიკური მდგომარეობისა და შემდგომი ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის დასადგენად.

დასკვნა

ატრაქციონების კონსტრუირების და მონტაჟისას მომსახურე პერსონალის მხრიდან უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ატრაქციონების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების დონის ამაღლებას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესებას. შესაბამისად ატრაქციონების უსაფრთხო ექსპლუატაცია საზოგადოებისათვის უმაღლესი რიგის ამოცანაა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბუცხრიკიძე, ა. ბეჟანიშვილი, ზ. ჯავახიშვილი, ზ. ციციშვილი, დ. ვაშაკიძე. ატრაქციონების უსაფრთხოების წესები. შპს „დიაპროექტენტრი“, თბილისი, 2007. 59 გვ.
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №419 დადგენილება ატრაქციონების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცების თაობაზე.

3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის № 173 დადგენილება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

ВОПРОСЫ КОНСТРУИРОВАНИЯ, МОНТАЖА И ЭКСПЛУАТАЦИИ АТТРАКЦИОНОВ С ТОЧКИ ЗРЕНИЯ ЕГО ТЕХНИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ

Бежанишвили А.Г., Шилакадзе М.Е.

Резюме

В работе рассмотрены требования к материалам для сварки металлоконструкции при изготовлении аттракционов и их узлов. Описаны мероприятия для безопасного ведения работ по техническому обслуживанию, ремонту, диагностированию и испытанию аттракционов, функционирования органов управления и электрооборудования. Даны оптимальные параметры эвакуационных проходов, балконов, сцен, галерей и лестниц строений и конструкций для их безопасной эксплуатации. Рассмотрены вопросы освещения, отопления и проветривания палаток-павильонов. Даны общие требования приема в эксплуатацию и технической проверки аттракционов.


ISSUES OF ATTRACTIONS DESIGN, INSTALLATION AND OPERATION IN TERMS OF THEIR SAFETY

A. Bezhanishvili, M. Shilakadze

Summary

Requires for materials metalwork's welding for attractions and their groups' manufacture are considered. Measures, dealing with safe works during attractions maintenance, repair, diagnostics and testing, functioning of operating elements and parameters of evacuation passages, balconies, stages, galleries and stairs of buildings and constructions for their safety exploitation are given. Problems of lighting, heating and ventilation of tents-pavillons are considered. General requires of putting into operation and technical examination of attractions are given.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაკ 338.4;338.48.

**არამკაფიო ანალიზი და მისი გამოყენების კერძოპქტივა
მკონომიკური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის ღროს**

ი. ამანათაშვილი, თ. დიასამიძე, ნ. ელაშვილი, დ. შანიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში გაშუქებულია ტრადიციული და არატრადიციული მიღკომები ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სფეროში. კერძოდ, განხილულია არამკაფიო ანალიზის აპარატი და მისი გამოყენების პერსპექტივა ეკონომიკური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის ღროს.

რეკომენდაციის სახით შემოთავაზებულია, რომ ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის ღროს დაინერგოს ისეთი ეკონომიკური და მათემატიკური ინსტრუმენტები, რომელიც ერთის მხრივ, სრულად გაითვალისწინებენ ბიზნესის მართვის არსებულ რეალობას, ზოლო მეორეს მხრივ დაეფუძნებან ეკონომიკური მეცნიერების ისეთ თანამედროვე მიმდინარეობებს, რომელთავან ერთერთს წარმოადგენს არამკაფიო ლოგიკის თეორია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, ოპტიმიზაციის ამოცანები, არამკაფიო ანალიზი.

საქართველოს ეკონომიკის სრულყოფილი შესწავლისთვის აუცილებელია, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ანალიზის ზუსტი ტრადიციული და არატრადიციული მეთოდების ათვისება და გამოყენება. იმისათვის, რომ ეკონომიკური მეცნიერება პასუხობდეს რეალური ცხოვრების მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნას, საჭიროა მათემატიკის თანამედროვე მიღწევათა ფართო გამოყენება ეკონომიკურ კვლევებში. ეკონომიკური და მათემატიკური მეცნიერების

ურთიერთდაახლოების საფუძველზე ჩამოყალიბდა სწორედ ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მოდელირების მიმართულება.

ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ხშირად გამოიყენება ოპტიმალური დაპროგრამების მათემატიკური მეთოდები. როდესაც ხორციელდება საუკეთესო ამონახსნის ძიება გარკვეული კრიტერიუმით.

ოპტიმალური დაპროგრამების მეთოდის გამოყენება გულისხმობს უპირველეს ყოვლისა ოპტიმალური დაპროგრამირების მეთოდის მათემატიკურ ფორმულირებას, შემდგომ კი მის ამოხსნას და მიღებული შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციას.

მათემატიკური დაპროგრამირების წრფივი ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს სიმპლექს-მეთოდი [1], რომელიც გულისხმობს საწყისი საყრდენი მოდელის აგებას, ამ მოდელის კვლევას ოპტიმალურობაზე და ყველაზე საუკეთესო-მისაღები ვარიანტის შერჩევას.

მათემატიკური დაპროგრამების კლასიკურ ამოცანათა ამოხსნის ერთ-ერთ საინტერესო მეთოდს წარმოადგენს ლაგრაჟის ამომხსნელ მამრავლთა მეთოდი [1]. ამ მეთოდის გამოყენება მეტად ეფექტურია ამოცანების თეორიული ანალიზის დროს. მისი გამოყენება იძლევა საშუალებას მიღებულ იქნეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად არის დამოკიდებული მიზნის ფუნქციის ოპტიმალური მნიშვნელობის ცვლილება შეზღუდვათა მუდმივების ცვლილებაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ორადი შეფასებების [1] (dual estimation methods) მეთოდის გამოყენება წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანების ამოხსნისას. მოცემული ამოცანების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების პარამეტრები გამოხატავენ მკაფიოდ განსაზღვრულ ეკონომიკურ შინაარსს. ორადი შეფასებების ეკონომიური არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოხატავს რესურსების და პროდუქტების ერთეულთა ოპტიმალურ ფასებს.

აღსანიშნავია სტოქასტიკური მოდელირების მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების [2] განსაკუთრებული როლი, კერძოდ, კორელაციურ-რეგრესიული და დისპერსიული ანალიზის მეთოდების როლი ეკონომიკურ კვლევებში.

კორელაციური და რეგრესიული ანალიზი [1,3] ითვლება ერთ-ერთ მთავარ მეთოდად მარკეტინგულ კვლევებში, ოპტიმიზაციურ გათვლებთან და ტრენდების მათემატიკურ და გრაფიკულ მოდელირებასთან ერთად. ფართოდ გამოიყენება როგორც ერთფაქტორიანი, ასევე მრავლობითი კორელაციური მოდელები.

კორელაციური ანალიზის მეთოდი ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში, როგორც თეორიული,

ისე პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

კორელაციური ანალიზის მეთოდის გამოყენების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს წარმოების სფეროში არსებული დამოკიდებულებების გამოკვლევა, რომელიც წარმოებს ეგრეთწოდებული საწარმოო ფუნქციების [4] საშუალებით.

ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ხშირად გვხვდება სიტუაციები, როდესაც საჭიროა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ ხშირად გამოიყენება თამაშთა თეორიის [1,3] აპარატი.

ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში ქსელური დაგეგმვის და მართვის მეთოდები. [5]

ეკონომიკის სფეროში პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის დროს, ხშირად, წარმოიქმნება ერთ მიზანს დაქვემდებარებულ სამუშაოთა რთული ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული კომპლექსების დაგეგმვის, ურთიერთშეთანხმების ურთიერთდაკავშირების აუცილებლობა. ასეთი ამოცანების ამოხსნის მეტად ეფექტურ საშუალებად გვევლინება ქსელური დაგეგმვის და მართვის მეთოდი. განხილული ტრადიციული მეთოდების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოდ დასკვნა, რომ აუცილებელია მათემატიკის თანამედროვე მიღწევათა ფართოდ დანერგვა ეკონომიკურ კვლევებში. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების შესწავლა, სისტემატიზაცია, სრულყოფა და შემდგომი განვითარება. ფაქტიურად, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და დღევანდელ პირობებში წარმოდგენილია ეკონომიკური პროცესების კვლევა, დაგეგმვა, ოპტიმიზაცია და მართვა მათემატიკური მეთოდების გამოყენების გარეშე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათემატიკური აპარატი, ეკონომიკური კვლევების დროს, უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ ძირითად და უმთავრეს ინტრუმენტს ყველა კომპეტენტური ეკონომისტისათვის.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად ხდება ამ დროს შესასწავლი მოვლენების (ან პროცესების) ზოგად კანონზომიერებათა ასახვა მათ შესაბამის მოდელში.

თუმცა, ძირითადი სირთულეები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც შემავალი პარამეტრები ხდებიან გაურკვევლობის (განუსაზღვრელობის) მატარებელნი და ამავდროულად, გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებების შედეგებზე.

ამ გარემოებებმა წარმოშვეს სწორედ არამკაფიო ლოგიკის თეორიის შექმნის და შემდგომ, გამოყენების აუცილებლობა.

ფუნდამენტური განსხვავება ტრადიციული სიმრავლეთა თეორიას და არამკაფიო სიმრავლეთა თეორიას შორის მდგომარეობს ელემენტების ჩართულობის ხარისხში მონაცემთა ერთობლიობაში (სიმრავლეში). კლასიკურ სიმრავლეთა თეორიაში ელემენტი, ან ეკუთვნის სიმრავლეს ან არ ეკუთვნის მას. არამკაფიო სიმრავლეში, ელემენტი სიმრავლეს ეკუთვნის გარკვეული ჭეშმარიტების ხარისხით, ჩვეულებრივ 0-დან 1-მდე ინტერვალის დამაჯერებლობით. არამკაფიო ლოგიკის მოდელებში დასაშვებია ობიექტი ეკუთვნოდეს ერთზე მეტ ექსკლუზიურ ერთობლიობას სხვადასხვა დონის დამაჯერებლობით ან სანდოობით. არამკაფიო ლოგიკა აღიარებს ცოდნის არქონას ან/და ზუსტი მონაცემების არარსებობას, და ეს აშკარად უშვებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას ცვლადებს შორის. ცვლადების უმრავლესობა აღწერილია ლინგვისტურ ტერმინებში, რაც არამკაფიო ლოგიკის მოდელებს ხდის უფრო ინტუიტიურს, მსგავსად ადამიანის აზროვნებისა. ეს არამკაფიო მოდელები გამოსადეგია მაგალითად რისკების ახსნის, შეფასებისა და გაგებისათვის, რომლებიც კარგად არ არის შესწავლილი.

არამკაფიო ლოგიკური სისტემები გვეხმარება გავამარტივოთ მასშტაბური რისკების მართვის სისტემები. რისკებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო რაოდენობრივი ალბათური მოდელები, არამკაფიო ლოგიკის სისტემა ეხმარება მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების დადგენაში, რისკის ხარისხის შეფასებაში, იმის გათვალისწინებით, როგორია არსებული მონაცემები და ექსპერტთა მოსაზრებები. გარდა ამისა, არამკაფიო ლოგიკის სისტემები მოიცავს წესებს, რომ მკაფიოდ ახსნას კავშირი, დამოკიდებულება და ურთიერთობები მოდელირებად ფაქტორებს შორის. ეს გამოსადეგია რისკის შემცირების გადაწყვეტილების ძიებისას.

არამკაფიო სიმრავლეთა თეორია და არამკაფიო ლოგიკის მოდელები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა სახის მოდელებში. ესენია ბაიესიანი (Bayesian), ხელოვნური ნეირონული ქსელები, მარკოვის ჯაჭვები და "გადაწყვეტილების ხის" მოდელები (decision tree models). ასეთ გაფართოებულ მოდელებს აქვს პოტენციალი რომ გადაწყვიტოს რისკების შეფასების რთული პრობლემები (Shang et al.2013).

ანალიტიკური დამოკიდებულებები ცვალებად პროცესებს ან სისტემებს შორის უცნობია ან რთულად ასაგებია. ისინი იყენებდნენ ამ წესებს მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზისათვის, კორპორატიული გაკოტრების პროგნოზების მიზნით. საფინანსო-საკრედიტო რისკების ანალიზის დროს(Li at el. 2011). ალბათური მოდელები ძირითადად გამოიყენება რისკების რაოდენობრივ განსაზღვრის და შეფასების შემთხვევაში. ისინი წარმოადგენენ ფუნდამენტურ საფუძველს

დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების დროს, რომელიც დაკავშირებულია რისკების სხვადასხვა სფეროსთან. თუმცა, ალბათური მოდელი აგებულია კლასიკურ სიმრავლეთა თეორიაზე და შეიძლება ვერ აღწერდეს გარკვეული რისკებს შინაარსიანად და პრაქტიკული თვალსაზრისით. გამოცდილების არქონის, რთული მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების და არაზუსტი მონაცემების შემთხვევაში რთულია ანალიზი, მხოლოდ ტრადიციული ალბათური მოდელების გამოყენებით.

ალბათობის თეორიისგან განსხვავებით, არამკაფიო ლოგიკის თეორია აღიარებს ჭეშმარიტების არარსებობას ცხადი სახით, ანუ განუსაზღვრელობას. ის, ასევე, ადვილად შეიძლება ითვალისწინებდეს ინფორმაციის აღწერას ლინგვისტური სახით. არამკაფიო ლოგიკის მოდელები უფრო მოსახერხებელია, რადგან შესაძლებელია გავითვალისწინოთ ექსპერტთა სხვადასხვა მოსაზრებები და უფრო მორგებულია არასაკმარისი და არაზუსტი მონაცემების არსებობის შემთხვევაში. ზოგიერთი ოპერაციული და წარმოშობილი რისკები ვითარდებიან სწრაფად. რისკების მენეჯერებს შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა ან მონაცემები ალბათობის თეორიაზე დაფუძნებული მოდელებით პროცესების სრულმშტაბიანი შეფასებისთვის. არამკაფიო ლოგიკის მოდელებმა შეიძლება ითამაშონ მნიშვნელობანი როლი ბიზნეს-საწარმოსთვის ასეთი რისკების ზემოქმედების შეფასებაზე.

მას შემდეგ, რაც ლოტფი ზადეს მიერ (1965წ.) მიეცა დასაბამი ახალი მიმართულების შექმნას, გამოქვეყნდა უამრავი ლიტერატურა, რომელიც მოიცავს როგორც სამეცნიერო კვლევით, ასევე პრაქტიკული განხორციელების მეთოდებს თითქმის ყველა სფეროში, ფიზიკურიდან, სოციალური მეცნიერებების ჩათვლით.

ნაშრომის მიზანი მდგომარეობს არამკაფიო ლოგიკის შესაძლო გამოყენების ფართო სპექტრის შემოთავაზებაში და არა მისი უნივერსალურობის დამტკიცებაში.

უპაკ 629.4.014

საქართველოს საავტომობილო პარკის პროგნოზირება

ვ. ხარიტონაშვილი, გ. ხუდავერდოვი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, კოსტავას №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: საავტომობილო პარკის რაოდენობის პროგნოზირების შემოთავაზებული მეთოდი საშუალებას იძლევა ავტომობილიზაციის სტადიების მიხედვით განხილულ და შეფასებულ იქნეს საავტომობილო პარკის ფორმირების სხვადასხვა ვარიანტები. საპროგნოზო პერიოდში და ყველა განხილულ ვარიანტებში საავტომობილო პარკის ფორმირების პროცესში მისი რაოდენობის გაზრდა გაგრძელდება ავტომობილიზაციის მეორე სტადიისათვის დამახასიათებელი ტემპებით. ავტომობილიზაციის კრიზისულ წლებში მოსალოდნელია პარკიდან ავტომობილების ამორიცხვის კოეფიციენტის შემცირება და უპირველეს ყოვლისა ავტომობილების საექსპლუატაციო ვადის გაზრდა, რაც ერთი მხრივ უზრუნველყოფს პარკის გაზრდას შევსების კოეფიციენტის გაზრდის პირობებში, ხოლო მეორე მხრივ – გამოიწვევს პარკის დაძველებას და ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომობილებით იმპორტის მოცულობის გაზრდას, რაც თავის მხრივ გაზრდის სერვისული მომსახურების სისტემაზე დატვირთვას.

საკვანძო სიტყვები: საავტომობილო პარკი, ავტომობილი, პროგნოზირება.

შესავალი

სავტომობილო პარკის ფორმირება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს. პრაქტიკულად შეუძლებელია მოკლე დროში პარკის სტრუქტურის გარდაქმნა რაციონალურად. აქედან გამომდინარე, პარკის ფორმირების ამოცანა უნდა გადაწყდეს პერსპექტიული დაგეგმვით.

საავტომობილო პარკის ფორმირება არის ავტოსატრანსპორტო (ას) საშუალებებით შევსების, ამორიცხვის, მათი კონსტრუქციისა და ტექნიკური ექსპლუატაციის რეჟიმების გაუმჯობესების უწყვეტი პროცესების ერთობლიობა [1].

ნებისმიერი ქვეყნის ავტომობილიზაციის დონეს (ავტ/1000 მოსახლეზე) და განვითარების ტემპებს ახასიათებენ ას საშუალებების პარკის პარამეტრები. პარკის რაოდენობის ცოდნა საშუალებას იძლევა განისაზღვროს მის მიერ შესასრულებელი სატრანსპორტო სამუშაოს პოტენციური შესაძლებლობა, საჭირო რესურსები, მისი განვითარებისათვის სერვისის ობიექტები და საგზაო ინფრასტრუქტურა, პერსონალის რაოდენობა და ა.შ. ამ თვალსაზრისით საჭიროა პარკის რაოდენობის პროგნოზირება, ხოლო არაზუსტი პროგნოზირება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანაკარგებთან.

პირითადი ნაწილი

პარკის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალი მეთოდი, მაგალითად “მიღწეული დონის მიხედვით პროგნოზი”, ლოგისტიკური მრავალფაქტორული მოდელი, მრავალბიჯიანი მეთოდი. აღნიშნულიდან პირველი მეთოდი შედარებით მარტივია, მაგრამ არ ითვალისწინებს ავტომობილიზაციის ტემპებს დროში, მის სტადიებად განვითარებას, რაც უარყოფითად მოქმედებს პროგნოზირების სიზუსტეზე. მეორე მეთოდი აგებულია სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე, რაც გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იწყებენ ავტომობილიზაციის პროცესს მკვეთრად არის გამოკვეთილი ტემპების კანონზომიერება: განვითარების პირველ სტადიაზე მასშტაბები და ტემპები შედარებით დაბალია; მეორეზე – ტემპები განიცდის იტენსიურ ზრდას; მესამეზე – ტემპები ეცემა და იწყება მისი სტაბილიზაცია. ასეთი სქემა დამახასიათებელია დიფუზიისა და გაჯერების მექანიზმებისათვის და შეიძლება აღწერილ იქნეს რიგი მოდელებით, რომელთა შორის შედარებით ნაკლებად რთული და მინიმალურად საჭირო საინფორმაციო უზრუნველყოფით მოდელს წარმოადგენს S – მაგვარი ან ლოგისტიკური ფუნქცია $\Pi(t)$, რომლის მაჩვენებლის მიმდინარე მნიშვნელობა გამოისახება ფორმულით [2]:

$$\Pi(t) = \frac{\Pi_n}{1 + ae^{-bt}} \quad (1)$$


სადაც Π_n არის მაჩვენებლის ზღვრული მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება გაჯერების მომენტის დაწყებას; a, b – კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე

კონკრეტული პარკის ლოგისტიკური ფუნქციის მიმდინარეობას; e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე; t – დრო.

პარკის განვითარების ჩამოთვლილი ძირითადი სტადიების ნიშნები მოცემულია ნახ.-ზე.

პირველი სტადია (I) – სტარტი. ამ სტადიის დამახასიათებელია საავტომობილო გადაზიდვებზე მოთხოვნებისა და ავტოსატრანსპორტო მომსახურების ბაზრის წარმოქმნა. მაგრამ ავტომობილიზაციის დონე დაბალია.

მეორე სტადია (II) – საბაზო. მისთვის დამახასიათებელია ავტომობილების მასობრივი იმპორტი, საავტომობილო ტექნიკაზე ეკონომიკის დარგებისა და მოსახლეობის მოთხოვნების ინტენსიური ზრდა, მათ გამოყენებასთან დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურის, სერვისის ობიექტების,



ნახ. ავტომობილიზაციის ძირითადი სტადიები

სათადარიგო ნაწილებისა და საექსპლუატაციო მასალების რეალიზაციის ობიექტების განვითარება და ხასიათდება ავტომობილიზაციის მაღალი ტემპებით.

მესამე სტადია (III) – გაჯერება. მისთვის დამახასიათებელია სატრანსპორტო ბაზარზე მოთხოვნებისა და კონკურენციის გაზრდის წონასწორობის მდგომარეობასთან მიახლოება, საგზაო მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების გაზრდა, რაც მოითხოვს ავტომობილების შექმნაზე, ექსპლუატაციაზე, გადაზიდვებზე და სერვისულ მომსახურებაზე დანახარჯების გაზრდას, ავტომობილიზაციის ნეგატიური მოვლენების შედეგებთან, როგორცაა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და გარემოს დაბინძურება, ბრძოლის გაძლიერებას, ავტომობილიზაციის ტემპების შემცირებას.

მრავალფაქტორიან მოდელებში გათვალისწინებულია პარკში ავტომობილების რაოდენობაზე და ავტომობილიზაციის სხვა პარამეტრებზე ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორცაა საბაზო

(საწყისი) მაჩვენებლები, მოსახლეობის ცხოვრების დონე და მათი დასაქმება, საწვავ-საზეთო მასალების ფასი, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის დონე და სხვა. ამ მეთოდის გამოყენების ძირითად სირთულეს წარმოადგენს სარწმუნო და შეპირისპირებისათვის საჭირო ინფორმაციის დეფიციტი მნიშვნელოვან რეტროსპექტულ პერიოდში (წარსულის მიმოხილვა), განსაკუთრებით ფასების და სტატისტიკური სისტემის ცვლილების პერიოდში. გარდა ამისა, ეს მეთოდი, როგორც წინა ორი მეთოდი, ეფუძნება რეტროსპექტულ მონაცემებს, ამიტომ უძლურია გაითვალისწინოს ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციების მკვეთრი ცვლილებები (მაგალითად, საავტომობილო პარკის მდგომარეობაზე გავლენის ეკონომიკური კრიზისი). ამიტომ ასეთ სიტუაციებში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას საავტომობილო პარკის გაანგარიშებისა და პროგნოზირების ბიჯური (იტერატიული) მეთოდი, რომლის თანახმად საპროგნოზო პერიოდისათვის მიმდევრობით განსაზღვრული მუდმივი ბიჯით განისაზღვრება პარკის რაოდენობის ცვლილება მისი ავტომობილებით მოსალოდნელი შევსებისა და ამორიცხვის გათვალისწინებით. პარკის A_{i+1} რაოდენობის ($i+1$ წლის ან სხვა პერიოდის ბოლოს) განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ პარკის რაოდენობა A_i მიმდინარე წლის ბოლოს, შევსება A_{i+1}^H და ამორიცხვა A_{i+1}^B შემდეგი წლის განმავლობაში:

$$A_{i+1} = A_i + A_{i+1}^H - A_{i+1}^B \quad (2)$$

ამორიცხვისა და შევსების თანაფარდობა განსაზღვრავს არა მხოლოდ პარკის რაოდენობის ცვლილებას, არამედ მის სტრუქტურაც. მაგალითად, პარკის შევსების შეწყვეტამ ან შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ან დაძველება, ან რაოდენობის შემცირება, ან ამ მოვლენების კომბინაცია.

პარკის ცვლილების ტენდენციის დახასიათებისათვის განსაზღვრავენ აგრეთვე შევსების r და ამორიცხვის b კოეფიციენტებს:

$$r = \frac{A_{i+1}^H}{A_i} \quad (3)$$

$$b = \frac{A_{i+1}^B}{A_i} \quad (4)$$

როცა $r > b$ პარკი იზრდება, $A_{i+1} > A_i$ (გაფართოებული აღდგენა); $r < b$ – პარკი მცირდება, $A_{i+1} < A_i$ – პარკის დეგრადაცია; $r = b$ – პარკის სტაბილური მდგომარეობა, $A_{i+1} \approx A_i$ – მარტივი აღდგენა.

საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტომობილო პარკის ფორმირების უფრო დაწვრილებითი სქემა, რომელიც ითვალისწინებს საექსპლუატაციო პარკის შევსებისა და ამორიცხვის მაჩვენებლებს (მარკა, მოდელი, მგომარეობა, ამორიცხვის მიზეზი, უტილიზაცია და სხვა. ეს მეთოდიკა საშუალებას იძლევა გადაწყვეტილ იქნეს პარკის პროგნოზირების ამოცანები, მათ შორის პარკის ფორმირების მკვეთრი ცვლილების სიტუაციების პირობებში, კერძოდ, განისაზღვროს პარკის რაოდენობა, შეფასებულ იქნეს მისი შევსება და ცვლილება დროში, აგრეთვე პარკიდან ავტომობილების ამორიცხვის ტემპები, იმართოს პარკის ფორმირება გადაზიდვების საჭირო მოცულობის განხორციელებისათვის (შეიცვალოს შევსებისა და ამორიცხვის თანაფარდობა); აღდგენილ იქნეს მონაცემები, რომელთა შესახებ არ არსებობს ან არასაკმარისია ინფორმაცია (მაგალითად ამორიცხვის რაოდენობა) და სხვა.

საქართველოში 2012 წლის მონაცემებით პარკში ავტომობილების რაოდენობა შეადგენდა 806,3 ათას ერთეულს (აქედან მსუბუქი ავტომობილები 83,5%, ანუ 674,6 ათასი ერთეული). 20 წელზე მეტი ექსპლუატაციის ვადის ავტომობილების რაოდენობა – 44,2%, 11-დან 20 წლამდე – 46,7%, 7-დან 10 წლამდე – 4,5%, 4-დან 6 წლამდე – 2,7%, 1-დან 3 წლამდე –1,9%.

მსუბუქი ავტომობილების რაოდენობის ზრდის დინამიკა მოცემულია ცხრილში.

ცხრილი

მსუბუქი ავტომობილების პარკის ზრდის დინამიკა

წლები	%		სულ (ათ.ავტომ)	მსუბუქი (ათ.ავტომ)
	მსუბუქი	სულ		
2012	6,8	8,2	806,3	500,0
2011	6,9	7,4	745,2	490,0
2010	5,4	7,2	693,9	470,0
2009	6,1	7,2	647,2	430,0
2008	13,4	16,5	603,4	410,0
2007	–	–	517,6	350,0

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით 2025 წლამდე მოსახლეობის საკუთრებაში არსებული საქართველოს მსუბუქი საავტომობილო პარკის რაოდენობის ცვლილების შეფასებისას გამოყენებულ იქნა საწყისი სტატისტიკური მონაცემები რეტროსპექტულ პერიოდში (2007...2012 წ.წ.), რომელთა შედეგების დამუშავება გვიჩვენებს, რომ პარკის ზრდის ტემპების საშუალო წლიური მაჩვენებელი შეადგენს 7,3 %.

საპროგნოზო პერიოდში გაანგარიშებისას მიღებულ იქნა ამორიცხვის კოეფიციენტის სამი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლო ვარიანტების დიაპაზონს: ქვედა შეფასება (2%), რომელიც შეესაბამება ევროპულ და ამერიკულ რეტროსპექტულ პერიოდთან მიახლოებულ მონაცემებს, ზედა შეფასება (6%), რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ პერსპექტიული პერიოდის ბოლოს; შუალედური უფრო სარწმუნო შეფასება (4%).

პარკის რაოდენობის შევსება მიღებულია პროგნოზის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს 2012 წელთან შედარებით, შემდგომი გაზრდით 2025 წლამდე 60,0...70,0 ათ-მდე წელიწადში.

ამორიცხვის 4%-იანი კოეფიციენტის შემთხვევაში საქართველოს მსუბუქი ავტომობილების პარკი 2025 წელს შეიძლება შეადგინოს 1,5 მლნ. ანუ 2007 წელთან შედარებით გაიზრდება 4,5 - ჯერ, ხოლო მოსახლეობის 4,5 მლნ ადამიანით, საანგარიშო რიცხვის მიხედვით პარკის გაჯერება მიაღწევს შესაბამისად 1000 მცხოვრებზე 300...350 ერთეულს. შემდგომ წლებში პარკის ზრდა გაგრძელდება, თუმცა ბუნებრივია შემცირებული ტემპებით, ვიდრე რეტროსპექტულ პერიოდში.

რესურსების მოხმარების პროგნოზირებისას, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სხვა ფაქტორებიც როგორცაა მოძრაობის ინტენსიურობა და საექსპლუატაციო პირობების ცვალებადობა, ავტომობილების საიმედოობა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Харитонашвили В.А. Методы и средства повышения эффективности парка автомобильного транспорта. Тбилиси. Мецნიერება. 1997. 205 с.
2. Кузнецов Е.С. Прогнозирование размеров автомобильных парков в условиях стадийности процессов автомобилизации. М. Журнал Автомобильная промышленность №4, 2010, с.5-7.

PREDICTION PARK ROAD TRANSPORT OF GEORGIA

V. Kharitonashvili, G. Khudaverdovi

Summary

Method of predicting the size of the fleet of road transport on the stage of motorization allows review and quantify options for the formation of the park. In the forecast period and considered varintah process of forming the park road transport growth in the size of the park will continue to characterize the rate of the second stage of motorization, it is expected reduction in the rate of disposal of the simultaneous increase in the number of cars and aging fleet, which will increase the volume of imports of second-hand vehicles and the load on the service system.

ПРОГНОЗИРОВАНИЕ ПАРКА АВТОМОБИЛЬНОГО ТРАНСПОРТА


ГРУЗИИ

В. Харитонашвили, Г. Худавердов

Резюме

Предложенный метод прогнозирования количества автомобильного парка, даёт возможность рассмотреть и оценить разные варианты формирования автомобильного парка по стадиям автомобилизации. В период прогнозирования и во всех рассмотренных вариантах в процессе формирования автомобильного парка, рост его количества продолжается по темпам характеризующим вторую стадию автомобилизации. В кризисные годы автомобилизации ожидается уменьшение коэффициента выбывания, и в первую очередь увеличение эксплуатационного срока автомобилей, что обеспечивает увеличение парка в условиях увеличения коэффициента заполнения с одной стороны, а с другой вызовет устаревание парка и увеличение объёма импорта при помощи автомобилей бывших в эксплуатации, что в свою очередь увеличит нагрузку на систему сервисного обслуживания.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33) 2015

MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 656.135

**ძრავას ცილინდრების გამორთვით ავტოსატრანსპორტო
საშუალების საწვავის ხარჯის ნორმის განსაზღვრა**

ვ. ხარიტონაშვილი, ბ. ნაკაიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, კოსტავას №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ლოგისტიკური სისტემის მიწოდების ჯაჭვში სატრანსპორტო მომსახურების ტარიფები დამოკიდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციის სრულყოფაზე და თვითღირებულებაში ცვლად დანახარჯებზე. ამჟამად, როცა საწვავზე ფასები მუდმივად იზრდება, აქტუალური ხდება საწვავის რაციონალური ხარჯვის ღონისძიებების განხორციელება მისი ნორმირებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციისა და მოძრაობის რეჟიმების სრულყოფის გათვალისწინებით. დასაბუთებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების ძრავას ცილინდრების გამორთვით საწვავის ხარჯის ნორმების დაზუსტების რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს ლოგისტიკურ სისტემაში დანახარჯების რაციონალური გამოყენების სტრატეგიის რეალიზებას.

საკვანძო სიტყვები: ავტოსატრანსპორტო საშუალება, საწვავის ხარჯი, ძრავას ცილინდრების გამორთვა.

შეჯამება

საწარმოს ლოგისტიკის პოლიტიკა დაიყვანება დანახარჯების შემცირების სტრატეგიაზე. თანამედროვე ეკონომიკაში დანახარჯების ოპტიმალური დონის მიღწევა მომსახურების რეალური ტარიფების განსაზღვრით წარმოადგენს აქტუალურ საკითხს.

ლოგისტიკური სისტემის მიწოდების ჯაჭვში მომსახურების ტარიფები

ავტოსატრანსპორტო (ას) საშუალების კონსტრუქციის სრულყოფაზე და თვითღირებულებაში ცვლად დანახარჯებზე. ამჟამად, როცა საწვავზე ფასები მუდმივად იზრდება, აქტუალური ხდება საწვავის რაციონალური ხარჯვის ღონისძიებების განხორციელება ას საშუალების კონსტრუქციისა და მოძრაობის რეჟიმების სრულყოფით.

პირითადი ნაწილი

სატრანსპორტო პროცესში საწვავის ხარჯი შეიძლება მნიშვნელოვნად იქნეს შემცირებული ას საშუალების ძრავას ცილინდრების ნაწილობრივი გამორთვის მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ძრავას უქმ სვლაზე და მცირე დატვირთვების ყოველ გადასვლაზე ცილინდრების ჯგუფის გამორთვას [1,2].

ამავე დროს, საწვავის ხარჯის გაანგარიშებისა და ნორმირების არსებული მეთოდები არ იძლევიან საშუალებას ას საშუალების ექსპლუატაციაში რაოდენობრივად და ხარისხობრივად იქნას შეფასებული ძრავას ცილინდრების გამორთვის მოწყობილობის გავლენა საწვავის ხარჯზე.

საექსპლუატაციო პირობები შესაძლებელია აღიწეროს ევროპული საგამოცდო ციკლიდან, რომელიც შეიცავს ას საშუალების მუშაობის რეჟიმებს[3].

საგამოცდო შემადგენელ ციკლებში საწვავის ხარჯი (სმ³) განისაზღვრება ცხრილში მოცემული ფორმულებით.

ცხრილი

№	საგამოცდო ცხრილი	ფორმულა	აღნიშვნები
1	უქმი სვლის რეჟიმი	$Q_{xx(1)} = G_{lxx} \tau_{xx} / 3,6\rho_t$	G_{lxx} – ძრავას საწვავის საათური ხარჯი უქმ სვლაზე, კგ/სთ; G_{l1}, G_{l2} – საანგარიშო ინტერვალში საწყისი და საბოლოო საათური ხარჯი, კგ/სთ; n_1, n_2 – საანგარიშო ინტერვალში მუხლანა ლილვის საწყისი და საბოლოო ბრუნვათა სიხშირე, წთ ⁻¹ ; r_k – წამყვანი თვლების გორვის რადიუსი, მ;
2	გაქანების რეჟიმი	$Q_{\rho(2)} = \pi(G_{l1} + G_{l2}) \times (r_k / u_0 u_k j_s + C_t)(n_2 - n_1) / 216\rho_t$	u_0, u_k – მთავარი გადაცემისა და გადაცემათა ცვლის კოლოფის გადაცემათა რიცხვები; j_s – საშუალო აჩქარება ავტომობილის გაქანებისას საანგარიშო პერიოდში, მ/წმ ² ; C_t – კოეფიციენტი ითვალისწინებს საწვავის ხარჯის გაზრდას მუხლა ლილვის კუთხური
3	გადაცემათა გადართვის რეჟიმი	$Q_{nn(3)} = G_{lxx} \tau_{nn} / 3,6\rho_t$	
4	თანაბარზომიერი სიჩქარის რეჟიმი	$Q_{y(4)} = G_{ly} \tau_z / 3,6\rho_t$	
5	შენელების ჩართული გადაცემა	$Q_{z(5)} = 0$	

6	შენელების რეჟიმი გამორთული გადაბმულობა	$Q_{zc(6)} = G_{lx} \tau_{zc} / 3,6 \rho_t$	აჩქარებისგან დამოკიდებულებით, მ/წმ ² ; $\tau_{xx}, \tau_{nn}, \tau_z, \tau_{zc}$ – შესაბამისად უქმი სვლის, გადაცემათა გადართვის, თანაბარზომიერი სიჩქარის, გამორთული გადაბმულობით შენელების რეჟიმების დრო, წმ; ρ_t – საწვავის სიმკვრივე, გ/სმ ³ .
7	ექსპერიმენტულად მიღებული კოეფიციენტი	$K_e = G_{gg} / G_{gi}$	G_{gg} – ძრავას საათური ხარჯი ცილინდრების გამორთვის გარეშე, კგ/სთ; G_{gi} – საათური ხარჯი ცილინდრების გამორთვისას i – ური ალგორითმით
8	კოეფიციენტი	$K_i = Q_i / Q_{st}$	სადაც Q_i, Q_{st} – არის შესაბამისად ავტომობილის საწვავის ხარჯი გამორთული ცილინდრებით უქმ სვლაზე i – ური ალგორითმი და სტანდარტულ ციკლში
9	კოეფიციენტი ცილინდრების გამორთვისას	$K_{gi} = 0,6x + 0,4$	x – ცილინდრების გამორთვის ალგორითმი
10	კოეფიციენტი სტანდარტულ ციკლში	$K_{st} = 1,154x + 0,846$	
11	ცილინდრების გამორთვის ალგორითმი	$x = (i - k) / i$	i – ცილინდრების ჯამური რაოდენობა პერიოდში, k – გამორთული ცილინდრების რაოდენობა
12	საწვავის ხარჯი (ლ/100 კმ) ცილინდრების გამორთვის გარეშე	$Q_{gg} = 100Q_{st} / L = 100(Q_1 + Q_2 + Q_3 + Q_4 + Q_5) / (L_1 + L_2 + L_3 + L_4 + L_5)$	L – გარბენილი მანძილი ციკლის შემადგენელ დროში, მ
13	საწვავის ხარჯი (ლ/100 კმ) ცილინდრების გამორთვით სხვადასხვა ალგორითმით	$Q_g = K_i Q_{gg}$	–
14	მანძილი უქმ სვლაზე	$L_{xx(1)} = 0,$	
15	მანძილი გაქანების რეჟიმში	$L_{g(2)} = j_s \tau_r^2 / 2,$	τ_r – გაქანების დრო;
16	მანძილი გადაცემათა გადართვის რეჟიმში	$L_{gg(3)} = \tau_{gg} v_{gg} / 3,6$	τ_{gg} – გადაცემათა გადართვის დრო, წმ; v_{gg} – საშუალო სიჩქარე გადაცემათა გადართვისას მ/წმ
17	მანძილი მუდმივი სიჩქარის რეჟიმში	$L_{m(4)} = \tau_m v_m / 3,6,$	τ_m – თანაბარზომიერი სიჩქარით მოძრაობის დრო

18	მანძილი შენელებით ჩართული გადაბმულობით	$L_{sh(5)} = j_{sh} \tau_{sh} / 2,$	j_{sh} – შენელება ჩართული გადაბმულობით, მ/წმ ² ; τ_{sh} – ჩართული გადაცემით შენელებით მოძრაობის დრო, წმ
19	მანძილი (შენელება გამორთული გადაბმულობით)	$L_{shg(6)} = j_{shg} \tau_{shg} / 2$	j_{shg} – შენელება (უარყოფითი აჩქარება) გამორთული გადაბმულობით მ/წმ ² ; τ_{shg} – გამორთული გადაცემით შენელებით მოძრაობის დრო, წმ; v_m – საშუალო სიჩქარე დამყარებული მოძრაობის რეჟიმში მ/წმ
20	საწვავის აბსოლუტური საექსპლუატაციო ხარჯი	$Q_3 = Q_c + Q_{dg}$	Q_c – საგამოცდო ციკლის მიხედვით საწვავის ხარჯი, სმ ³ , Q_{dg} – დამატებითი მოწყობილობებზე და დგომის დროს საწვავის დამატებითი აბსოლუტური ხარჯი, სმ ³
21	საწვავის დამატებითი აბსოლუტური ხარჯი, სმ ³	$Q_{dg} = G_{dg} \tau_{dg} / 3,6\rho$	τ_{dg} – დამატებითი მოწყობილობების ფუნქციონირების საერთო დრო გაშვებული ძრავათი, წმ
22	საწვავის საექსპლუატაციო ხარჯი (სმ ³)	$Q_3 = K_{gi} Q_3 + K_{st} Q_{st}$	–
23	საწვავის ხარჯის ნორმა	$Q_H = 0,01 K_i H_s L(1 + 0,01D) + K_{st} Q_{dg} H_s$	– საბაზო ნორმა სტანდარტიზებულ პირობებში თითოეული მოდელისათვის, 1/100კმ. L – ას საშუალების განარბენი; კმ; D – შემასწორებელი კოეფიციენტი %; $K_{st} Q_{dg}$ – საწვავის დამატებითი ხარჯი, ლ.

საწვავის ხარჯი (სმ³) საგამოცდო შემადგენელ ციკლებში განისაზღვრება ფორმულებით: უქმი სვლის რეჟიმი (ფორმულა 1); გაქანების რეჟიმი (ფორმულა 2); გადაცემათა გადართვა (ფორმულა 3), თანაბარზომიერი სიჩქარის რეჟიმი (ფორმულა 4); შენელების რეჟიმი ჩართული გადაცემით (ფორმულა 5); გამორთული გადაბმულობით შენელების რეჟიმი (ფორმულა 6).

უქმ სვლაზე ძრავას ცილინდრების გამორთვის გათვალისწინებისათვის საწვავის ხარჯზე ზემოთ მოცემულ დამოკიდებულებაში მოყვანილია ექსპერიმენტულად მიღებული კოეფიციენტი K_e (ფორმულა 7) [4].

ას საშუალების საწვავის ციკლურ ხარჯზე ძრავას ცილინდრების გამორთვის გავლენის რაოდენობრივი შეფასებისათვის შემოტანილია K_i კოეფიციენტი შესაბამისად i – ური ალგორითმით (ფორმულა 8)

ცნობილია კვლევის შედეგებით ექსტრაპოლაციის გზით მიღებულია K_{gi} და K_{st} კოეფიციენტების განზოგადებული დამოკიდებულება ძრავას ცილინდრების გამორთვის ალგორითმისაგან [4] (ფორმულა 9, 10).

ას საშუალების საწვავის საგზაო ხარჯი ($1/100$ კმ) ცილინდრების გამორთვის გარეშე განისაზღვრება (ფორმულა 12).

რადგან $L = const$, ამიტომ საწვავის საგზაო ხარჯი ($1/100$ კმ) ცილინდრების გამორთვით სხვადასხვა ალგორითმით განისაზღვრება (ფორმულა 13).

მანძილი, რომელიც გაირბინა ას საშუალებამ შემადგენელ ციკლის რეჟიმის დროში, მ, იქნება: უქმი სვლა (ფორმულა 14); გაქანების რეჟიმი (ფორმულა 15); გადაცემათა გადართვა (ფორმულა 16); მუდმივი სიჩქარე (ფორმულა 17); შენელება ჩართული გადაბმულობით (ფორმულა 18); შენელება გამორთული გადაბმულობით (ფორმულა 19).

ას საშუალების ციკლური საწვავის ხარჯი განსხვავდება საექსპლუატაციო საწვავის ხარჯისგან იმ სიდიდით, რომელიც არ არის გათვალისწინებული ევროპული საგამოცდო ციკლებით ას საშუალების მოძრაობასთან.

ევროპული საგამოცდო ციკლის მიხედვით ას საშუალების გამოცდის დროს გამორთული უნდა იყოს ყველა საბორტო სისტემა: კონდენციონერი, აუდიო სისტემა, გამათბობელი და საჭით მართვის სისტემის გამაძლიერებელი. ევროპული მოძრაობის ციკლი არ ითვალისწინებს ძრავას შეთბობას (გაზომვები იწყება ძრავას გაშვების თანავე), გვერდითი მინების გაღებას (მინები უნდა იყოს დახურულ მდგომარეობაში), მასუქი ხელსაწყოების მუშაობას (გამოცდები ტარდება დღე-ღამის ნათელ პერიოდში), ას საშუალების დგომის პერიოდში გაშვებული ძრავათი მუშაობას. ამიტომ საწვავის აბსოლუტური საექსპლუატაციო ხარჯი Q_s ($სმ^3$) განისაზღვრება (ფორმულა 20), ხოლო საწვავის დამატებითი აბსოლუტური ხარჯი, $სმ^3$ - ფორმულით 21.

ას საშუალების საექსპლუატაციო ხარჯი ($სმ^3$) ძრავას ცილინდრების გამორთვისა და დამატებითი ხარჯის გათვალისწინებით ტოლია (ფორმულა 22).

ას საშუალების საწვავის ხარჯის ნორმატიული ხარჯი Q_H დამოკიდებულია საბაზო ნორმისაგან, რომლის კორექტირება ხდება საექსპლუატაციო პირობების მიხედვით. საწვავის ხარჯის ნორმა გამოისახება ფორმულით (ფორმულა 23).

აღწერილი მეთოდით სატრანსპორტი საშუალების ძრავას ცილინდრების გამორთვით საწვავის ხარჯის ნორმების დაზუსტება უზრუნველყოფს ლოგისტიკურ სისტემაში დანახარჯების რაციონალური გამოყენების სტრატეგიის რეალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Харитонашвили В. А. Двигатель внутреннего сгорания. Авт. Св. СССР №1329278, 1982.

2. ვ. ხარიტონაშვილი, პ. რატმანი. შიგაწვის ძრავა. საქართველოს პატენტი №747 F 02 D 17/02, გბ №3, 01.03.1997.

3. Правила “ЕЭК ООН” N101, (Документ E/ECE/324-E/ECE/TRANS/505/Rev.2/Add.100, введено в действий 01.01.97).

4. **А. А. Зеер, А. А. Мартынов.** Методика нормирования расхода топлива автомобилей с отключаемыми цилиндрами двигателя. Журнал “Известия Томского политехнического университета”. Энергетика. Сибирский федеральный университет. г.Красноярск. Выпуск №4. том 312, 2008.

DEFINITION OF CONSUMPTION RATES OF FUEL OF THE VEHICLE WITH THE SWITCHED OFF ENIGE CYLINDERS

V. Kharitonashvili, B. Nakaidze

Summary

Tariffs on transport services in a logistic chain of delivery depends on perfection of a design of the vehicle and variable expenses in cost of services. Now taking into account continuous growth of cost of fuel, gains relevance of implementation of actions for rational use of fuel taking into account its rationing and perfection of a design of the vehicle and the modes of the movement. Recommendations of specification of consumption rates of fuel of the vehicle with the switched-off engine cylinders that allows realization of strategy of rational use of expenses in logistic system are proved.


ОПРЕДЕЛЕНИЕ НОРМ РАСХОДА ТОПЛИВА АВТОТРАНСПОРТНОГО СРЕДСТВА С ОТКЛЮЧАЕМЫМИ ЦИЛИНДРАМИ ДВИГАТЕЛЯ

В. Харитонашвили, Б. Накаидзе

Резюме

Тарифы на транспортных услуг в логистической цепи доставки зависит от совершенства конструкции автотранспортного средства и переменных расходов в себестоимости. В настоящее время с учетом постоянного роста стоимости топлива, приобретает актуальность осуществления мероприятий по рациональному использованию топлива с учетом его нормирования и совершенства конструкции автотранспортного средства и режимов движения. Обоснованы рекомендации уточнения норм расхода топлива автотранспортного средства с отключаемыми цилиндрами двигателя, что позволяет реализацию стратегии рационального использования расходов в логистической системе.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 514.513

მალფატის ამოცანის ამოხსნა AutoCAD-ის დახმარებით

ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, კოსტავას №77,
თბილისი, საქართველო)


რეზიუმე: სტატიაში განხილულია ისეთი ამოცანის, როგორც არის მალფატის ამოცანის ამოხსნა დღეისათვის ყველაზე აქტუალური ავტომატური კომპიუტერული ხაზვის დაპროექტების AutoCAD პროგრამის საშუალებით, რითაც მიიღწევა ამოცანის ამოხსნის გამარტივება. AutoCAD-ი ანვითარებს სივრცით აღქმას, შემოქმედებით აზროვნებას და ხელს უწყობს საკონსტრუქტორო უნარ-ჩვევების განვითარებას. შემოთავაზებულია, მალფატის წრეებად ცნობილი, მალფატის ამოცანის ამოხსნა, რომელიც ეფუძნება ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის მეთოდებს. ავტომატიზირებული კომპიუტერული ხაზვისა და პროექტირების AutoCAD პროგრამამ საშუალება მოგვცა გაგვემარტივებია ამოცანის ამოხსნა, რომელიც თითქმის შეუძლებელი იყო.

საკვანძო სიტყვები: წრეწირი, სამკუთხედი, ამოცანა, რადიუსი, ბისექტრისა, მალფატი.

1803 წ. იტალიელმა მათემატიკოსმა მალფატიმ ჩამოაყალიბა ამოცანა: მოცემულ სამკუთხედში მოვათავსოთ სამი ურთიერთგადამკვეთი მაქსიმალური ფართობის წრეწირი. მალფატი ამ ამოცანის ამოხსნას ხელადა სამი ისეთი წრეწირის ჩახაზვაში, რომლებიც ჩახაზული იქნებოდნენ ამ სამკუთხედის კუთხეებში და შეეხებოდნენ ერთმანეთს. თუმცა მოგვიანებით დამტკიცდა, რომ ასეთი წრეწირები არცერთი სამკუთხედისთვის არ იძლევიან ამოცანის ამოხსნას. ამ წრეწირებს და ამოცანას მალფატის სახელი ეწოდა. თვითონ მალფატიმ ალგებრულად ამოხსნა ეს ამოცანა და მოგვცა

საძიებელი წრეწირების რადიუსების გამოსაყვანი ფორმულები, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს: მოცემულ ΔABC -ში უნდა აიგოს სამი ისეთი წრეწირი, რომ ყოველი მათგანი ეხებოდეს დანარჩენ ორ წრეწირს და სამკუთხედის ორ გვერდს.

ვთქვათ, O წერტილი არის სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის ცენტრი (ნახ. 1). K და L ცენტრებზე შემოხაზული წრეწირების რადიუსები აღვნიშნოთ შესაბამისად r_1 და r_2 .



ნახ. 1

K, O და L წერტილებიდან დავუშვათ მართობი სამკუთხედის AB გვერდზე. მივიღებთ D, E და F წერტილებს. დავუშვათ, რომ $AE = s$, $BE = t$, $AD = x$, $BF = y$. თუ გავაკვლებთ $KG \parallel AB$, მივიღებთ, რომ $LG = r_2 - r_1$ და

$$KG = \sqrt{(r_1 + r_2)^2 - (r_2 - r_1)^2} = 2\sqrt{r_1 r_2}$$

ΔADK და ΔAEO მსგავსებიდან მივიღებთ, რომ

$$r_1 = \frac{xr}{s}$$

ΔBFL და ΔBEO მსგავსებიდან მივიღებთ, რომ

$$r_1 = \frac{yr}{t}$$

რადგან $AB = AD + DF + FB$ აქედან გამომდინარე,

$$x + y + 2\sqrt{r_1 r_2} = s + t$$

ჩავსვათ შესაბამისი r_1 და r_2 მნიშვნელობები

$$x + y + \frac{2r}{\sqrt{3t}} \sqrt{xy} = s + t \quad (1)$$

თუ L , M და O წერტილებიდან დავეშვებთ მართობებს BC გვერდზე და დავეშვებთ, რომ

$$PC = u \text{ და } QC = z \text{ მაშინ, } y + z + \frac{2r}{\sqrt{tu}} \cdot \sqrt{y^2} = t + u \quad (2)$$

ანალოგიურად მე-3 გვერდისათვის

$$z + x + \frac{2r}{\sqrt{us}} \sqrt{zx} = u + s \quad (3)$$

მაშასადამე, მივიღეთ საშუალებიანი სამი განტოლება. ამ განტოლების ამოხსნა საკმაოდ რთულია. (ეს თავად მალფატიმაც აღნიშნა).

გრაფიკულად x , y , z სიდიდეების ამოხსნა არ გართულებს თუ კი განვსაზღვრავთ

$$OA = \sqrt{r^2 + s^2} \quad OB = \sqrt{r^2 + t^2} \quad OC = \sqrt{r^2 + u^2}$$

ამ მონაკვეთების აგება სირთულეს არ წარმოადგენს. ასევე მარტივია s , t , u , r მონაკვეთების აგება. ამის შემდეგ, თუ განვსაზღვრავთ

$$m = \frac{1}{2}(OA + OB + OC - s - t - u + r)$$

მაშინ $x = OA - m$

$y = OB - m$

$z = OC - m$

მალფატიმ ეს ამოცანა გამოაქვეყნა დამტკიცების გარეშე, მხოლოდ აღნიშნა, რომ მისი ამოხსნა შეიცავს რთულ ალგებრულ გამოთვლებს.

1826წ. მათემატიკოსმა შტეინერმა ასევე დამტკიცების გარეშე შემოგვთავაზა მალფატის წრეების აგება.

ΔABC -ში ბისექტრისებისაგან შედგენილ სამ სამკუთხედში ჩახაზულია წრეწირები.

გატარებულია ΔABC ბისექტრისებისაგან განსხვავებული მხეხები ამ წრეწირებისადმი. მაშინ $\angle C$ -ში ჩახაზული წრეწირი შეეხება ორ დანარჩენ წრეწირს.

შტეინერმა ამ მეთოდით ამოცანის ამოხსნა გამოაქვეყნა 1874წ. მაგრამ ეს მეთოდიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

1994წ. მეცნიერებმა ვ. ბელენკიმ და ა. ზასლავსკიმ შემოგვთავაზეს მალფატის ამოცანის ამოხსნის ანალოგიური მეთოდი.

ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა (აღნიშნავენ ავტორები) განპირობებულია უწყვეტობის მოსაზრებებიდან. ისინი გვთავაზობენ სამკუთხედის წვეროებში ჩახაზული სამი წრეწირიდან ერთ-ერთი ჩავთვალთ წამყვანად და ორი დანარჩენი მოვარგოთ მას ისე, რომ სამკუთხედის დანარჩენ ორ კუთხეში ჩახაზული წრეწირები ეხებოდნენ ერთმანეთს. პირველ წრეწირს თავდაპირველად ენიჭება მაქსიმალური შესაძლო მნიშვნელობა, როცა ის ხდება სამკუთხედში ჩახაზული. ამ დროს დანარჩენი ორი წრეწირი არ არიან შეხებაში და მათი რადიუსები მინიმალურია. თანდათან შევამციროთ პირველი წრეწირის რადიუსი და მივუახლოვით სამკუთხედის იმ წვეროს, რომელშიც არის ჩახაზული ეს წრეწირი, მაშინ დანარჩენი ორი წრეწირის ცენტრები დასცილდებიან სამკუთხედის დანარჩენი ორი წვეროს ბისექტრისების მიმართულებას და მათი რადიუსები გაიზრდება, ანუ წრეები იმოდრავებენ ერთმანეთთან შეხებად ანუ სამივე წრეწირი მოვა ერთმანეთთან შეხებაში, მაგრამ მათი რადიუსების განსაზღვრა ასევე სირთულეს წარმოადგენს. ვტორები გვამძლევენ ამ ამოცანის ამოხსნის ალგებრულ მეთოდს, რომელიც დაკავშირებულია რთულ გაანგარიშებებთან.

2003წ. ბოგდანოვმა შემოგვთავაზა მალფატის ამოცანის ამოხსნის უკვე გეომეტრიული მეთოდი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მოცემულია სამი წრეწირი ყოველი მათგანი დანარჩენი ორის გარეთ მდებარეობს. ყოველ წვეთს წრეწირთან გავლესულია ერთ-ერთი შიგა მხები წრფე. აღმოჩნდა, რომ ეს სამი წრფე ერთ წერტილში იკვეთება, მაშინ სხვა სამი მხები წრფე ასევე ერთ წერტილში იკვეთება. ამოხსნა დაკავშირებულია შრომატევად გეომეტრიულ აგებებთან.

ჩვენ შევეცდებით მალფატის ამოცანის გადაწყვეტას *AutoCAD*-ის მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა ნახაზები შესრულდეს სწრაფად, განსაკუთრებით თუ ნახაზი შეიცავს რამდენიმე ერთნაირ ფრაგმენტს.


AutoCAD-ი იძლევა ამოცანების დიალოგიურ რეჟიმში ამოხსნის საშუალებას და იქვე ეკრანზე ჩანს მოქმედებების შედეგი. ბრძანებები მარტივი და გასაგებია, ხოლო ურთიერთობა ხდება ეკრანული, ტექსტური, გრაფიკული და ა. შ. მენიუს მეშვეობით: ასევე დიალოგიური ფანჯრებით, ტექსტური ფანჯრებით, ხელსაწყოთა პანელის საშუალებით.

AutoCAD-ი უზრუნველყოფს ზომების დასმის სწრაფ და მარტივ პროცედურას სტანდარტების შესაბამისად, იძლევა ზომების კორექტირების შესაძლებლობის, თუ ნახაზში რაიმე ცვლილებებია შესრულებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *AutoCAD*-ით სარგებლობა შეუძლებელია ინფორმატიკის და ხაზვის ცოდნის გარეშე.


AutoCAD-ის ფუნქციებშია გეომეტრიული ფიგურების ავტომატური აგება უმოკლეს დროში. ის არის ნებისმიერი ინჟინერის შეუცვლელი დამხმარე. მალფატის ამოცანის გადაწყვეტისათვის დაგეგმვითაა 3 ძირითადი ამოცანის განხილვა.

მალფატის ამოცანის ამოხსნა დაიწყოთ ΔABC -ში ჩახაზული წრეწირის ცენტრის განსაზღვრით. როგორც ელემენტარული გეომეტრიიდან არის ცნობილი სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის ცენტრი ამ სამკუთხედის ბისექტრისების გადაკვეთის წერტილში მდებარეობს. *AutoCAD*-ი საგრძნობლად ამარტივებს ამ ამოცანის ამოხსნას. გამოვხაზოთ ნებისმიერი ABC სამკუთხედი ბრძანება L (წირი) ან PL (პოლიწირი) დახმარებით. *Draw* პანელიდან ავირჩიოთ ბრძანება *Circle*-ის ოპცია *Tan, Tan, Tan*, რაც გულისხმობს წრეწირის აგებას შეხების სამი წერტილით. მოვნიშნოთ კურსორის დაწკაპუნებით სამკუთხედის AB, BC, AC გვერდების წრეწირთან შეხების სავარაუდო წერტილები და მივიღებთ ΔABC -ში ჩახაზულ წრეწირს. O წერტილი არის ამ წრეწირის ცენტრი (ნახ. 2).



ნახ. 2


O წერტილი არის ასევე სამკუთხედის წვეროების ბისექტრისების (AO, BO, CO) გადაკვეთის წერტილი (ნახ. 3).



ნახ. 3


განვიხილოთ ორი წრეწირის გარე მხების გავლება *AutoCAD*-ის ბრძანებების გამოყენებით. რა თქმა უნდა ეს ამოცანა ეფუძნება საზვის და მხაზველობითი გეომეტრიის ამოცანების ძირითად პრინციპებს.

Draw პანელის *Circle* ბრძანების საშუალებით ავაგოთ ორი წრეწირი, რომლის მხების გავლებაც გვინდა (ნახ. 4). ეს არის O_1 და O_2 ცენტრების მქონე სხვადასხვა რადიუსის (r_1 და r_2) წრეწირები.




ნახ. 4

შევამოწმოთ რომ ჩართული იყოს ობიექტური ბმა (*F3* კლავიში) ან გავხსნათ დიალოგიური ფანჯარა *Tools* → *Drafting Setting* → *Object Snap*. ამ ფანჯარაში ჩავრთოთ (მოვნიშნოთ ალმით) რეჟიმი *Tangent* (მხები). ეს რეჟიმი გამოიყენება წრეწირის, რკალის, მხების შეხების წერტილთან ბმისათვის. *Draw* პანელიდან ვირჩევთ ბრძანებას *Line*, კურსორი მიგვაქვს r_1 რადიუსის მქონე წრეწირის იმ წერტილამდე, სადაც გამოჩნდება შეხების აღმნიშვნელი ნიშანი, ვაწკაპუნებთ, შემდეგ კურსორი მიგვაქვს r_2 რადიუსის მქონე წრეწირთან შეხების ნიშნის გამოჩენამდე და ვაწკაპუნებთ, ბოლოს *Enter*.



მაშასადამე, ყველა დამხმარე აგება განხილულია და პირდაპირ შეგვიძლია შევუდგეთ მიზნით დასახული ამოცანის ამოხსნას. ბრძანება PL (პოლიწირი) ან L (წირი) საშუალებით შემოვხაზოთ ნებისმიერი ΔABC (ნახ. 5). ზემოთ აღწერილი წესით გავავლოთ A, B და C კუთხეების ბისექტრისები. ბისექტრისების გადაკვეთის წერტილი O გაყოფს ΔABC -ს სამ სამკუთხედად:



ნახ. 5

ΔAOB , ΔBOC და ΔAOC . თითოეულ სამკუთხედში ჩავხაზოთ წრეწირი (ამოცანა სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის შესახებ ზემოთ განხილულია ჩვენს მიერ). მივიღეთ წრეწირები α, β, γ , რომელთაგან თითოეული დანარჩენ ორ წრეწირს ეხება. მაგრამ მალფატის ამოცანის

გადაწყვეტისათვის საჭიროა რომ ეს წრეწირები ასევე სამკუთხედის ორ გვერდს ეხებოდეს. ამისათვის გავატაროთ $\angle A, \angle B, \angle C$ ბისექტრისებისაგან განსხვავებული სამი მხები წირი m, n და l . ამ მხებისაგან შეკრული სამკუთხედი MNL მოგვცემს მალფატის ამოცანის ამოხსნას. წრეწირები α, β და γ გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი შეხებაშია ორ დანარჩენ წრეწირთან, ისინი ასევე ეხებიან $\triangle MNL$ -ის ორ გვერდს. მალფატის წრეების ამოცანა ამოწურულია. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია M, N, L წერტილების კოორდინატების განსაზღვრა მაღალი სიზუსტით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Ж. Адамар.** «Элементарная геометрия», часть I, Москва, Учпедгиз. 1948г.
2. **В. Беленький, А. Заславский,** О задаче Мальфатти, Журнал «Квант», №4, 1994г.

РЕШЕНИЕ ЗАДАЧИ МАЛФАТА С ПОМОЩЬЮ AutoCAD

Н. Джавахишвили, Т. Барамашвили

Резюме

В статье рассматривается решение такой задачи, как задача Малфата с помощью наиболее актуальной на сей день компьютерной автоматизированной программы проектирования AutoCAD, чем достигается упрощение решения задачи. AutoCAD развивает пространственное восприятие, творческое мышление и поощряет развитие навыков конструирования. Предлагается решение известной как круги Малфата задачи, которая основывается на методах черчения и начертательной геометрии. Автоматизированная компьютерная программа проектирования AutoCAD позволило нам упростить решение задачи, которая была практически невозможна.


A SOLUTION OF MALFAT PROBLEM BY AutoCAD

N. Javakhishvili, T. Baramashvili

Summary

In the article is considered the solution of such problem as a Malfat problem by nowadays most urgent CAD program AutoCAD, by that is achieved the simplifying of problem. AutoCAD developing spatial perception, creative thinking and promotes the development designer's skills. Is proposed solution of known as Malfat circles problem that is based on the drawing and descriptive geometry methods. The CAD program AutoCAD gives the possibility to simplify the solution of problem that was almost impossible.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპაკ 656.25:621.391

**“მდგომარეობის მის ელვით” ტექნიკური მომსახურების და
ტექნიკური დიაგნოსტიკის პროცესების ვტომასტიზაციის
ტექნოლოგიური მოდელი**

ნ. მუხიგულაშვილი, ვ. კუპრაძე, გ. ბენაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ტექნიკური მომსახურების სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ტექნიკური მომსახურების მრავალი ოპერაციის ავტომატიზაცია, რომელიც დაფუძნებულია ავტომატური ტექნიკური დიაგნოსტიკის საშუალებების გამოყენებაზე. სატ მოწყობილობების მდგომარეობის ტექნიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის უწყვეტი ავტომატური კონტროლის სისტემები შეგვიძლია მივიღოთ უწყვეტი ტექნიკური დიაგნოსტიკის მოწყობილობებითა და არხწარმომქმნელი სისტემების (მაგალითად, დისპეტჩერული კონტროლის სისტემების) ერთობლიობით. დიაგნოსტიკის პროცესში ადამიანის მონაწილეობის ხარისხის მიხედვით, განასხვავებენ ხელით დიაგნოსტიკის, ავტომატიზებულ და ავტომატურ სისტემებს. მით უფრო სრულყოფილია სისტემა რაც უფრო ნაკლებია ადამიანის ფაქტორი დიაგნოსტიკის შედეგზე. ამიტომ, “მდგომარეობის მიხედვით” ტექნიკური მომსახურების და ტექნიკური დიაგნოსტიკის პროცესების ვტომასტიზაციის ტექნოლოგიური მოდელის შემუშავება მეტად აქტუალურია.

საკვანძო სიტყვები: ტექნიკური მომსახურება, ტექნიკური დიაგნოსტიკა, ავტომატიზებული, ავტომატური.

შეჯამება

ტექნიკური დიაგნოსტიკებისა და მონიტორინგის სისტემას წაყენება რიგი მოთხოვნები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ:

- თანამედროვე **სატ** სისტემების პროექტირება მოწყობილობების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის ავტომატური, ჩაშენებული ან გარე საშუალებებით;
- ავტომატური ტექნიკური დიაგნოსტიკის სისტემის შედეგების ცენტრალიზაციის საფუძველზე **სატ** სისტემებისა და მოწყობილობების მცირე ადამიანური რესურსით მომსახურების ტექნოლოგიის დანერგვა;
- დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის კომპლექსების სპეციალიზირებული ქსელის შექმნა სამმართველოსა და მთელი გზის მასშტაბით. მორიგე ელექტრო მექანიკოსების, ჯგუფის უფროსების, სცბ-ს დისპეტჩერების და ხელმძღვანელი პირების სამუშაო ადგილების ავტომატიზაცია.
- მოწყობილობების მომსახურება ავტომატური დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით;
- მოძრაობის უსაფრთხოებაზე მოქმედ მოწყობილობებზე პერსონალის მუშაობის (ტექნიკური მომსახურების და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დროს) კონტროლის ავტომატიზაცია;
- **სატ** მოწყობილობებისა და სისტემების მდგომარეობის და ტექნიკური დიაგნოსტიკების შედეგების მონიტორინგი სცბ-ს სამმართველოსა და გზის ქსელის დონეზე;
- **სატ** მოწყობილობებისა და სისტემების სერვისული და საფირმო მომსახურების ორგანიზება;

პირითადი ნაწილი

ტექნიკური მომსახურების პროცესი და მოწყობილობების რემონტი წარმოადგენს ერთ მთლიან ტექნოლოგიურ ჯაჭვს, რომელშიც სასურველია “ადამიანის ფაქტორის” გამორიცხვა. ამ მიმართულებით ტექნიკური მომსახურების სისტემის განვითარება ნიშნავს ტექნიკური მომსახურების პროცესის ავტომატიზებას, უკეთეს შემთხვევაში ავტომატიზაციას ავტომატური ტექნიკური დიაგნოსტიკის საშუალებების გამოყენებით და მოწყობილობების რეზერვირების ორგანიზებით(ნახ.1). მოწყობილობების დიაგნოსტიკისა და ტმ პროცესების ავტომატიზაციისათვის აუცილებელია **სატ** სისტემებისათვის, ისეთი პრობლემატური და პირველხარისხოვანი ამოცანების გადაჭრა როგორცაა:

- შრომატევადი გაზომვების ავტომატიზაცია;
- მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების ავტომატიზაცია;
- განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მოწყობილობების რეზერვირება;

დიდი სისტემების მიზეზ—შედგობრივი კავშირის ანალიზმა გვაჩვენა, რომ სისტემის პირველადი “ფუნქციის” დამუშავების პროცესში, მისი “სტრუქტურა” მეორადია (იგი ახდენს აუცილებელი ფუნქციის რეალიზებას). ამისათვის, განსახილველი სისტემის ტექნიკური საშუალებების კომპლექსური სტრუქტურის განსაზღვრისათვის აუცილებელია, ტექნიკური მომსახურების ფუნქციის სრული ნაკრების დადგენა, რომელიც ექვემდებარება ავტომატიზაციას. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ სატ მოწყობილობების ავტომატური ტმ კომპლექსის ფუნქციონირების შემდეგი ალგორითმი:

1. მოწყობილობების გამართულობის უწყვეტი კონტროლი;
2. პროგნოზირებადი პარამეტრების უწყვეტი კონტროლი;
3. ტექნოლოგიური პროცესების ერთეული ოპერაციების ავტომატიზაცია (ავტომატიზირება);
4. ერთეული მოწყობილობების ან მათი ელემენტების რეზერვირების ავტომატიზაცია;
5. ინფორმაციის ავტომატური ფიქსაცია;
6. ინფორმაციის ავტომატური დამუშავება;
7. ინფორმაციის დისტანციური ავტომატური გადაცემა;
8. სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ავტომატიზაცია (ავტომატიზირება);

ტექნიკური მომსახურების ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ალგორითმიდან იკვეთება, რომ ტექნიკური მომსახურების ავტომატიზებისათვის საჭიროა ტექნიკური დიაგნოსტიკის კომპლექსური სისტემების შექმნა. ნახ. 1 მოცემულია დღეისათვის არსებულ ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით ტმ “მდგომარეობის მიხედვით” საშუალებათა კომპლექსი, მისი სინთეზის სტრუქტურული სქემა, სადაც გათვალისწინებულია ზემოთმოყვანილი ყველა ფუნქციის რეალიზაცია.

რუსეთის რკინიგზებზე ფართო გამოყენება ჰპოვა სამმა ალტერნატიულმა სისტემამ, ესენია:


– АГЖ-ДК დისპეტჩერული კონტროლის კომპლექსის ბაზაზე პეტერბურგის მიმოსვლის გზათა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა ტექნიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის სისტემებმა;

– АСДК ტექნიკური საშუალებების ბაზაზე «ГТСС-Сектор»-ის მიერ შემუშავებული ტექნიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის სისტემებმა;

– «Югпромавтоматизация»-ის მიერ შემუშავებულმა **სატ** მოწყობილობების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის კომპლექსმა АДК-СЦБ.

ჩამოთვლილ სისტემებში უზრუნველყოფილია **სატ** სისტემების დიაგნოსტიკის და მონიტორინგის პროცესების ავტომატიზაცია, თუმცა მათი სრულყოფისა და განვითარების პრობლემა ისევ აქტუალურია. აუცილებელია მათი ფუნქციონალური შესაძლებლობების პრაქტიკული რეალიზაცია. მათი ფუნქციონალური შესაძლებლობების განვითარებაში იგულისხმება სადგურებისა და გადასარბენების **სატ** მოწყობილობების დიაგნოსტიკის და მონიტორინგის და **ტმ** პროცესების ავტომატიზაცია. **ტმ** პროცესების ავტომატიზაცია შესაძლებელია მხოლოდ **სატ** მოწყობილობების ცალკეული ელემენტებისა და კვანძების რეზერვირების შემთხვევაში.

სატ რელეური მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება გარდაუვალია გეგმიურ-გამაფრთხილებელი მეთოდით, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან საექსპლოატაციო დანახარჯებთან. თანამედროვე მიკროპროცესორული სისტემების დანერგვა საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ ავტომატურ **ტმ**. თანამედროვე მიკროპროცესორული სისტემები იძლევა აპარატურის, კავშირისა და სხვადასხვა დონეზე კვების არხების **რეზერვირების** საშუალებას. რეზერვირების ხარჯზე, რომლის დროსაც ცალკეული ელემენტის დაზიანება არ იწვევს მთლიანად სისტემის მტყუნებას. მაქსიმალურად იზრდება **სატ** მოწყობილობების მომსახურების ეფექტურობა და მცირდება საკონტროლო-სარემონტო სამუშაოთა მოცულობა.



ნახ. 1 ტმ “მომსახურება მდგომარეობის მიხედვით” ორგანიზების სტრუქტურული სქემა

მაგალითად, ისრის მართვის მიკროპროცესორულ სქემაში შესაძლებელია საპასუხისმგებლო წრედების რეზერვირება. ანუ, კაბელის ძარღვების გაწყვეტის შემთხვევაში ისრის მართვის სქემა განაგრძობს ფუნქციონირებას სარეზერვო ხაზებზე გადართვის გზით. ასევე, მიზანშეწონილია ორბაფიანი და შუქდიოდის ნათურების გამოყენება, რომლებიც საშუალებას იძლევიან მათი ცალკეული ელემენტის დაზიანებისას **სატ** სისტემები დარჩნენ გამართულ, მუშაობის უნარიან მდგომარეობაში; ასევე შესაძლებელია მცველების რეზერვირება, **სატ** მოწყობილობების ძირითადი კვების რეზერვირება და ა. შ.

რეზერვირების გამოყენება საშუალებას იძლევა ცალკეული ელემენტებისა და კვანძების მტყუნების დროს სისტემა გადავიყვანოთ მუშაობის უნარის მქონე მდგომარეობაში, ასევე საშუალებას იძლევა შემცირდეს შრომის დანახარჯები. ავტომატური და ავტომატიზებული ფუნქციებით აღჭურვილი ელექტრო მექანიკოსის ავტომატიზებული სამუშაო ადგილის გამოყენებით და მიწოდებული ინფორმაციის ხარჯზე ასევე მცირდება საექსპლუატაციო პერსონალის სამუშაოს მოცულობა.

ბოლო წლებში საქართველოს რკინიგზაზე და ძირითადად რუსეთის რკინიგზებზე თანამედროვე მიკროპროცესორული სისტემების (ЭЦ-МПК, РПЦ «ДОИ», РПЦ «Диалог-Ц», МПЦ «ЕЫ1оск-950», ДЦ «Сетунь», ДЦ-ЮГ с РКП, ДЦ-ЮГ с КП, АБТЦ, АБТЦ-М, АПК-ДК (ПТУ ПС), АСДК «ГТСС-Сектор», КТСМ-02, ГАЦ-МП, КГМ ПК, ГАЦ-АРС ГТСС) დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდა ძირითადი კვანძების რეზერვირება და ჩაშენებული სადიაგნოსტიკო მოწყობილობების გამოყენება, ანუ **ტმ** ავტომატიზაცია. ასევე, საჭირო გახდა მოწყობილობების **ტმ** ტექნოლოგიის ძირეული შეცვლა, რამდენადაც **ტმ** არსებული სარეგლამენტო ტექნოლოგიები ვერ უზრუნველყოფენ მთლიანად იქნას გამოყენებული ჩამოთვლილი მიკროპროცესორული სისტემების მძლავრი რესურსები.

დასკვნა

სატ მოწყობილობების მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის ავტომატური სისტემების გამოყენება შესაძლებელს გახდის მოწყობილობების პარამეტრების უწყვეტი გაზომვებითა და მოწყობილობების ფუნქციონირების უწყვეტი კონტროლით დაზიანების მოძიებისა და აღდგენის დროის შემცირებას; საექსპლუატაციო პერსონალისათვის გადაცემული ინფორმაციის

მოცულობის და მისი უტყუარობის ხარისხის გაზრდას, მიწოდების დროის შრმცირებას; მტყუნებების მნიშვნელოვანი ნაწილის აცილებას მათი დაზიანებისწინა მდგომარეობების დროული დაფიქსირების ხარჯზე; გაზომვების ოპერაციების ავტომატიზაციის ბაზაზე ტმ ტექნოლოგიის შეცვლის ხარჯზე შემცირდება ტმ დროითი დანახარჯები.

სადგურებსა და გადასარბენებზე სატ მოწყობილობების დიაგნოსტიკებისა და მონიტორინგის პროცესების ავტომატიზების და დიაგნოსტიკების შედეგების ცენტრალიზების საბოლოო მიზანია “ადამიანური ფაქტორის” გამორიცხვა და მცირე ადამიანური რესურსით მომსახურების ტექნოლოგიაზე “მდგომარეობის მიხედვით” მომსახურებაზე გადასვლა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. **Дмитренко И.Е.** Техническая диагностика и автоконтроль систем железнодорожной автоматики и телемеханики. -М.: Транспорт, 1986.
2. **Сапожников В.В., Сапожников В.В.** Основы технической диагностики: учеб. пособие для студентов вузов ж.-д. транспорта - М.: Маршрут, 2004.-318 с.
3. **Брейдо А. И.** Теория и методы повышения эффективности технического обслуживания комплексов устройств СЦБ и связи железнодорожного транспорта . .—Дисс. на соиск. уч. степени доктора тех. наук. — Л.: ЛИИЖТ, 1985. — 342с.
4. **გ. კეშელავა, ნ. მუხიგულაშვილი** სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების (სცბ) მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგია. – თბილისი, რკინიგზის გამომცემლობა, 2006. 511გვ.
5. **Сепетый А.А** Автоматизация диагностирования, мониторинга и технического обслуживания устройств железнодорожной автоматики и телемеханики. —Ростов н/Д — 2011. 202с.
6. **Мухигулашвили Н.И.** Повышение качества обслуживания рельсовых цепей. – Дис. на соискание ученой степени канд. техн. наук, - Ростов-на-Дону, 1991. 289 с.

**ТЕХНОЛОГИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ АВТОМАТИЗАЦИИ ПРОЦЕССОВ
ТЕХНИЧЕСКОГО ОБСЛУЖИВАНИЯ И ТЕХНИЧЕСКОЙ
ДИАГНОСТИКИ "ПО СОСТОЯНИЮ"**

Н. Мухигулашвили, В. Купрадзе, Г. Бенашвили

Резюме

Основными направлениями развития системы технического обслуживания является автоматизирование многих операций технического обслуживания, которая основана на использовании автоматизированных средств технической диагностики. Системы непрерывного автоматического контроля технической диагностики и мониторинга состояния железнодорожной автоматики и телемеханики можно получить объединением устройств непрерывной технической диагностики и каналобразующих систем (например, системы диспетчерского контроля). Участие человека в процессе диагностирования согласно степени качества различают системы ручной, автоматизированной и автоматической диагностики. Система тем более совершенна, чем ниже человеческий фактор в результатах диагностики. Таким образом, разработка технологической модели автоматизации технического обслуживания и технической диагностики "по состоянию" является очень актуальным.


**TECHNOLOGICAL MODEL OF AUTOMATION OF TECHNICAL
MAINTENANCE AND TECHNICAL DIAGNOSTICS PROCESSES
"ACCORDING TO STATE"**

N. Mukhigulashvili, V. Kupradze, G. Benashvili

Summary

The main direction of development of the maintenance system is the automation of many of maintenance operations that is based on the application of automation means of technical diagnostics. The continuous automatic control systems of technical diagnostics and monitoring of railway automation and telemechanics devices would be created by integration of continuous technical diagnostics and channel creating systems (for example, dispatch control systems). Due human participation in the process of diagnosing are outlined manual, automated and automatic diagnostic systems. The system is as more perfect, as lower is the human factor in the outcome of diagnosis. Therefore, the development of technological model for automation of technical maintenance and technical diagnosis "according to state" is very relevant.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპა 656.25:621.391

**სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის
მოწყობილობების დაზიანებების ყველაზე დიდი
ალბათობის მქონე ელემენტების გამოკვლევა**

ნ. მუხიგულაშვილი, ვ. კუპრაძე, გ. ბენაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სარელსო წრედები ანხორციელებენ არა მარტო რკინიგზის უბნის სითავისუფლისა და სიმთელის კონტროლს, არამედ უზრუნველყოფენ რკინიგზის სხვა მეურნეობების გამართულ მუშაობასაც. ამდენად, მათ საიმედო მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გადაზიდვების პროცესი. სარელსო წრედების ელემენტების ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია, გამოკვლულ იქნას და განსაზღვრული მოწყობილობების საიმედოობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, დაზიანებების სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე. მაიზოლირებელი პირაპირების მტყუნებების უფრო დეტალური ანალიზისათვის სატ მოწყობილობების 5 წლის მტყუნებათა სტატისტიკური და ემპირიული მონაცემებით აგებულ იქნა მრუდები მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებათა რაოდენობრივი და მტყუნებათა ხანგრძლივობების თვეების მიხედვით განაწილების შემთხვევისათვის. გამოკვლულ იქნა და გაირკვა, რომ დამოუკიდებელი ცვლადის წელიწადის თვეების და დამოკიდებული ცვლადის, მაიზოლირებელი პირაპირის მტყუნებათა ფუნქციონალურ დამოკიდებულებას აქვს რეგრესიული ფუნქციის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: სარელსო წრედი, ავტომატიკა და ტელემექანიკა, სტატისტიკა, რეგრესიული ფუნქცია, დეტერმინაციის კოეფიციენტი.

შესავალი

სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის სისტემებში სარელსო წრედები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო ელემენტს, რამდენადაც გამოიყენება ინფორმაციის გადამწოდად ლიანდაგის უბნის მდგომარეობის შესახებ. ამდენად, სარელსო წრედების გამართულ და საიმედო მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გადაზიდვების პროცესი. სარელსო წრედების ხშირი დაზიანების უნარი აიხსნება მისი კვანძების სპეციფიურობით და მუშაობის პირობებით. სარელსო წრედის თითოეულ ელემენტზე გამუდმებით მოქმედებს ექსპლუატაციის ნეგატიური ფაქტორები და კლიმატური პირობები.

– აღნიშნულ ფაქტორებს მიეკუთვნება:

დარტყმითი ძალები სწ-ზე, რომლებიც გამოწვეულია მოძრავი შემადგენლობით, რის საფუძველზეც მრავალჯერ იცვლება მექანიკური დაძაბვები და გროვდება ელემენტების დეფექტები.


– გარემო კლიმატური ფაქტორები, რომლებიც უწყვეტად მოქმედებენ სარელსო წრედებზე და იწვევენ მრავალმხრივ პროცესებს ელემენტებში და ცვლიან მათ ძირითად პარამეტრებს.

პირითადი ნაწილი


ამგვარად, ამოცანა წრეწირთა თანახების შესახებ დაყვანილია შემდეგ ამოცანაზე:

ვიპოვოთ ისეთი წრეწირი, რომელსაც ორ მოცემულ σ და σ_1 წრეწირთან აქვს საერთო რადიკალური ღერძი და ეხება მოცემულ A წრეწირს (ნახ. 1).



ნახ. 1.

ამ უკანასკნელი ამოცანის ამოხსნისათვის საჭიროა σ , σ_1 და A წრეწირების რადიკალური α ცენტრიდან გავავლოთ A წრეწირის მხებები, რომ მივიღოთ შეხების საძიებელი წერტილები.

ერთ-ერთი σ და σ_1 წრეწირებიდან შეიძლება შევცვალოთ მათი რადიკალური XY ღერძით. ასე რომ, წრეწირთა თანახმების შესახებ მოცემული ამოცანის ამოხსნა შემდეგ სახეს ღებულობს:

A წრეწირის ერთ-ერთ წერტილსა და მის ჰომოლოგიურ ორ წერტილში გავავლოთ σ წრეწირი. ამ წრეწირის და A წრეწირის საერთო ქორდა მსგავსობის XY ღერძს კვეთს ისეთ α წერტილში, რომელშიც საკმარისია გავავლოთ A წრეწირის მხებები, რომ მივიღოთ ამ წრეწირისა და საძიებელი წრეწირის თანახმების წერტილები.

თუ σ წრეწირად მივიღებთ ისეთ σ_0 წრეწირს, რომელსაც ცენტრად აქვს სამი მოცემული წრეწირის რადიკალური I ცენტრი და მათ მართი კუთხით გადაკვეთს, მაშინ ჩვენ ჟერგონის ამოხსნას დაუბრუნდებით: მართლაც, A და σ_0 წრეწირების საერთო წერტილები იქნება I წერტილში გავლებული მხებების შეხების წერტილები A წრეწირთან. ასე რომ, ორივე წრეწირის საერთო ქორდა იქნება I წერტილს პოლარი A წრეწირის მიმართ. მაშასადამე, ამ წრფის XY წრფესთან გადაკვეთის α წერტილს ექნება თავის

პოლარად I წერტილისა და XY წრფის პოლუსის შემაერთებელი წრფე.

განსახილველ ამოხსნას ჟერგონის ამოხსნასთან შედარებით კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ ის გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი ან რამდენიმე მოცემული წრეწირებიდან შეიცვლება წერტილებით ან წრფეებით და უშუალოდ იძლევა შეხების წერტილებს საძიებელი წრეწირისა თითოეულ მოცემულ წრფესთან. ეს წერტილები ძევს ისეთ წრეწირზე, რომელსაც ცენტრად აქვს მოცემული წრფის და მსგავსების XY ღერძის თანაკვეთის წერტილი და σ_1 წრეწირს მართი კუთხით კვეთს. ეს აგება გამოიყენება მაშინაც კი, როცა მონაცემთა რიცხვში არ

გვექნება არც ერთი წრეწირი, რასაც არა აქვს ადგილი ჟერგონის ამოხსნისათვის. ის ძალას კარგავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა მოცემული წრეწირი წერტილად გადაიქცევა.

σ და A წრეწირთა საერთო ქორდა სხვა არას წარმოადგენს, გარდა aa' წრფისა, სადაც a' არის c წერტილის ანტიჰომოლოგიური წერტილი.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ ნაჩვენები აგება მდგომარეობს ისეთი b წერტილის განსაზღვრაში, რომელიც ანტიჰომოლოგიურია a წერტილისა (ე.ი. A წრეწირის ნებისმიერი წერტილის) მსგავსების S_{12} ცენტრის მიმართ და მსგავსების S_{13} ცენტრის მიმართ აღებული C წერტილის ანტიჰომოლოგიური a' წერტილის განსაზღვრაში;

a წერტილის a' -თან შეერთებაში;

იმავე აგების განმეორებაში a წერტილის შეცვლით A წრეწირის მეორე a წერტილით.

ამგვარად, აგებული ორივე ქორდის aa' და $a_1a'_1$ -ის გადაკვეთის წერტილი იქნება ისეთი α წერტილი, საიდანაც უნდა გავავლოთ A წრეწირის მხებები, რომ მივიღოთ საძიებელი წრეწირებისა და A წრეწირის თანახმების წერტილები.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ს. ბიწაძე, რ. ბიწაძე, მ. ბარბაქაძე. სამი წრეწირის მხები წრეწირის აგება ჟერგონის მეთოდით. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა, №1(32), 2015, გვ. 158-163.
2. ჟ. აღამარი. ელემენტარული გეომეტრია. პირველი ნაწილი, თბილისი, 1951.
3. Гилберт Д., Кон-Фоссен С. Наглядная геометрия. М., Наука, 1981.
4. Левицкий В.С. Аналитические методы в инженерной графике. М., 1978.
5. Гордон В.О., Семенов-Огиевский М.А. Курс начертательной геометрии. М., «Наука», 1969.

ЗАДАЧА О СОПРИКАСАНИИ ОКРУЖНОСТЕЙ

С.Г. Бицадзе

Резюме

В работе рассмотрен случай, когда построение окружности, касающейся трех окружностей методом Жергонна, невозможно. Это препятствие было преодолено тем, что решение представлено в той форме, когда входящие в него свойства не меняются при любой инверсии. Даны необходимые для решения понятия и положения. Указаны те преимущества, которыми обладает рассмотренный метод по сравнению с методом Жергона.


PROBLEM OF CIRCLES TANGENCY

S. Bitsadze

Summary

In this work is examined the case, when construction of circle tangent to three circles by Gergonne method is impossible. This obstacle was overcome by representation of the solution in the form, where properties entering into it don't change in case of any inversion. All notions and provisions necessary for solution are given. The advantages of considered method in comparison with Gergonne method are mentioned.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

УДК 514.513

**ПОСТРОЕНИЕ НЕКОТОРЫХ ПОВЕРХНОСТЕЙ ВТОРОГО
ПОРЯДКА МЕТОДОМ ШТАУДЕ**

С.Г. Бицадзе

**(Грузинский технический университет, ул. Костава №77, 0175, Тбилиси,
Грузия)**

Резюме: *В работе рассмотрен способ Штауде для построения эллипсоида и софокусных поверхностей второго порядка при помощи нити. В основу этого построения положена жесткая конструкция, состоящая из эллипса и гиперболы, причем плоскость гиперболы перпендикулярна к плоскости эллипса и содержит большую ось последнего. Показано, что через каждую точку пространства проходят один эллипсоид, один однополостный и один двуполостный гиперболоид.*

Ключевые слова: эллипс, гипербола, эллипсоид, фокус, гиперболоид.

Поверхности, получающиеся путем вращения конических сечений, являются частными случаями более общего класса поверхностей, называемых из аналитических соображений поверхностями второго порядка; это поверхности, точки которых в декартовых координатах удовлетворяют уравнению второй степени. Очевидно, эти поверхности обладают той особенностью, что любая плоскость пересекает их по кривой второго порядка, т.е. по некоторому (собственному или несобственному) коническому сечению. Далее, если из некоторой точки провести всевозможные касательные к поверхности второго порядка, то они образуют конус, пересечение которого с любой плоскостью также дает коническое сечение. Этот конус соприкасается с поверхностью также по некоторому коническому сечению.

Поверхности второго порядка играют в пространстве роль, аналогичную роли конических сечений на плоскости [1]. Естественно возникает вопрос, нельзя ли перенести на

эти поверхности способ построения при помощи нити, употребляемый для вычерчивания эллипса. Этот вопрос был разрешен положительно для эллипсоида [2]. Штауде указал способ построения эллипсоида при помощи нити. В этом построении в основу положена жесткая конструкция, состоящая из эллипса и гиперболы, причем плоскость гиперболы перпендикулярна к плоскости эллипса и содержит большую ось последнего (рис. 1); фокусы эллипса F_1, F_2 являются вершинами гиперболы, а вершины эллипса S_1, S_2 – фокусы гиперболы, эти данные однозначно определяют гиперболу.




Рис. 1.

Закрепим конец нити в одной из вершин эллипса, например, в S_1 ; затем обогнем снизу (под плоскостью эллипса) нитью ближайшую к точке S_1 ветвь гиперболы, выведем нить вперед и, обогнув спереди эллипс, выведем нить на верхнюю сторону плоскости эллипса; наконец, закрепим другой конец нити в точке F_2 . Если теперь натянуть в точке B отрезок нити, заключенный между эллипсом и гиперболой, то нить примет форму ломаной S_1HBEF_2 , причем отрезок BHS_1 ломаной есть кратчайший путь, соединяющий B с S_1 и проходящий через точку гиперболы, а отрезок BEF_2 обладает таким же свойством в отношении точек эллипса B и F_2 и точки эллипса.

Если теперь изменить положение точки B , оставляя нить натянутой, то точка B будет перемещаться по поверхности эллипсоида. При таком закреплении нити, как указано на рис. 1, точка B опишет всю переднюю нижнюю четверть эллипсоида, остальные три четверти будут получаться в зависимости от того, каким образом нить, закрепленная в точках S_1 и F_2 , огибает между этими точками эллипс и гиперболу.

Заметим, что вместо S_1 и F_2 концы нити можно было бы закрепить в других точках эллипса или гиперболы, за исключением только тех случаев, когда невозможно натянуть отрезок нити описанным образом между точками закрепления.

Конструкция из двух конических сечений при построении эллипсоида играет роль, аналогичную роли фокусов при построении эллипса. В связи с этим сами кривые называются фокальными кривыми (фокальный эллипс и фокальная гипербола) эллипсоида. Вообще говорят, что поверхность второго порядка имеет оба эти конические сечения в качестве фокальных кривых, если плоскости последних служат плоскостями симметрии поверхности и в сечении с поверхностью образуют кривые второго порядка, софокусные с фокальными кривыми.

Так как каждое из этих сечений (эллипсоида или гиперболоида) должно представлять собой либо эллипс, либо гиперболу, то следует различать четыре случая. Если оба сечения – эллипсы, то мы имеем эллипсоид (рис. 2). Если же оба сечения – гиперболы, то в этом случае у нас двуполостный гиперболоид (рис. 3). Если плоскость фокальной гиперболы пересекается в поверхность по гиперболе, а плоскость фокального эллипса – по эллипсу, то наша поверхность представляет собой однополостный гиперболоид (рис. 4). Четвертый мыслимый случай – эллипс в плоскости гиперболы и гипербола в плоскости эллипса – исключается, ибо в этом случае эллипс и гипербола должны были бы пересекаться с прямой F_1F_2 в четырех различных точках E_1, E_2, H_1, H_2 (рис. 5), и плоскость фокальной гиперболы имела бы с поверхностью, помимо эллипса, получающегося в сечении, еще две общие точки H_1 и H_2 , лежащие вне эллипса, что противоречит определению поверхности второго порядка.




Рис. 2




Рис. 3




Рис. 4




Рис. 5

Если при построении эллипсоида закрепить при помощи нити фокальные кривые, но пользоваться нитями различной длины, то можно таким образом получить семейство «софокусных» эллипсоидов (т.е. эллипсоидов с общими фокальными кривыми), совокупность которых заполняет пространство однократно и непрерывно. Точно также семейства однополостных и двуполостных гиперboloидов, принадлежащие к этим же фокальным кривым, каждое в отдельности, заполняют пространство непрерывно и однократно; таким образом через каждую точку пространства проходят один эллипсоид, один однополостный и один двуполостный гиперboloид (рис. 6).




Рис. 6.

Точно так же, как софокусные конические сечения на плоскости, софокусные поверхности второго порядка пересекаются в пространстве ортогонально, т.е. в каждой точке

пространства касательные плоскости к трем поверхностям, проходящим через эту точку, перпендикулярны. Точки фокальных кривых составляют при этом исключение: в этих точках две из трех плоскостей становятся неопределенными.

ЛИТЕРАТУРА

1. Монж Г. Начертательная геометрия. Москва, 1947, 410 с.
2. Hilbert D., Cohn-Vossen S. Anschauliche geometrie. Berlin, 1932, 350 s.

ზოგიერთი მეორე რიგის ზედაპირის აგება შტაუდეს მეთოდით

ს. ბიწაძე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია შტაუდეს მეთოდით ელიფსოიდის და იმავე ფოკუსების მქონე მეორე რიგის ზედაპირების აგება ძაფის გამოყენებით. ამ აგებას საფუძვლად უდევს მყარი კონსტრუქცია, რომელიც შედგება ელიფსისა და ჰიპერბოლისაგან. ამასთან ჰიპერბოლის სიბრტყე მართობულია ელიფსის სიბრტყის და შეიცავს ამ უკანაკსნელის დიდ ღერძს. ნაჩვენებია, რომ სივრცის თითოეულ წერტილზე გადის ერთი ელიფსოიდი, ერთი ცალკალთა და ერთი ორკალთა ჰიპერბოლოიდი.

CONSTRUCTION OF SOME QUADRIC SURFACES BY THE STAUDE


METHOD

S. Bitsadze

Summary

In the article is examined the Staude method for construction of ellipsoid and confocal quadric surfaces with the use of fibre. The rigid structure, consisting of ellipse and hyperbole, is taken as the basis of this construction, at that hyperbole plane is perpendicular to ellipse plane and contains major axis of the latter. There is shown that one ellipsoid, one one-sheeted and one two-sheeted hyperboloids are passing through each space point.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპკ 618.513.5+ 517.997

ერთი ტიპის ამოცანების რიცხვითი რეალიზაციისათვის
კომპიუტერზე

თ. ზარქუა, დ. მამფორია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში მოყვანილია ადრეულ პუბლიკაციებში დასმული (იხ.გამოყენებული ლიტერატურა №1, 2) ოპტიმალური მართვის ამოცანის ალგორითმის კომპიუტერზე რიცხვითი რეალიზაციისათვის შედგენილი მანქანური პროგრამა. პროგრამა ჩაწერილია “C ++” ენაზე. იგი იძლევა რესურსების დეფიციტის არსებობისას, ერთი ტიპის სისტემებში, ოპტიმალური მართვის პოლიტიკების მიღების საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: დინამიკური, ალგორითმი, რეკურენტული, მანქანური პროგრამა, “C ++”, დაპროგრამება.

ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში /№№ 1,2 / დასმული ოპტიმალური მართვის ამოცანის კომპიუტერზე რეალიზაციისათვის შედგენილი იქნა პროგრამა მანქანურ ენაზე - “C++”. იგი აპრობირებული და გამოსადეგია მსგავს სისტემებში მარაგების (რესურსების) ოპტიმალური მართვის გადაწყვეტილებების მისაღებად. სისტემაში დეფიციტის არსებობისას მომხმარებლებს შორის მარაგის განაწილების ამოცანას საფუძვლად დაედო მომხმარებლებს შორის რეალურად არსებული რესურსის პროპორციულად გადანაწილების პრინციპი, მათი შეცდომო დაკმაყოფილების წესით, ანუ ყველა მომხმარებელი მიიღებს მხოლოდ იმ მაქსიმუმს, რომლის მიცემაც სისტემას შეუძლია.

პროგნოზირებით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით და იმის დაშვებით, რომ ყველა

მომხმარებელი თანაბრად ზარალდება დაუკმაყოფილებლობის შემთხვევებში, ოპტიმალურად მიჩნეულია ისეთი განაწილება, რომელიც მინიმიზაციას გაუკეთებს გამოთვლით მიღებული გასანაწილებელი რაოდენობის მაქსიმალურ გადახრას მოთხოვნილი რაოდენობისაგან, როგორც განაწილების მთელ პერიოდზე, ასევე ყველა მომხმარებელს შორის.

ფორმალურად ამოცანა მდგომარეობს მოყვანილი ფუნქციონალის მინიმიზაციაში:

$$R\{q_i(t)\}(v) = \max \frac{p_i(t) - q_i(t)}{P_i(t)}$$

$$1 \leq i \leq N$$

$$1 \leq t \leq T$$

დასაშვებია მარაგის განაწილებაზე შემდეგი შეზღუდვების დადება:

$$1) \quad q_i(t) \leq p_i(t), \quad i = 1, N, t = \overline{1, T},$$

$$2) \quad q_i(t) \leq V(t - 1) + f(t) + \varphi(t), \quad t = \overline{1, T}$$

ამოცანა ამოხსნილია რ. ბელმანის დინამიკური დაპროგრამირების მეთოდზე დაყრდნობით, რ. ბელმანის ფუნქციონალური განტოლების რეკურენტული ამოხსნის საფუძველზე. მანქანური გამოთვლის პროგრამა შედგენილია შედგენილია - "C++" მანქანურ ენაზე. იგი მოითხოვს შემდეგ მონაცემებს:

T – განაწილების პერიოდი (დეკადების რიცხვი), V_0 – საცავში მარაგის საწყისი მოცულობა, f – პროგნოზირებით დადგენილი მარაგის შევსება, φ – მარაგის მოსალოდნელი დამატებითი შევსების პროგნოზი, A_t – მარაგის დანაკარგები საცავიდან, t -ურ დეკადაში, P - ჯამური გეგმიური მოთხოვნა ყველა მომხმარებელზე t - ურ დეკადაში, P_i – გეგმიური მოთხოვნა ყველა მომხმარებელზე t -ურ დეკადაში, $\max P - P$ -ს მაქსიმალური მნიშვნელობა დეკადების მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილია მანქანური გათვლის პროგრამის ტექსტი. იგი რეალიზებულია საირიგაციო სისტემის მართვის მაგალითზე. მარაგის განაწილების მსგავსი სისტემებისათვის მის გამოსაყენებლად საჭირო გახდება მხოლოდ $L(T, B)$ პოროცედურის შეცვლა, რომელიც მისადაგებულია საირიგაციო სისტემაზე.

```
#include <cstdlib>
#include <iostream>
#include <cmath>
using namespace std;
const int tt=10, del=32, del1=80;
```

```

double p[tt+1],f[tt+1],at[tt+1],rf[tt+1];
double tf[del+1],th[del+1];
double p1[tt+1][4];
double tr[tt+1][del+1][4];
double r[tt+1][del+1][4];
long long vc,vh,ph,maxp;
double v1,Max,max1,max2,max3,max4,aq1,aq2,aq3,maxq1,maxq2,maxq3,maxmin,maxmq1,maxmq2,maxmq3;
long long j,t,k,i,v,v0,mq,vm,qm,v1m,q,q1,q2,q3,pt;
double L(long long, long long);
double F1(long long v, long long q)
{ double a,a1,v1; long long b,b1,b2,b3;
a=v*vh*1e6+f[t+1];
a1=a+rf[t+1]-q;
if(a==0)b=0;
else if(a>=vc*1e6)b=vc*1000000;
    else b=(long long)a;
if(a1<=0)b1=0;
else if(a1>=vc*1e6)b1=vc*1000000;
    else b1=(long long)a; // b1=(long long)a1;
b2=b/(vh*1000000); b3=b1/(vh*1000000);
if(q<=rf[t+1])v1=b-L(t+1,b2);
else v1=b1-L(t+1,b3);
return v1;}
double L(long long t,long long b)
{double rf;
if(b<=0)return 0;
rf=(th[b]-8)/14*86400;
return at[t]*tf[b]+rf;}
int main(int argc, char *argv[])
{cin>>vc>>vh>>ph>>maxp;
for(i=1;i<=tt;i++)cin>>at[i];
for(i=1;i<=tt;i++)cin>>p[i];
for(i=1;i<=tt;i++)for(j=1;j<=3;j++)cin>>p1[i][j];
for(i=1;i<=tt;i++)cin>>f[i];
for(i=1;i<=tt;i++)cin>>rf[i];

```

```

for(i=1;i<=del;i++)cin>>tf[i];
for(i=1;i<=del;i++)cin>>th[i];
cin>>v0;
for(t=1;t<=tt;t++)
{q=0;pt=(long long)p[t];
for(i=1;i<=del1;i++)
for(j=0;j<=3;j++)r[t][i][j]=1000000000;
L10:
if(q<pt)q+=ph;
else goto L50;
mq=q%ph;
maxmin=1e10; maxmq1=maxmq2=maxmq3=-1; q1=0;
while(q1<=q)
{ if(p1[t][1]<q1)goto L40;
max1=(p1[t][1]-q1)/p1[t][1];
q2=0;
while(q2<=q-q1)
{if(q2>p1[t][2])goto L30;
max2=(p1[t][2]-q2)/p1[t][2];
q3=q-q1-q2;
if(q3>p1[t][3])goto L20;
max3=(p1[t][3]-q3)/p1[t][3];
maxq1=q1; maxq2=q2; maxq3=q3;
Max=max(max1,max(max2,max3));
if(q1==0 && q2==0)
{maxmin=Max; maxmq1=maxq1;
maxmq2=maxq2; maxmq3=maxq3;}
L20:q2+=ph;}
L30: q1+=ph;}
L40: r[t][mq][0]=maxmin; r[t][mq][1]=maxmq1;
r[t][mq][2]=maxmq2; r[t][mq][3]=maxmq3;
goto L10;
L50: ;
} // damTavrda cikli t-s mimart
for(t=tt;t>=0;t--)

```

```

{ for(v=v0;v<=del;v++)
  for(i=0;i<=3;i++)tr[t][v][i]=0;
if(t==tt)goto L60;
for(v=v0;v<=del; v++)
{q1=v*vh*1000000;
if(p[t+1]<q1+f[t+1]+rf[t+1])pt=(long long)p[t+1];
else pt=(long long)(q1+f[t+1]+rf[t+1]);
vm=v;
Max=1e10; aq1=0; aq2=0; aq3=0;
q=ph;
while(q<=pt)
{ qm=q/ph;
if(qm<1 && qm<del1)cout<<"Error "<<qm<<' '<<q<<' '<<v<<' '<<t<<endl;
v1=F1(v,q);
v1m=(long long)(v1/vh*1000000+1);
if(v1m==del+1)v1m=del;
if(v1m<1 && v1m>del)cout<<"Error "<<v1m<<' '<<v1<<' '<<q<<' '<<v<<' '<<t<<endl;
if(r[t+1][qm][0]<tr[t+1][v1m][0])
{max4=tr[t-1][v1m][0]; max1=r[t+1][qm][1];
max2=r[t-1][qm][2]; max3=r[t+1][qm][3]; }
else
{max4=r[t+1][qm][0]; max1=r[t+1][qm][1];
max2=r[t+1][qm][2]; max3=r[t+1][qm][3]; }
if(max4<Max)
{Max=max4; aq1=max1;
aq2=max2; aq3=max3;}
q+=ph;}
tr[t][vm][0]=Max; tr[t][vm][1]=aq1;
tr[t][vm][2]=aq2; tr[t][vm][3]=aq3;}
L60;} // damTavrda meore cikli t-s mimart
for(i=0;i<=tt;i++)
{ cout<<"\n\n";
for(j=1;j<=del;j++)
{ cout<<"\n";
for(k=0;k<=3;k++)

```

```
cout<<' '<<tr[i][j][k];  
cout<<"\n\n";  
for(k=1;k<=80;k++)cout<<' '; } }  
system("PAUSE");  
return EXIT_SUCCESS;}
```

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **დ. მამფორია** – დეფიციტის შემთხვევაში მომხმარებლებს შორის მარაგის ოპტიმალური მართვის (განაწილების) რიცხვითი რეალიზაციისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2 (30)2014, გვ. 51-54.
2. **დ. მამფორია** – მრავალსაფეხურიანი დეტერმინისტული პროცესების ოპტიმიზაციის საკითხი რ. ბელმანის დინამიკური დაპროგრამების მეთოდის მიხედვით, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2 (30)2014, გვ. 92-97.

IN ORDER TO THE NUMBER REALIZATION OF THE TASKS FOR IDENTIFICAL SYSTEMS ON COMPUTER

T . Zarkua, D. Mamporia

Summary

The article devoted to the question of number realization of the tasks resources optimal control for identifiable systems in presents of the resources deficit. The program is made up on Language “C++” and let’s go down possibility recurrental decide the Bellman’s equation by Dynamics programming. Decision of Bellman’s equation lets also to be found optimal politics (optimal distribute of recourses) in recourses deficit situations for identical systems.


ДЛЯ ЧИСЛЕННОЙ РЕАЛИЗАЦИИ НА КОМПЬЮТЕРЕ ОДНОГО ТИПА ЗАДАЧ

Т. Заркуа, Д. Мампория

Резюме

Работа посвящена численному решению на компьютере задач оптимального распределения при дефиците ресурсов для множества одного типа задач. Программа составлена на языке «C++». Она дает возможность рекуррентного решения уравнения Р.Беллмана на основе Динамического программирования. Решением уравнения достигнуто нахождение оптимальных политик распределения при дефиците ресурсов. Программа апробирована и пригодна для множества одного типа систем.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უპაკ 339;626.9

**ევროკავშირის პოლიტიკის გატარების პერსპექტივები
საქართველოს რკინიგზაზე**

მ. არჩვაძე, თ. არჩვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში „ევროკავშირის პოლიტიკის გატარების პერსპექტივები საქართველოს რკინიგზაზე“ ასახულია 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში არსებული ევროკავშირის დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვისა და საქართველოს რკინიგზაზე ევროპაში აპრობირებული მექანიზმების დანერგვის მიზანი, მნიშვნელობა და პერსპექტივები შემდგომი განვითარების მიზნით. აქვე განხილულია, ევროპის ქვეყნების რკინიგზებზე განხორციელებული რეფორმებისა და მათი შედეგების ანალიზი, რაც საქართველოს რკინიგზის რეფორმირების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხების მიმართ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

საკვანძო სიტყვები: ტრანსპორტი, რკინიგზა, ევროკავშირი, დირექტივა, რეფორმა, პოლიტიკა.

შესავალი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სარკინიგზო ტრანსპორტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის უზენაესი კანონის - კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება.

საქართველოს ევროპის დიდ ოჯახში გაწევრიანების გზაზე, სატრანსპორტო სფეროს რეფორმირების უდიდესი მნიშვნელობა აისახა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი

„ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში“. აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან, მათ შორის ტრანსპორტის (დანართი XXIV), კერძოდ სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, რაც გულისხმობს ევროკავშირის ღირეკტივების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. [2]

მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოლიტიკის გაზიარება რკინიგზასა და სახელმწიფოს შორის უფლებების გამიჯვნასთან, რკინიგზასა და ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის ფუნქციების განცალკევების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემოს შექმნის მიზნით, სარკინიგზო ტრანსპორტის უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენს სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და გადაზიდვების პროცესების სტრუქტურების გამიჯვნა; სარკინიგზო გადაზიდვების კომპანიების სრული კომერციული ავტონომია, ამა თუ იმ სარკინიგზო ქსელზე ნებისმიერი გადამზიდავი კომპანიების/ოპერატორების თავისუფალი დაშვება.

ევროკავშირის ღირეკტივებს აქტიურად იყენებენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთ ევროპის რკინიგზებზე. ევროკავშირის ცნობილი ღირეკტივა ს-91/449, რომელიც სარკინიგზო კომპანიების მართვის დამოუკიდებლობას შეეხება, ერთ-ერთ წარმატებულ საფრანგეთის სარკინიგზო კომპანიის გამოცდილებაზეა დაფუძნებული 1991-1997 წწ. განხორციელდა რეფორმა ინფრასტრუქტურისა და ექსპლუატაციის სტრუქტურის გამიჯვნის შესახებ, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამრეწველო-კომერციული საზოგადოებრივი საწარმო „საფრანგეთის სარკინიგზო ქსელი“ (SNCF) და რომელსაც საკუთრებაში და მართვაში გადაეცა მთელი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.

ჯერ კიდევ 1988 წელს შვედეთში განხორციელდა სარკინიგზო ხაზებისა და მოძრავი შემადგენლობის გამიჯვნა. მან გახსნა მომსახურების ცენტრები ყოველი ქვედარგისთვის, ფასების სტრუქტურის ფორმირების მეთოდები გადმოიღო ავიაკომპანიებიდან, წაახალისა თავისი პერსონალი ბონუსებით და კეთილმოაწყო მოძრავი შემადგენლობა.

მიუხედავად ამისა, შვედეთს ბოლო დრომდე ესაჭიროება სუბსიდირება სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ევროპულ სარკინიგზო ქსელში ყოველთვის რჩება ხაზები, განსაკუთრებით მცირე ზომის საგარეუბნო მარშუტები, რომლებიც არასაკმარისი ტვირთ, ან მგზავრთბრუნვის გამოვერ გახდებიან მომგებიანი. ასევე, წამგებიანი ხაზები შეადგენენ ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის სარკინიგზო ქსელის თითქმის ნახევარს, ამიტომ მათი დოტაცია არის საჭირო.

ევროპულ მთავრობებს სულ უფრო ნაკლებად ძალუძთ რკინიგზების სუბსიდირება და სურთ მათი სრულ თვითდაფინანსებაზე გადაყვანა. ამიტომ რამდენადაც არაპოპულარული არ უნდა იყოს

სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში ევროგაერთიანების ღირებულებების შედეგები, მათი გატარება გარდაუვალი ხდება.

ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, რომ ევროპის სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება, ძირითადად განპირობებულია დარგის არსებულ ბაზაზე ახლად შემქნილი დამოუკიდებელი გადამზიდავი კომერციული სტრუქტურების არსებობით, ხოლო რკინიგზების პრივატიზების მეთოდები ნაკლებად გამოიყენება და ისიც მხოლოდ ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში. ამასთან, პრივატიზების ისეთი მაგალითი, რომ ქვეყნის რკინიგზის სრული მფლობელი, მისი ყველა ქვედარგის მეპატრონე ერთი იურიდიული პირი გახდეს არსად არ გვხვდება. მაგალითად, 2001 წელს ესტონეთის რკინიგზის ინფრასტრუქტურა და გადაზიდვების ოპერაციების მართვა (66%) გადაეცა ამერიკულ კომპანიას. კომპანიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სარკინიგზო მეურნეობის მოვლა-შენახვის ხარჯები, რის გამოც გაუარესდა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, სრულიად შეწყდა ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვები ქვეყნის შიგნით, განხორციელდა მუშა პერსონალის შემცირება. საბოლოოდ, ესტონეთის მთავრობას 250 მლნ. აშშ დოლარი დასჭირდა იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის რკინიგზა გამოესყიდა. [3]

აღნიშნულიდან ჩანს, რომ რკინიგზის პრივატიზაციით გამოწვეული უარყოფითი შედეგები მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე თუ ღიდ ზეგავლენას ვერ ახდენს, განვითარებადი ქვეყნებისთვის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული.

ძირითადი ნაწილი

2005 წლის დასაწყისში შპს „საქართველოს რკინიგზის“ მენეჯმენტის თხოვნით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით რკინიგზის რესტრუქტურის დახმარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს რკინიგზაში არსებული სიტუაციის ანალიზი. აღნიშნული კვლევის ავტორია საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმა „Booz Allen Hamilton“, რომლის რეკომენდაციის მიხედვით საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურისა უნდა განხორციელდებოდა ინფრასტრუქტურის, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების ფუნქციონირების განცალკევებით, ერთიანი ჰოლდინგური კომპანიის ქვეშ ცალკეული ფილიალების ჩამოყალიბების შედეგად.

აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში რეფორმები განხორციელდა ახალი სარკინიგზო კანონმდებლობის შემოღებით ან ძველი კანონმდებლობის ეტაპობრივი ცვლილებებით, რომელიც ამ სფეროს ინტენსიურ კომერციალიზაციას უწყობს ხელს, რადგან სარკინიგზო

მაგისტრალით სარგებლობა განიხილება როგორც სარკინიგზო „ბიზნესი“, მაგისტრალით სარგებლობის უფლების მესამე მხარის მატარებლის ოპერატორებზე გაყიდვის საშუალებით.

სარკინიგზო რეფორმა გრძელვადიანი და ეტაპობრივი პროცესია, რადგან შესაბამისი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და მმართველობით სტრუქტურებში ერთდროული და ჰარმონიული ცვლილებების განხორციელება ხანგრძლივ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული სარკინიგზო რეფორმის შეფასება აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების რკინიგზებთან შედარებით ასახულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის დაკვეთით მომზადებულ ანალიტიკურ კვლევაში „რეფორმები, კომერციალიზაცია და კერძო სექტორის მონაწილეობა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რკინიგზებში“

აღნიშნული კვლევის ანგარიშში სარკინიგზო რეფორმები დაყოფილია სამ ჯგუფად:

„წარმატებული რეფორმატორები“, „ნაკლებად წარმატებული რეფორმატორები“ და „წარუმატებელი რეფორმატორები“. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის შვიდი ქვეყანა ითვლება „კარგ“ რეფორმატორად, ესენი: ესტონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვაკეთის რესპუბლიკა. „საშუალო“ რეფორმატორებად მიჩნეულმა ქვეყნებმა უახლოეს წლებში მიიღეს ახალი კანონები რკინიგზის შესახებ, შექმნეს კომერციული ბიზნეს-სტრუქტურები, გამონახეს სამგზავრო გადაზიდვების დანაკარგების დაფარვის კონკრეტული გზები, მოახდინეს ზოგიერთი არაპირდაპირი ბიზნესის პრივატიზება და შექმნეს კონკურენცია მიმწოდებელთა ბაზარზე. მაგალითად, ყაზახეთსა და რუმინეთში შეიქმნა მესამე მხარის სატვირთო ოპერატორები, რომლებსაც ათვისებული აქვთ ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 27 ქვეყნიდან რკინიგზის რეფორმა ძალზე ნელი ტემპებით მიმდინარეობს. თუმცა „ნელი“ რეფორმატორების რიცხვში შესული ქვეყანა იმავდროულად ცუდ რეფორმატორებად არ ითვლება. მაგალითად: უკრაინისა და აზერბაიჯანის რკინიგზების ფინანსური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.

უკრაინაში 2015 წელს დაიწყო „რკინიგზის შესახებ“ ახალი კანონის შემუშავება, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და გადაზიდვის პროცესის გამიჯვნა. ასევე იგეგმება გადამზიდავი ოპერატორების ბაზრის შექმნა ინფრასტრუქტურაზე ერთნაირად დაშვების უფლებით.

საქართველო მიეკუთვნება „საშუალო რეფორმატორების“ ჯგუფს. შესაბამისად, რესტრუქტურისაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდის და საკანონმდებლო ბაზის დახვეწის გზით, რათა საქართველოს რკინიგზის საქმიანობა გახდეს უფრო წარმატებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, რომელიც მყარად ადგას ევროპულ სრუქტურებში ინტეგრირების გზას, აუცილებლად მოუწევს ევროპის ქვეყნების გამოცდილების საკუთარ სარკინიგზო სისტემაში დანერგვა.

საქართველოს რკინიგზის სამომავლო პერსპექტივების განხილვისას გასათვალისწინებელია საქართველოს რკინიგზის სატრანზიტო როლისა და მისი საერთაშორისო ფუნქციის ზრდის შესაძლებლობები.

საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთი 2012-2013-2014 წ.წ. (მლნ.ტონა)

№	წელი	სულ გადაზიდული	ადგილობრივი	ექსპორტი	იმპორტი	ტრანზიტი
1	2012	20.1	2.9	1.7	3.3	12.1
2	2013	18.2	2.5	1.7	2.7	11.2
3	2014	16.7	2.6	1.6	3.0	9.5

დასკვნა

ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2012-2014 წ.წ. მიხედვით საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთის 60% შეადგენს სატრანზიტო გადაზიდვები, ხოლო ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაზრდისა და გამყარებისთვის, აქცენტი უნდა გაკეთდეს სარკინიგზო ტრანსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე არა შიდა, არამედ საერთაშორისო გადაზიდვებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე კი, შესაძლებელია სახელმწიფოსათვის უფრო სასარგებლო იყოს ქვეყნის შიგნით მონოპოლიური მდგომარეობის მქონე, მაგრამ საერთაშორისო ბაზრებისთვის მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი მსხვილი ეროვნული სარკინიგზო ოპერატორის არსებობა, ვიდრე მათი რამდენიმე ოპერატორად გაყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზის რეფორმირების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ეროვნული-სახელმწიფოებრივი ინტერესები და სპეციფიკა, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) მონაწილე ქვეყნების რკინიგზების რეფორმირების თანხვედრა და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნები.

აქვე, ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების განხორციელება დღის წესრიგში აყენებს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის საკითხს, რომელსაც სახელმწიფო რეგულირებადი ტარიფების განსაზღვრისა და ნორმატიული ბაზის შექმნის გარდა დაეკისრება სარკინიგზო გადაზიდვებისა და საწარმოების სერტიფიცირება-ლიცენზირებისა და უსაფრთხოების მოთხოვნათა ნორმების შესრულების ზედამხედველობის სახელმწიფოებრივი ფუნქცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება“ , დანართი XXIV;
3. Amos Paul: Reform, Commercialization and Private Sector Participation in Railways in Eastern and central Asia. In: Transport Papers, January 2005. The World Bank Group, Washington, D.C.
4. РЖД-Партнер–Украина примет новый закон о железнодорожном транспорте 03.04.2015; rzd-partner.ru
5. www.railway.ge
6. საქართველოს კანონი „საქართველოს სარკინიგზო კოდექსი“

PERSPECTIVES OF THE EU POLICY ON THE GEORGIAN RAILWAY

M. Archvadze, T. Archvadze,

Summary

In the article “Perspectives of European Union policy in Georgia Railway” are reflected provided by “Agreement on association with European Union” existing in railway transport field directives of European Union in order for reflection in national legislation and implementation in Georgia Railway approved in Europe mechanisms, importance and perspectives of further development. Also are considered analysis of carried out in Georgia Railway reforms and their results that with respect of stipulated in Georgian Railway reformation process issues gives the possibility to make certain conclusions.


**ПЕРСПЕКТИВЫ ПРОВЕДЕНИЯ ПОЛИТИКИ ЕВРОСОЮЗА НА
ГРУЗИНСКОЙ ЖЕЛЕЗНОЙ ДОРОГЕ**

M. Archvadze, T. Archvadze

Резюме

В статье “Перспективы проведения политики Евросоюза на железной дороге Грузии” отражены предусмотренные подписанным в Брюсселе 27 июня 2014 года “Соглашением об ассоциации с Евросоюзом” существующие в железнодорожной сфере директивы Евросоюза для отражения в национальном законодательстве и с целью внедрения механизмов, апробированных на железных дорогах Европы, их значение перспективы с целью дальнейшего развития. Здесь же рассмотрены осуществлённые на железных дорогах стран Европы реформы и проведён анализ результатов, что предоставляет возможность сделать заключения касательно вопросов, которые необходимо учитывать в процессе реформирования железной дороги Грузии.

GTU
Transport and Mechanical
Engineering Department
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№2 (33)  2015
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

შპს 339;626.9

ქართული ფოლადის წარმოება და მისი მნიშვნელობა მრეწველობაში

თ. არჩვაძე, მ. არჩვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,
0175, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატია ეხება მრეწველობის უმსხვილეს დარგს მეტალურგიას. მასში განხილულია რუსთავის მეტალურ ქარხნის ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა (მისი დაარსებიდან დღემდე). აქტუალურია ის, რომ ფოლადის წარმოებაში ჩართულია „JWS“-ის კომპანია, რომელიც შედის შპს „ჯეოსთილიში“. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს უცხოურ ინდუსტრიულ ინვესტიციას საქართველოში. კომპანიის მიზანია კავკასიის რეგიონების უზრუნველყოფა საუკეთესო ხარისხის ფოლადის არმატურით. შპს „რუსმეტალი“-ს საქმიანობა ეფუძნება მეტალურგიულ სფეროს და მისი ძირითადი საქმიანობაა ფეროშენადნობთა წარმოება, აგრეთვე თერჯოლის რეგიონში ფლობს მანგანუმის რამდენიმე საბადოს სარგებლობის ლიცენზიას (ბროილს ქედი, ჩხარი, ძვერი). კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის 100% მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტზე გადის. ამასთან, მან წარმომადგენლობა გახსნა თურქეთში. კომპანია აგრძელებს ბაზრების დაპყრობასა და გაფართოვებას. მას მიღებული აქვს საერთაშორისო ხარისხის მართვის სერტიფიკატი. სურთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა-დამონტაჟებაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო შპს „ფოლადკონსტრუქციამ“, კერძოდ, დაამონტაჟა ბრძმედის ლუმელის კომპლექსი, მარტენისა და მილსავლინავი საამქრო. ფოლადის ბურთულების წარმოებას უძღვება სს „გორგალი“.

საკვანძო სიტყვები: სს „ქართული ფოლადი“, დგანი „400“, უნაკერო მილი, თრეიდერი.

შეჯამება

საქართველოს მრეწველობის გასწავლად უნდა იქნას რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნული ეკონომიკის

განვითარებაში. მისი დაარსება განაპირობა რეგიონში ძირითადი ნედლეულის რესურსების არსებობამ და კასპიის ნავთობის საბადოებთან სიახლოვემ. 1940 წელს დაიწყო წინასწარი სამუშაოები, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო შეჩერდა და მხოლოდ 1944 წლის 23 მარტს განახლდა – ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურის – რუსთავის – მიმდინარე ტერიტორიაზე პირველი ქართული ფოლადის 150 ტ.ნადნობი გამოუშვეს 1950 წლის 27 აპრილს. სწორედ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაარსების დღედ ითვლება ეს დღე.

ძირითადი ნაწილი

1946 წლიდან აშუშავდა „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ პირველი დამხმარე სამქროები: თბოელექტროცენტრალი, მექანიკურ-შემკეთებელი, ფასონური სხმულების, ლითონკონსტრუქციების და სხვა. 1952 წელს დგან „140“-ზე გამოუშვეს პირველი ცხლადნაგლინი უნაკერო მილი. 1953 წელს მწყობრში ჩადგა დგანი „400“ - იმ დროისათვის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლური დგანი ევროპაში. ილსაგლინავი დგანის „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის ავტორთა ჯგუფს: ნ. გომელაურს, ი. ჟორდანიას, პ. წერეთელს, ს. შარაშენიძეს მიენიჭათ ლენინური პრემიები. შაწარმოს 7 სახეობის პროდუქციის მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. 1962 წელს განხორციელდა დგანი „400“-ის მთლიანი ავტომატიზაცია. 1954 წელს ბრძმედის საამქროში გამოდნეს პირველი ქართული თუჯი, 1955 წელს აშუშავდა ფურცლოვანი და სორტული ნაგლინის საამქროები. 1961 წელს ამოქმედდა ცივად ადიდვის საამქრო. ამ წლებში ქარხანა ამზადებდა ერთადერთ უნიკალურ სრული ციკლის უნაკერო მილებს ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ყაზახეთის, ზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სისტემატურად ხორციელდებოდა საწარმოში ძირითადი დანადგარების განახლების, საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები. 1975-1980 წ.წ. ძირეულად განახლდა მარტენის ღუმელები და მათი მოცულობა 150 ტონიდან 200 ტონამდე გაიზარდა. 1980 წელს 750 მ3 ბრძმედის რეკონსტრუქციამ მისი მოცულობა 1093 მ3-მდე გაზარდა, რაც გამოიწვია ბუნებრივი აირით წარმოების უზრუნველყოფამ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვამ, დაიწყო მუშაობა სამომხმარებლო ბაზარზე მაღალი მოთხოვნების მქონე პროდუქციის კერძოდ, სამშენებლო არმატურისა და უნაკერო მილების გამოშვება.

ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლის საფუძველზე სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს“ საქართველოს ტერიტორიაზე დაგროვილი ჯვართის შესაძენად სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად შემოსული თანხებიდან გამოეყო სესხი 1 მლნ ლარი 1 წლით, წლიური 24%-ის სარგებლის დარიცხვით. 1982 წელს ამ შავდა 312 მ2 ახალი აგროფაბრიკა. აწყებული 1944 წლიდან 1999 წლამდე ქარხანა 50 მლნ ტონამდე ფოლადი და 36 მლნ ტონაზე მეტი მზა

ნაგლინი გამოუშვა მილების, სამშენებლო არმატურის, ფურცლებისა და სხვა პროდუქციის სახით. 1991-2005 წლებში სხვადასხვა ინვესტორ შეეცადა საწარმოს ამოქმედებას, მაგრამ უშედეგოდ. 2005 წელს საწარმო გაიყიდა და ახალი ბრენდი - „ქართული ფოლადი“ წარმატებით შეუდგა ქარხნის რეაბილიტაციას. შს „ქართული ფოლადი“ უდიდესი მეტალურგიული საწარმოა კავკასიაში. იგი 2005 წლიდან ფლობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთელ აქტივებს, რომლის განვითარებაშიც რამდენიმე ასეული მილიონი აშშ დოლარი იქნა ინვესტირებული. 2011 წლის 6 ივლისს ყოფილი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის სახელით მოხდა გარიგება და ინა გუდავაძეს გადაეცა კომპანიისათვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთელი აქტივები. მან გამოიწვია უკანონო სამართლებრივი მოქმედებების მთელი კასკადი. ამოიღენა მოქმედი მენეჯმენტი, შეიცვალა კომპანიათა დირექტორები, ინიცირებულ იქნა ხელოვნური გადახდისუუნარობა, როცა საწარმოს ქონების ღირებულებამინიმუმ 5-ჯერ აღემატებოდა კრედიტორულ დავალიანებას, რეაბილიტაციის მმართველად დაინიშნა ი. გუდავაძის ჯგუფის წარმომადგენელი, რომელმაც რეაბილიტაციის პროცესის გახსნიდან 5 დღეში მთელი მეტალურგიული აქტივები საკუთრებაში გადასცა გუდავაძის კომპანია შპს „რუსთავის ფოლადს“ გადახდის 9 წლიანი განვადებით. ამჟამად მიმდინარებს დავა გარიგების ბათილად ცნობისათვის, დღეის მდგომარეობით, სს „ქართულ ფოლადს“ ჰყავს დაახლოებით 70 მლნ ლარის კრედიტორები. კომპანია აწარმოებს უმაღლესი ხარისხის მეტალურგიულ და სამშენებლო პროდუქციას, რომლის მომხმარებლები ნავთობმომპოვებელი, სამშენებლო, მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების კომპანიები არიან, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის საზღვებს გარეთ. ხალი მენეჯმენტისა და კვალიფიციური კოლექტივის ძალისხმევით საწარმომ დაიბრუნა ძველი ავორიტეტი და საერთაშორისო სტატუსი – ქარხანა განახლდა და აღიჭურვა უახლესი ტექნიკით. დღეს სს „ქართული ფოლადი“ საერთაშორისო სერტიფიკატების AIP5L, IP5CT, ISO 9001:2008 მფლობელია და ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე. 2015 წლის თებერვლის მონაცემებით მეტალურგიული მრეწველობის ზრდა 17%-ია 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ღაც შეეხება კადრებს ღრეისათვის 1700 ადამიანია დასაქმებული. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძირითადი სიმძლავრეები იყო: აგლოფაბრიკა – 2.2 მლნ.ტ., ბრძმედის ღუმელი – 0.725 მლნ.ტ., ს საკოქსე ბატარეა – 0.35 მლნ.ტ., 8 ცალი, თითოეული 200 ტონიანი – 1.5 მლნ.ტ., ღგანი „1000“ - 1.5 მლნ.ტ., უნაკერო მიღების ღგანი „140“ - 120 ათასი ტ., უნაკერო მიღების ღგანი „400“ - 350 ათ.ტ., ცივად ადიღვის მიღების საამქრო – 50 თ. ტ., არმატურის ღგანი „320“ - 160 ათ. თ. ღღეისათვის ქარხნის წარმადობაა: ფოლადსადნობი და სორტსაგლინი საამქრო წარმადობით – 8000 ტ., მილსაგლინავი საამქრო – 5000-8000 ტ. უნაკერო მიღების წარმოება, საფასონო-სასხმელო საამქრო – თუჯის სხმულები

1000 ტ., სილიკომანგანუმი 300-350 ტ. წიდასაყარი –თვეში 130 000 ტ წიდა, მარტენის 100 000 ტ, ბრძმედის წიდა 30 000ტ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს შემდეგ პროდუქციას: არმატურა, კვადრატული ნამზადი, უნაკერო მილები, თუჯის სხმულები, მექანიკური დეტალები, ფასონური სხმულები, ლითონკონსტრუქციების, გრაფენულირებული წიდა, ფეროშენადნობები.

დასკვნა:

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას აქვს კორპორაციული ხედვა, რაც გამოიხატება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციის გამყარებაში, მის ფასეულობას წარმოადგენს პროფესიონალიზმი. არხანა მიისწრაფის უმაღლესი დონის სტანდარტებისაკენ, მაღალი პროდუქციის წარმოებისაკენ.

მეტალურგიის სფეროში მოღვაწე მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლები და მომწოდებლები არიან კლიენტები. არხნის კლიენტების რიცხვს მიეკუთვნებიან მოწინავე საერთაშორისო თრეიდერები, რომლებსაც პროდუქცია გააქვთ ევროპაში, ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში. ადგილობრივ ბაზარზე კლიენტებს წარმოადგენენ წამყვანი სამშენებლო კომპანიები, თრეიდერები და სხვა მსხვილი საწარმოები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.rustavi.ge
2. www.ipross.ge/new/4290-qartuli-foladi
3. www.presa.ge
4. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებათა და განკარგულებათა კრებული 3. 17/02 1997.

THE CREATION OF THE GEORGIAN STEEL AND HIS IMPORTANCE IN THE PRODUCTION

T. Archvadze, M. Archvadze

Summary

The research „The creation of the Georgian Steel and importance in the production“ reviews history of the Rustavi Metallurgical Plant, the crisis during its renaming of JSC "Rustavi Metallurgical Plant", sale of the enterprising and the creation of a new brand of "Georgian Steel". In this research is also reviewed the steps of the new management for returning the prestige of the old brand, for attracting investment and for further development.

СОЗДАНИЕ ГРУЗИСКОЙ СТАЛИ И ЗНАЧИМОСТЬ В ПРОИЗВОДСТВЕ

Т. Арчвадзе, М. Арчвадзе

Резюме

В статье «Создание Грузиской стали и значимость в производстве» рассмотренно история создания Руставского металлургического завода, кризис во время его переименования в ОАО «Рустави металлургический завод», продажа предприятия и создания нового бренда "Грузинская сталь ". В этом исследовании также рассмотрены шаги нового менеджента для возвращения престижа старому бренду, привлечения инвестиций и дальнейшее развитие.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №2 (33) 2015

ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ №2 (33) 2015

TRANSPORT AND MACHINEBUILDING №2 (33) 2015

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

SCIENTIFIC – TECHNICAL JOURNAL

გამოდის პერიოდულობით წელიწადში სამჯერ

Журнал выходит в год три раза

Published periodically for three times a year

გამომცემლობა „ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა ”

Издательство „ ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ ”

Publishing House „ TRANSPORT AND MACHINEBUILDING ”

№503 დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „PRINT MEDIA”

Учебно – научный центр №503-го департамента „ PRINT MEDIA”

№503 department’s of seantific and research centre „ PRINT MEDIA”

The number of state registration - № 4023; 105239910

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2015 წ. 10 ივლისი;

გამოცემის ფორმატი 60X84 1/8; ფიზიკური ნაბეჭდი

თაბახი 11.25; საბეჭდი ქაღალდი – ოფსეტური №1.

Подписано к печати 10 : 07: 2015г; Формат издания л. 60X84 1/8;

Физичесих печатных листов 11.25; Печатная бумага - офсетная №1.

Signed for printing 10: 07: 2015;

Editior size 60X84 1/8; printed

sheet 11.25; printing paper - Offset N1.

სტუდ

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

სუვენირულ და შისაფუთ
მასალებზე გაყდვა

საგამოსცემლო საქმი
და ნიშნის ხელოვნება

ტანსაცმლის ტექნოლოგიის
და მოდელოება

საგამოსცემლო ტექნოლოგიები
და მელისაგებებები

ამზადებს ბევრგვითი მემდობისა და სამკერვალო
ნაწარმის ტექნოლოგიების
მეცნიერებადმიწმდომურ სპეციალისტებს

კვალიფიკაცია და სწავლებების ხანგრძლივობა:

- ბაკალავრი - 4 წელი,
- მაგისტრი - 2 წელი,
- დოქტორი - 3 წელი